გაზეთი ბევრის, „ვერსიის" ერთი

# ვერსია

№22 (778) 27 - 28 თებერვალი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

20 გვერდი 40 თეთრი

## სკანდალი სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში

გვ. 2



საქართველოს დაცვის სპეციალური სამსახურის შემადგენლობა 2850 თანამშრომლით, ბიუჯეტი კი 42 მილიონ ლარზე მეტით განისაზღვრება. ამ ფონზე, პრეზიდენტის მხარემ, კომისიის სხდომაზე, აღნიშნული სამსახურიდან 1000 თანამშრომელი და 20 მილიონი ლარი მოითხოვა.

კომისიის გადაწყვეტილებით, საქართველოს პრეზიდენტის დაცვა 350 ადამიანით, ბიუჯეტი კი 7 მილიონ ლარზე მეტით განისაზღვრა. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებაში უნდა ყოფილიყო: მისი პირადი, მეუღლის, შვილებისა და დამატებით მიხეილ სააკაშვილის დედის უსაფრთხოების დაცვა; რეზიდენციების სრული დაცვა; დაჯავშნული VIP მანქანები; ესკორტის 2 ეკიპაჟი სრული შემადგენლობით; 4 ექიმი რეანიმატოლოგი; კვების 4 ექიმი; ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური სამსახური; სვლა-გეზის სამსახური, ადმინისტრაცია და სხვა სამსახურები. საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტს, პირადი დაცვის გარდა, შსს, თავდაცვის, დაზვერვის, სპეცტექნიკის და ქალაქებში კეთილმოწყობის სამსახურები მოემსახურება.

„ვერსიის" გადამოწმებული ინფორმაციით, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, თბილისში 3-4 ავტომანქანით გადაადგილდება, რეგიონებში კი ამ რაოდენობას 1 მანქანა ემატება იმ დროს, როდესაც პრეზიდენტის განკარგულებაშია 10-12 მანქანა. ბიძინა ივანიშვილის გადაადგილებისას არ იკეტება ქუჩები, პრემიერი ითხოვს მხოლოდ საგზაო წესების დაცვას

**რას ითხოვდა კომისიის სხდომაზე თემურ ჯანაშია პრეზიდენტის უსაფრთხოებისთვის და რა შესთავაზა ივანიშვილის ხელისუფლებამ მიხეილ სააკაშვილს**

# პრეზიდენტის სახიფათო თამაში



გვ. 3

ბიძინა ივანიშვილი მიხეილ სააკაშვილსა და ნაციონალურ მოძრაობას ქვეყნისა და თავის გადარჩენის ბოლო შანსს აძლევს!

## შეეძლო თუ არა გიგი უგულავას მილიონიანი გირაოს გადახდა?

რომელი ბიზნეს-კომპანიები უკავშირდება, რა ქონებას ფლობს ოფიციალურად თბილისის მერი და ვის სეიფში ინახება უგულავას კომპრომატები

გვ. 6

## ჩემი მისამართით არაერთი ბინძური ჭორი გავიგე, რომელზეც ხმამაღლა ვერ ვისაუბრებ, უბრალოდ, სირცხვილია!

რატომ შეიცვალა ორ დღეში პოლიტიკური პოზიცია და აშანტაჟებდნენ თუ არა ბინძური ფარული ჩანაწერებით ნიკო ხაჩირიშვილს

გვ. 4

რატომ იყო ხელოვნურად გაბერილი „ცე" ჰეპატიტის მკურნალობის ხარჯები და რა სქემით მოხდება ნარკომომხმარებელი პაციენტების ვადაზე ადრე გათავისუფლება?

**ინტერვიუ სოზარ სუბართან**



გვ. 2

**პროკურატურა თათა ვარდანაშვილის მიერ თავდაცვის სამინისტროსთვის შეკერილი ჩექმებისა და კობა სუბელიანის პრემიების საქმეს სწავლობს**

# სკანდალი სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში

ანა დადიანი

საქართველოს პრეზიდენტმა დაცვის სამსახურით სარგებლობაზე უარი თქვა და, როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაცია აცხადებს, ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც 25 თებერვალს პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა ერთპიროვნულად გაათავისუფლა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი თემურ ჯანაშია და დაცვით სარგებლობის სანაცვლოდ, პრეზიდენტს საკონსტიტუციო ცვლილებებზე დათანხმება მოსთხოვა.

სპეციალური განცხადება პრეზიდენტის პრეს-სპიკერმა, მანანა მანჯგალაძემ გააკეთა, რომელმაც განაცხადა: **„საქართველოს პრეზიდენტის სახელით, უფლებამოსილი ვარ განვაცხადო, რომ შექმნილ ვითარებაში პრეზიდენტი ხედავს ერთადერთ გამოსავალს – მთლიანად უარი თქვას დაცვის სამსახურით სარგებლობაზე. შესაბამისად, დღეს დილიდან პრეზიდენტის დაცვის სპეციალური ღონისძიებები აღარ ხორციელდება, თუმცა ეს ხელს ვერ შეუშლის პრეზიდენტს გადაადგილებასა და მოსახლეობასთან შეხვედრაში, რაც ბოლო პერიოდის განმავლობაში აქტიურად ხორციელდებოდა. საქართველოს პრეზიდენტი მადლობას უხდის სახელმწიფო დაცვის ყველა თანამშრომელს, ვინც ამ პერიოდის განმავლობაში პირნათლად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას“.** მისივე ინფორმაციით, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელს, თემურ ჯანაშიასა და პირადი დაცვის სამსახურის თანამშრომლებზე, უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში, ხორციელდებოდა თვალთვალი და ზეწოლა, რაც მალევე გამოვლინდა.

**„თავიდან იყო მცდელობა, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური მთლიანად გადასულიყო მთავრობის დაქვემდებარებაში, თუმცა საერთაშორისო თანამეგობრობის ჩარევის შედეგად, მთავრობა დაცვის სამსახურის გაყოფას დათანხმდა და შეიმუშავა კანონპროექტი, რომლითაც პრეზიდენტისთვის გამოიყოფოდა სამსახურიდან დაცვის ერთი ნაწილი. ამ კანონპროექტის შედგენაში, უშუალოდ, მონაწილეობდა დიპლომატიური კორპუსი, თუმცა აღნიშნული კანონის შემდეგ, მთავრობამ მის შესრულებაზე უარი თქვა და დაიწყო ვაჭრობა იმასთან დაკავშირებით, დაცვის რა რესურსი უნდა მიეღო პრეზიდენტს. პარალელურად, დაცვის სანაცვლოდ, საქართველოს პრეზიდენტს სთხოვდნენ საკონსტიტუციო ცვლილებებზე დათანხმებას. პრეზიდენტი საკუთარ თავს კონსტიტუციის დონეზე ვერ დააყენებს და მისი პირადი უსაფრთხოების სანაცვლოდ საკონსტიტუციო ცვლილებებს ვერ დაეთანხმება“,** — აღნიშნა მანანა მანჯგალაძემ.



რას ითხოვდა კომისიის სხდომაზე თემურ ჯანაშია პრეზიდენტის უსაფრთხოებისთვის და რა შესთავაზა ივანიშვილის ხელისუფლებამ მიხეილ სააკაშვილს

პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის ბრძანებით, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის თანამდებობაზე თემურ ჯანაშია ანზორ ჩუბინიძემ შეცვალა, რომელიც დღემდე ბიძინა ივანიშვილის დაცვის სამსახურის უფროსი გახლდათ. ჩუბინიძე საკუთარი მოვალეობის შესრულებას 27 თებერვლიდან შეუდგება, თუმცა საინტერესო ის არის, რატომ მიიღო მოულოდნელად ასეთი სახიფათო გადაწყვეტილება მიხეილ სააკაშვილმა მაშინ, როცა შესანიშნავად იცის, რა განწყობა აქვს საზოგადოებას მის მიმართ. მით უმეტეს, რომ როგორც თავად აცხადებს, არ აპირებს, შეზღუდოს გადაადგილება საქართველოს რეგიონებში. აცნობიერებს კი პრეზიდენტი, რა საფრთხის წინაშე აყენებს ქვეყანას, თუკი რომელიმე გარეშე ძალა ამ ფაქტს ქვეყანაში დესტაბილიზაციის მოსაწყობად გამოიყენებს?

ყველაზე მთავარი კი ის არის, რა პროცესები უძღვოდა წინ პრემიერ-მინისტრის ბრძანებას, რეალურად, რას ითხოვდა პრეზიდენტის დაცვის უფროსი და რა გახდა სკანდალის მიზეზი?

საქმე ის გახლავთ, რომ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის რეორგანიზაციის მიზნით შექმნილი კომისიის გადაწყვეტილებით, საქართველოს პრეზიდენტის დაცვა 350 ადამიანით, ბიუჯეტი კი 7 მილიონ ლარზე მეტით განისაზღვრა. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებაში უნდა ყოფილიყო: მისი პირადი, მეუღლის, შვილებისა და დამატებით მიხეილ სააკაშვილის დედის უსაფრთხოების დაცვა; რეზიდენციების სრული დაცვა; დაჯავშნული VIP მანქანები; ესკორტის 2 ეკიპაჟი სრული შემადგენლობით; 4 ექიმი რეანიმატოლოგი; კვების 4 ექიმი; ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური სამსახური; სვლა-გეზის სამსახური, ადმინისტრაცია და სხვა სამსახურები. საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტს, პირადი დაცვის გარდა, შსს, თავდაცვის, დაზვერვის, სპეცტექნიკის და ქალაქებში კეთილმოწყობის სამსახურები მოემსახურება.

უფრო ნათელი წარმოდგენა რომ შეგვექმნას, საქართველოს დაცვის სპეციალური სამსახურის შემადგენლობა 2850 თანამშრომლით, ბიუჯეტი კი 42 მილიონ ლარზე მეტით განისაზღვრება. ამ ფონზე, პრეზიდენტის მხარემ, კომისიის სხდომაზე, აღნიშნული სამსახურიდან 1000 თანამშრომელი და 20 მილიონი ლარი მოითხოვა. და ეს მაშინ, როცა ბალტიისპირეთის ქვეყნებში, კერძოდ, სააკაშვილის მეგობარ ესტონეთში პრეზიდენტის პირადი დაცვის სამსახური 57 ადამიანისგან შედგება, ლიტვასა და ლატვიაში დაცვის სამსახურის თანამშრომელთა რაოდენობა 300-ს არ აღემატება. ჩვენთვის სამაგალითო ევროპის ყველაზე განვითარებულ ქვეყნებში — ბელგიაში, დანიასა და შვედეთში ქვეყნის პირველი პირების სპეციალური დაცვის სამსახურების თანამშრომელთა რაოდენობა 150-ზე ნაკლებია. საინტერესოა, რა ასეთი საგანძურია მიხეილ სააკაშვილი 1000-კაციანი დაცვა და 20 მილიონი რომ სჭირდება? ამის არგუმენტად დაცვის სამსახურის ყოფილმა უფროსმა, თემურ ჯანაშიამ დღის განმავლობაში მიხეილ სააკაშვილის ვიზიტების დიდი რაოდენობა, გაზრდილი რისკები და მოსახლეობის მხრიდან გაზრდილი აგრესია დაასახელა ანუ ბატონმა ჯანაშიამ ბიუჯეტში ხალხის მიერ გადახდილი ფულით მოსახლეობისგან პრეზიდენტის 20-მილიონიანი დაცვა ითხოვა. ჯანაშიამ ასევე მოითხოვა, მიხეილ სააკაშვილის გადაადგილებისას, გზის სავალი ნაწილების გადაკეტვაც.

სხვათა შორის, „ვერსიის“ გადამოწმებული ინფორმაციით, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, თბილისში 3-4 ავტომანქანით გადაადგილდება, რეგიონებში კი ამ რაოდენობას 1 მანქანა ემატება იმ დროს, როდესაც პრეზიდენტის განკარგულებაშია 10-12 მანქანა. ბიძინა ივანიშვილის გადაადგილებისას არ იკეტება ქუჩები, პრემიერი ითხოვს მხოლოდ საგზაო წესების დაცვას — ამ მონაცემების გაცნობის შემდეგ, ალბათ, გასაგებია, რატომ გახდა რეორგანიზაცია სახელმწიფო დაცვის სამსახურში სკანდალის მიზეზი და რატომ გაიბუტა პრეზიდენტი სააკაშვილი. სპეციალურ ბრიფინგზე პრეზიდენტმა სააკაშვილმა გაბუტული ბავშვივით ისაუბრა და განაცხადა, რომ ბოლო ერთი კვირაა იგი, ფაქტობრივად, დაცვის გარეშეა დარჩენილი, ხოლო ის ხალხი, ვინც მას ახლავს, საკუთარი განცხადებით სამსახურიდან წამოსულია და გაურკვეველ მდგომარეობაშია. პრეზიდენტი აცხადებს, რომ უნდა დამთავრდეს ამ თემებით სპეკულაცია და არც თავად აპირებს ამ საკითხის განვრცობას, არ არის პრობლემა, თავად დაჯდება საჭესთან, არავის აიძულებს, მასთან ერთად გადაადგილდეს და ვერავინ გამოკეტავს შუშის რეზიდენციაში, რადგან მას ხალხის არ ეშინია. ფიცი გვწამს, ბოლო კი ნამდვილად გასაკვირია, რადგან ეროვნულ ბიბლიოთეკასთან განვითარებული მოვლენების შემდეგ ნათელია, რატომ არ აიღო საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა თემურ ჯანაშიამ და რატომ მოითხოვა გაძლიერებული დაცვა?! რომ არა ხალხის აგრესია, როგორ ფიქრობთ, პრეზიდენტის დაცვის სამსახური ისე აგრესიულად მოექცეოდა და ცემით სიკვდილამდე მიიყვანდა ზუგდიდში, თელავში, სვანეთსა თუ სხვა რეგიონებში, პრეზიდენტთან დალაპარაკების, განცხადებისა თუ საჩივრის გადაცემის მოთხოვნის გამო შეხვედრაზე მისულ იმ გაუბედურებულ მოქალაქეებს, ვინც იგი პრეზიდენტად აირჩია და ხმა მისცა...

# პროკურატურა თათა ვარდანაშვილის მიერ თავდაცვის სამინისტროსთვის შეკერილი ჩექმებისა და კობა სუბელიანის პრემიების საქმეს სწავლობს

მაია შველიძე

**გიგი უგულავას პროცესების შემდგომ, ინტენსიურად საუბრობენ, რომ მთავარ პროკურორს, არჩილ კბილაშვილს შეცვლიან. თვით „ქართულ ოცნებაშიც“ კი მოქმედი მთავარი პროკურორის შეცვლას ითხოვენ, თუმცა ამისთვის საგანგებო საკანონმდებლო პროცედურებია საჭირო და არცთუ მარტივია. მეორეს მხრივ, კბილაშვილის უწყება ხელს იუსტიციის საბჭოსკენ და კერძოდ, მოსამართლეებისკენ იშვერს, ჩვენს დაკავებულებს ის უშვებსო. როგორც ჩანს, სწორედ გავლენის მოპოვების მიზნით, პროკურატურა იუსტიციის საბჭოში რამდენიმე მოსამართლის წინააღმდეგ, ბესო ალავიძისა და მაია გიგაურის სისხლსამართლებრივი წარმოების დაწყებას აანონსებს.**



თუმცა პროკურატურა მხოლოდ იუსტიციის საბჭოში მიმდინარე პროცესების მოკვლევით არ არის დაკავებული. ბაჩო ახალაიას საქმეში შიდა ქართლის ყოფილი გუბერნატორის, ზურაბ არსოშვილის ჩვენების შემდგომ (საუბარია სენაკის ეპიზოდზე, როდესაც არსოშვილი ეროვნული გვარდიის უფროსი იყო), როგორც კულუარული წყაროებიდან ხდება ცნობილი, ახალი ფიგურა, პატიმარი ჯოლოყავა ჩნდება. ამ გვარმა ქართულ მედიაში უკვე გაიჟღერა და სოციალურ ქსელშიც გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჯოლოყავა ახალაიას საპატრიარქოს წინააღმდეგ ქმედებებში ადანაშაულებს. ყოფილი პატიმრის, ჯოლოყავას განცხადებით, **„ბაჩო ახალაია პატრიარქის მიერ რუსული იარაღის დარიგების დაბრალებასა და მეუფე იობის მკვლელობას ავალებდა პატიმრებს და პირადად, მე, დამავალა“.** ცალკე ეპიზოდია და ჯერ არ გახმაურებულა, რომ ბაჩო ახალაიას საქმეში, ჯარისკაცების ფორმისა და ფეხსაცმლის შეკერვის საქმეში აღმოჩენილია დარღვევები. აღნიშნული საკითხით თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია და პროკურატურა დაინტერესდა. როგორც „ვერსიას“ სამინისტროდან ატყობინებენ, ჯარისკაცების ჩექმების გარკვეულ ნაწილს კერავდა დიზაინერ თათა ვარდანაშვილის შპს „დემეტრე 96“, რომელიც შესული იყო მმართველად თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე არსებული ყოფილი პროფესიული დახელოვნების ინსტიტუტში. როგორ აღმოჩნდა, ეს ინსტიტუტი ვარდანაშვილის დირექტორატის ქვეშ უცნობია და მაკონტროლებლები სხვა თემებთან ერთად, შესაძლოა, ამითაც დაინტერესდნენ. ასევე უცნობია, მართლაც გასძვრა თუ არა ჯარისკაცების ჩექმებს ლანჩა ან ძირი, როცა ავღანეთში წასასვლელი ნაკადიდან 100 წყვილი შეცვალეს, თუმცა როგორც ამბობენ, რამდენიმე ოფიცერმა თავდაცვის უწყებაში აღნიშნული ფაქტი უკვე დააფიქსირა. ასევე ირკვევა, რომ სწორედ ვარდანაშვილის შპს „დემეტრე 96“-მა შეკერა 2012 წლის აღლუმისთვის საჭირო პროფესიული ფეხსაცმელი. შეიძლება თუ არა უხარისხოდ შეკერილი ჩექმები ბაჩო ახალაიასთვის ბრალის დამძიმების ისეთივე თავსატეხი გახდეს, როგორც ადრე ოქრუაშვილისთვის უხარისხო ტანკები და თურქეთიდან შემოტანილი ფეხსაცმელი, ამას დრო აჩვენებს.

**„ვერსია“ კომენტარისთვის დიზაინერ თათა ვარდანაშვილს დაუკავშირდა, რომელიც ამ საკითხით ჩვენი დაინტერესების გამო გაღიზიანდა და განგვიცხადა, რომ „მაკონტროლებელი აუდიტი, მართლაც, შესულია საწარმოში, რომლის დირექტორიც მე ვარ და რომელსაც, როგორც სახელმწიფო კუთვნილებას, კონტროლს უწევს თავდაცვის სამინისტრო. რაც შეეხება ფეხსაცმლის ხარისხს, ასეთი ფაქტი ჩემამდე არ მოსულა, ანუ თავდაცვის სამინისტროს მაშინ არ გამოუთქვამს არანაირი საყვედური ან შენიშვნა ამის თაობაზე. ჯერჯერობით, მე არავის დაუკითხივარ, თუმცა მაკონტროლებლები არიან უწყებაში“.**

*დასასრული მე-3 გვერდზე*

ანა დადიანი

# პრეზიდენტის სახიფათო თამაში



ბიძინა ივანიშვილი მიხეილ სააკაშვილსა და ნაციონალურ მოძრაობას ქვეყნისა და თავის გადარჩენის ბოლო შანსს აძლევს!

პოლიტიკური თამაში სახიფათო ზღვარს უახლოვდება. 9-წლიანი ნაციონალური მმართველობით დატერორებული საზოგადოებისთვის უცხო ტერმინი „კოჰაბიტაცია“ უსამართლობის სინონიმად იქცა და თანაცხოვრების საფარველქვეშ გაჩაღებული ფარული დაპირისპირება, შესაძლებელია, სისხლიან ბრძოლაში გადაიზარდოს. პოლიტიკური კრიზისის ნიშნები სახეზეა, რასაც პრემიერ-მინისტრი უკვე კარგად აცნობიერებს და ისიც კარგად ესმის, რომ მოსალოდნელ შედეგებზე პასუხისმგებლობას, პრეზიდენტ სააკაშვილსა და ნაცხელისუფლების ნარჩენებთან ერთად, ვერც თავად გაექცევა. ნაციონალური მოძრაობა რომ უკანასკნელ წუთებს ითვლის, ფაქტია. თავად სააკაშვილიც შესანიშნავად ხვდება, რომ გადამწყვეტი ბრძოლის დღე მოახლოებულია, მაგრამ ჯერჯერობით, მაინც თამაშს ამჯობინებს, რადგან კარგად იცის, რომ დრო, ამ შემთხვევაში, ოპოზიციის სასარგებლოდ მუშაობს. ბიძინა ივანიშვილს დასაკარგი დრო აღარ აქვს, რადგან ამომრჩეველი, რომელსაც მისი იმედი ჰქონდა, მისგან კატეგორიულ გადაწყვეტილებებს ელოდება და არა იმ პოლიტიკურ გუნდთან კონსულტაციების შედეგს, რომელმაც 9-წლიანი ჯოჯოხეთი აუშენა. ბიძინა ივანიშვილი პრეზიდენტ სააკაშვილსა და მის გუნდს გადარჩენის ბოლო შანსს აძლევს და საკმაოდ მკაცრ მიმართვას უგზავნის, რომელიც, როგორც მოსალოდნელი იყო, ნაციონალური მოძრაობის ზოგიერთმა წევრმა ულტიმატუმად, ზოგმა კი ბოლშევიზმად მონათლა, არადა ამ გზავნილის რეზიუმე ძალიან მარტივია — მიხეილ სააკაშვილმა პირდაპირ უნდა უპასუხოს კითხვას: აგრძელებს დიქტატურას თუ სახელმწიფოს სასარგებლოდ იღებს გადაწყვეტილებას და მხარს უჭერს კონსტიტუციურ ცვლილებას. პასუხი კი უნდა იყო მოკლე და გასაგები — ან კი, ან – არა!

**„ხელისუფლების საკითხი ქვეყანაში გადაწყვეტილია და ამიტომ არ მოგმართავთ, როგორც პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს, რომელთანაც რაიმე დამრჩა გასარკვევი. თქვენს პოლიტიკურ გუნდსა და საზოგადოებას შორის ვხედავ სულ უფრო მზარდ უფსკრულს, რომელიც სრული მარგინალიზაციისკენ მიაქანებს ამ გუნდის ღირებულ წევრებსაც კი, და ამიტომ მოგმართავთ. კიდევ იმიტომ მოგმართავთ, რომ არ ვთვლი ქვეყნისთვის სასურველ მოვლენად თქვენს გუნდთან ერთად განვლილი 9 წლის სრულ დისკრედიტაციას. ხელისუფლება თავისი ხალხის წინაშეა პასუხისმგებელი, ხოლო ხალხი თავის ხელისუფლებაზეა პასუხისმგებელი. ამიტომ ვცდილობ, ყველაფერს და ყველას არ გადაესვას ხაზი, ყველაფერს და ყველას არ მოეცხოს ლაქა, მათ შორის, ქართველი ხალხის თავმოყვარეობასა და ღირსებას. ამიტომ მინდა, რომ როგორმე ღირსეული გამოსავალი ვიპოვოთ, ზედმეტი დანაკარგების გარეშე გავუმკლავდეთ წარსულს და მთელი ენერგია მომავალს მოვახმაროთ. ამიტომ ვწვალობ ამდენს და ვცდილობ, დაგანახოთ გამოსავალი, რომელიც გახსნიდა გზას ყველა სხვა პრობლემის ცივილიზებულად მოგვარებისკენ.**

**ამიტომ შემოგთავაზეთ დეკემბრის ბოლოს ისეთი საკონსტიტუციო ინიციატივა, რომელზე დათანხმებაც თქვენთვის ყველაზე მარტივი იყო (შეგეძლოთ, „პიარქულებიც“ კი იქით ჩაგეწერათ). საპარლამენტო უმრავლესობამაც სწორედ ამიტომ გადაწყვიტა თქვენი პარლამენტში გამოსვლის გადავადება — არ გვინდოდა, ის დღე გამხდარიყო წყალგამყოფი. ამიტომ წამოვედით მოლაპარაკებებზეც და ინიციატივის ხელში აღებაც კი შემოგთავაზეთ კონსტიტუციის 2010 წლის მოდელის ნაწილობრივ ამოქმედების ფორმულით. ამიტომ ვთანხმდებოდი ამნისტიის ისეთ ვარიანტსაც კი, რომლის ახსნა ძალიან გამიჭირდებოდა საზოგადოებისთვის, მაგრამ თქვენ ყველაფერი გააკეთეთ იმისთვის, რომ ცივილიზებულ, სათანამშრომლო ვითარებაში არ გადასულიყო პროცესი. ამის მიზეზი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს — თქვენს გუნდს თქვენ გარშემო მხოლოდ თქვენ მიერვე გაზვიადებული საფრთხის განცდით აკავებთ და აშანტაჟებთ. თქვენი ამოცანაა, თქვენი გუნდის ცალკეული წევრების დანაშაულზე მთელ გუნდს ააღებინოთ პასუხისმგებლობა და ამით „შეადუღაბოთ“ თქვენი რიგები, მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული. ჩვენ მიერ ინიცირებული კონსტიტუციური ცვლილება პარლამენტში მარტის ბოლომდე დადგება კენჭისყრაზე. ეს კენჭისყრა კი უკვე ნამდვილად იქნება წყალგამყოფი. გნებავთ, ულტიმატუმად მონათლეთ ჩემი სიტყვები და გნებავთ, პოლიტიკურ დიდსულოვნებად, მაგრამ სრულიად ცალსახად ვაცხადებ — ვინც ეთანხმება ამ ცვლილებას, იგი აგრძელებს ქვეყნისთვის სამსახურს, ეძლევა შეცდომების გამოსწორებისა და უკეთესი პოლიტიკური მომავლის შანსი; ვინც უარს ამბობს ამ ცვლილებაზე, იგი იღებს სრულ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ყველაფერზე, რაც 9 წლის განმავლობაში ნებისმიერ თქვენს თანაგუნდელს ჩაუდენია და ამ ტვირთით აგრძელებს ცხოვრებას. მე კარგად მესმის, რასაც ვამბობ. საკითხი ამგვარად მმართველი კოალიციის შიგნითაც კი არასოდეს დამიყენებია და არ გამომიცხადებია ე.წ. სავალდებულო კენჭისყრა, მაგრამ ახლა საქმე რომელიმე „საკითხს“ არ ეხება. კონსტიტუციური ცვლილებები ეპოქალურ თემას დაუკავშირდა: წინ – მომავლისკენ, თუ უკან – წარსულისკენ, ამიტომ ვერ მივიღებ ვერანაირ „კი, მაგრამ“-ს და „დღეს არა, ხვალ“-ს.**

**რა ელის მათ, ვინც წარსულს აირჩევს? განსაკუთრებული არაფერი, გარდა საზოგადოების სათანადო შეფასებისა. რა ელის მათ, ვინც მომავალს აირჩევს? ასევე განსაკუთრებული არაფერი, გარდა საზოგადოების სათანადო დაფასებისა. პირადად მე, სანამ პოლიტიკაში ვარ, მაქსიმალურად შევიკავებ თავს საკუთარი შეფასებებისგან, მაგრამ როდესაც კვლავ საზოგადოების რიგითი წევრი გავხდები (არცთუ შორეულ მომავალში), ყველაფერს ვიღონებ იმისთვის, რომ საზოგადოებას არც ვინმეს შეფასება გადაავიწყდეს და არც დაფასება.**

**რაც შეეხება კანონს, იგი ყველასთვის კანონად დარჩება: თქვენგან გათავისუფლებული სასამართლო უდანაშაულოს თავისუფლების გარანტიას მისცემს, ხოლო დამნაშავეს — სასჯელის. პირადად, თქვენც გთავაზობთ ბოლო წინადადებას. უახლოეს 2-3 დღეში მკაფიოდ და ცალსახად განაცხადეთ, უარს ამბობთ თუ არა კონსტიტუციურ დიქტატურაზე და უჭერთ თუ არა მხარს პარლამენტის თანხმობის გარეშე მთავრობის შეცვლის აკრძალვას. თქვენი წინმსწრები მკაფიო პასუხი კი იმიტომ არის საჭირო, რომ პოსტფაქტუმ არ დაიწყოთ ლაპარაკი იმაზე, რომ თქვენც მხარს უჭერდით ამ ცვლილებას ისევე, როგორც დღეს ამტკიცებთ, თითქოს პრემიერის სავარძელში გადაჯდომაზე არც არასოდეს გიოცნებიათ“.**

ეს არის ბიძინა ივანიშვილის მიმართვის სრული ტექსტი, რომელიც, შესაძლებელია, საქართველოში ან უმძიმესი პროცესის დასაწყისი გახდეს, ანდა იმ ცალმხრივი კოჰაბიტაციის დასასრული, რომლითაც ნაციონალური მოძრაობა და მისი ლიდერები შესანიშნავად მანიპულირებენ. ფაქტია, ბიძინა ივანიშვილი ამ მიმართვით ტყუილის საშუალებას აღარ უტოვებს სააკაშვილსა და მის გუნდს, რომელიც დევნილისა და წამებულის მანტიას უკვე ნელ-ნელა ირგებს. თუმცა დღეს უკვე ოპოზიციაში გადაბარგებულ ყოფილ ხელისუფლებას რატომღაც ავიწყდება, რის გამო, მისცა 9-წლიანი ნდობის უდიდესი მანდატი, ავიწყდება საკუთარი დევიზი — დამნაშავე უნდა დაისაჯოს, კანონის წინაშე ყველა თანასწორია. თუ ასეა, მაშინ, რა საერთო აქვს პოლიტიკურ დევნასთან გიგი უგულავას, ბაჩო ახალაიასა და სხვათა დაპატიმრებას? ბიძინა ივანიშვილიც სწორედ ამას ამბობს — **„რაც შეეხება კანონს, იგი ყველასთვის კანონად დარჩება: თქვენგან გათავისუფლებული სასამართლო უდანაშაულოს თავისუფლების გარანტიას მისცემს, ხოლო დამნაშავეს — სასჯელის!“** ეს არ არის პოლიტიკური დევნა, ეს პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხია, რომელსაც ვერავინ გაექცევა.

ვინ როგორ გაიგებს ბიძინა ივანიშვილის „ბოლო წინადადებას“, პროგნოზირება რთულია. თუმცა, როგორც პრემიერი ამბობს, ძნელია, გაუძლო „ცდუნებას, როცა გთავაზობენ — **„ვინც ეთანხმება ამ ცვლილებას, იგი აგრძელებს ქვეყნისთვის სამსახურს, ეძლევა შეცდომების გამოსწორებისა და უკეთესი პოლიტიკური მომავლის შანსი“**, თუ საპარლამენტო უმცირესობასა და ზოგადად, ნაციონალურ მოძრაობაში დაწყებული რღვევის პროცესს გავაანალიზებთ, სავარაუდოდ, პრემიერის ამ მესიჯის შემდეგ, ნაციონალური მოძრაობა გაიხლიჩება და უმრავლესობა პრემიერის კითხვას სახელმწიფოს სასარგებლოდ გასცემს პასუხს. რასაკვირველია, აღმოჩნდება 15-18 კაციანი გუნდი, რომელიც მზად არის, პოლიტიკურ სამარეში ჩაჰყვეს სააკაშვილს, რაც მოსალოდნელიც იყო, რადგან წლების განმავლობაში, კლანურ-მაფიოზური პრინციპით ქვეყნის მართვამ უმაღლესი სახელისუფლო ეშელონები შანტაჟში, ტერორსა და ბინძური მეთოდებით ბრძოლაში გაწაფა. თუმცა ნებისმიერი ადამიანი თავად აკეთებს არჩევანს და მათი მომავალიც გარკვეულია — **„ვინც უარს ამბობს ამ ცვლილებაზე, იგი იღებს სრულ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ყველაფერზე, რაც 9 წლის განმავლობაში ნებისმიერ თქვენს თანაგუნდელს ჩაუდენია და ამ ტვირთით აგრძელებს ცხოვრებას“.**

რა გადაწყვეტილებას მიიღებს მიხეილ სააკაშვილი, მიიღებს თუ არა ბიძინა ივანიშვილის წინადადებას ნაციონალური მოძრაობის მმართველი გუნდი და საპარლამენტო უმცირესობა, ჯერჯერობით უცნობია. მართალია, 26 თებერვალს, პრეზიდენტმა სააკაშვილმა საკუთარ რეზიდენციაში საგანგებო ბრიფინგი ჩაატარა და თითქოს, გამოეხმაურა კიდევ პრემიერის მიმართვას, მაგრამ კონკრეტული პასუხი ივანიშვილის მესიჯზე არ გაუცია. როგორც მოსალოდნელი იყო, განაცხადა, რომ მზად არის დიალოგისა და კონსულტაციისთვის, მაგრამ არ დაუშვებს კონსტიტუციით მანიპულირებას... მოკლედ, პრეზიდენტი ისევ თითლიბაზობს, ამ დროს კი, ექსპერტების ნაწილი აცხადებს, რომ პრემიერ-მინისტრის მიმართვა, ეს არის ევროპული პოლიტიკური კულტურის შესაფერისი მოწოდება, დემოკრატიული ნაბიჯი, გადადგმული კოჰაბიტაციისკენ, რასაც კარგად ხედავენ ჩვენი დასავლელი პარტნიორები და ვითარების გამწვავების შემთხვევაში, სრული პასუხისმგებლობა ნაციონალურ მოძრობასა და ქვეყნის უმაღლეს პირს, პრეზიდენტს ეკისრება!

## პროკურატურა თათა ვარდანაშვილის მიერ თავდაცვის სამინისტროსთვის შეკერილი ჩექმებისა და კობა სუბელიანის პრემიების საქმეს სწავლობს

*მე-2 გვერდიდან*

ბაჩო ახალაიას საქმე ერთადერთი არაა, რაზეც პროკურატურა ინტენსიურად მუშაობს. გიორგი არველაძე, კობა სუბელიანი და კიდევ რამდენიმე ყოფილი მაღალჩინოსანი, პროკურატურის თვალთახედვის არეში უკვე მოხვდა. არველაძე „იმედის“ საქმეზე უკვე დაკითხეს, სხვა ბრალდებები კი, ჯერჯერობით, არ ხმაურდება, რაც შეეხება კობა სუბელიანს, პროკურატურა მისი ლტოლვილთა მინისტრობის პერიოდს სწავლობს. არალეგალური საწყობის თაობაზე, მთავარი პროკურატურის მიერ სისხლის სამართლის საქმე აღძრულია ქონების დატაცებისა და თაღლითობის, ასევე თანამდებობის ბოროტად გამოყენების მუხლით. ასევე ცალკე ძიებაშია კობა სუბელიანის პირად ანგარიშებზე პრემიების ტრანზაქციების საკითხი, რადგან, როგორც ირკვევა, სამინისტროს ცალკეულ თანამშრომლებს ერიცხებოდათ თანხები, რომელსაც ისინი სუბელიანს უბრუნებდნენ. აღნიშნულ საქმეს იძიებს მთავარი პროკურატურა და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური, ამიტომაც ამ დღეებში სუბელიანის დაბარების მოწმენიც შესაძლოა გავხდეთ.

26 მაისის აქციების დარბევის საქმეზე ნინო ბურჯანაძე რომ ჩვენებას მისცემს, ამის შესახებ თავად დემოკრატიული მოძრაობის ლიდერმა განაცხადა, თუმცა ჯერ არ გავრცელებულა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გამოძიება, შესაძლოა, პატარკაციშვილ-კოდუას საქმის ირგვლივაც დაიწყოს. ირაკლი კოდუა, როგორც ამბობენ, ჩეხეთში იმყოფება. ამ საკითხზე დაკითხვას ითხოვს გიორგი თარგამაძეც.

ცალკეა ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის საქმე — სოციალური აგენტების თემა. მართალია, დაკითხვაზე ორივე მოწმის სტატუსით უკვე იმყოფებოდა, მაგრამ პროკურატურამ უკვე მოიპოვა მოწმეთა ჩვენებები მტკიცებულებების სახით: კერძოდ, **„დამატებით 21 837 ადამიანს გაუფორმდა ხელშეკრულება, რომელთაც იმ 3 ათასი აგენტის ანალოგიური სამუშაო უნდა ჩაეტარებინათ. ამ მიზნით, ბიუჯეტში შევიდა ცვლილება და ჯანდაცვის სამინისტროს დამატებით გამოეყო 6 მილიონი ლარი. ამ ხალხს ხელშეკრულება გაუფორმდა 3-დან 30 სექტემბრამდე ანუ ზუსტად წინასაარჩევნოდ. თავიდან ხელშეკრულების ასლი მისცეს, შემდეგ კი, უკან დააბრუნებინეს, ვითომცდა რაღაც ხარვეზები გაიპარა. მეორე პირიც თავისთან დაიტოვეს. 21 837 კაცი საგანგებოდ შეირჩა ადგილობრივი გამგეობებისა და ნაციონალური მოძრაობის აქტივისტების მიერ“.**

„ვერსიის“ ინფორმაციით, ამ ეტაპზე, პროკურატურას დამუშავებული აქვს იმერეთის ცალკეული რაიონების სქემის მონაცემები, რომლის მიხედვითაც, 2012 წლის სექტემბრის ბოლოს, თითოეულ აქტივისტს ჩაერიცხა 240 ლარი. პროკურატურაში აცხადებენ, რომ ეს იყო შენიღბული წინასაარჩევნო კამპანია და ამ პროგრამის ფარგლებში, მათ ეს თანხა არ ეკუთვნოდათ. საქმეს დასავლეთ საქართველოს პროკურატურა სწავლობს.

## „ახალი მემარჯვენეების“ ახალი ინიციატივა

„ახალი მემარჯვენეების“ აზრით, დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის თემა წმინდა პოლიტიკური საკითხია და მის ჩამოყალიბებაში პოლიტიკური პარტიების ჩართულობა აუცილებელია.

ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა, დეცენტრალიზაცია და თვითმმართველობების განვითარება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხია და აქედან გამომდინარე, მისი სტრატეგიის ჩამოყალიბება და შემდგომში ამ მიმართულებით შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა აუცილებლად ქვეყანაში მოქმედი ძირითადი პოლიტიკური პარტიების ფართო კონსენსუსის საფუძველზე უნდა მოხდეს.

ამ და მსგავსი სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაში პოლიტიკური პარტიების ჩართულობასთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მხრიდან უკვე იყო გამოთქმული მზადყოფნა, შედგა რამდენიმე შეხვედრაც პოლიტიკური პარტიების მონაწილეობით.

თუმცა, პარლამენტის თავმჯდომარის მიერ შემოთავაზებული ფორმატის მიღმა ქვეყანაში დაიწყო დეცენტრალიზაციის და ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის კონცეფციის განხილვის ძალზე მნიშვნელოვანი პროცესი: 2013 წლის 21 თებერვალს, საქართველოს მთავრობის სხდომაზე განხილულ და მოწონებულ იქნა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ შემუშავებული „საქართველოს მთავრობის დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრინციპები“, რომელიც 25 თებერვლიდან უკვე განიხილება სამოქალაქო საზოგადოების, არასამთავრობო სექტორის მონაწილეობით.

დეცენტრალიზაცია და თვითმმართველობის განვითარება უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საკითხია, რომელთან დაკავშირებითაც, წლების განმავლობაში „ახალ მემარჯვენეებს“ გვქონდა ჩვენი ხედვა, ჩამოყალიბებული პოზიცია და, რაც მთავარია, სურვილი ქვეყანაში პრაქტიკულად დაწყებულიყო ძირეული რეფორმა და მიგვეღწია ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ისეთი მოდელისთვის, რომელიც ყველაზე მეტად მიესადაგებოდა ჩვენი ქვეყნის სპეციფიკას და უზრუნველყოფდა საზოგადოების ფართო ჩართულობას თვითმმართველობის პროცესში.

„ახალი მემარჯვენეები“ დღეს არ ვაპირებთ, ჩვენი მოსაზრებები გამოვთქვათ სტრატეგიის ძირითად პრინციპებთან დაკავშირებით. ცხადია, ეს დოკუმენტი საჭიროებს საყოველთაო განხილვასა და საზოგადოების ფართო ჩართულობას ამ პროცესში, მაგრამ ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ უმნიშვნელოვანესია, სტრატეგიის ძირითად პრინციპებთან დაკავშირებით, პირველ რიგში, მოხდეს ქვეყანაში მოქმედი ძირითადი პოლიტიკური ძალების ფართო კონსენსუსი და ეს დოკუმენტი იქცეს პოლიტიკურ ძალთა შორის განხილვისა და შეთანხმების საგნად.

ძალიან მნიშვნელოვანია ამ პროცესში ექსპერტების, არასამთავრობო სექტორის, საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობა, მაგრამ ერთმნიშვნელოვნად ცხადია, რომ ქვეყნის დეცენტრალიზაცია და ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკოსთა საქმეა.

აქედან გამომდინარე, „ახალი მემარჯვენეები“ მივმართავთ მთავრობასა და პარლამენტს, შეიქმნას ჯგუფი, რომელშიც სურვილისა და ინტერესის მიხედვით, ჩართულნი იქნებიან ქვეყანაში მოქმედი ძირითადი პოლიტიკური პარტიები, მოხდება დოკუმენტის კვალიფიციური განხილვა, აზრთა შეჯერება და მის საფუძველზე, კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღება.

ჩვენი მხრივ, ვაფიქსირებთ, რომ გვაქვს ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი ხედვების, პოზიციისა და ამ სფეროში არსებული გამოცდილების გაზიარებისა და ამ ფორმატში ჩართვის სრული მზადყოფნა.

*„ვერსიანიუსი“*



რუსუდან შელია
557-100-768

**ნაციონალურ მოძრაობასთან ექვსწლიანი თანამშრომლობის შემდეგ მიმდინარე პროცესებს გაემიჯნა და პარტიასთან ერთად, თბილისის საკრებულოში უმრავლესობის ფრაქციის თავმჯდომარის პოსტიც დატოვა. ამბობს, რომ მისთვის პრიორიტეტულ საკითხად ახლა ამომრჩეველთა კონკრეტული პრობლემების მოგვარება იქცა. რა გარანტიები მიიღო ხელისუფლებისგან და როგორ შეხვდნენ მის გადაწყვეტილებას ყოფილი თანაგუნდელები, ამასთან, რა კომპრომატი აქვს მის წინააღმდეგ ხელისუფლებას, „ვერსიის“ კითხვებს საკრებულოში გლდანის რაიონის დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატი ნიკო ხაჩირიშვილი პასუხობს.**

**საკრებულოში იმპიჩმენტის მცდელობა, მართლაც, იკვეთება, თუმცა ამ პროცესებში რა როლი უნდა შევასრულო, ჯერჯერობით, ნამდვილად არ ვიცი. დაველოდები, რა სცენარით განვითარდება მოვლენები, მანამდე კი, როგორც გითხარით, ჩემ თავს მხოლოდ იქ ვხედავ, სადაც ხალხმა ამირჩია.**



# ჩემი მისამართით არაერთი ბინძური ჭორი გავიგე, რომელზეც ხმამაღლა ვერ ვისაუბრებ, უბრალოდ, სირცხვილია!

## რატომ შეიცვალა ორ დღეში პოლიტიკური პოზიცია და აშანტაჟებდნენ თუ არა ბინძური ფარული ჩანაწერებით ნიკო ხაჩირიშვილს

**— მაშინ, როცა ზურაბ გაჩეჩილაძემ (შონზომ) საკრებულოში ნაციონალური მოძრაობის ფრაქცია დატოვა, მისი გადაწყვეტილებით განაწყენებულმა აღნიშნეთ, რომ ცხოვრებაში მთავარი, ღირებულებების დაცვაა, თუმცა თავად ორ დღეში არა მხოლოდ ფრაქცია, პარტიაც დატოვეთ. რა შეიცვალა თქვენთვის იმ ორ დღეში?**

— იცით, ერთი რამ კარგად გავაცნობიერე — მოსახლეობამ საკრებულოს დეპუტატად მხოლოდ იმიტომ ამირჩია, მათთვის კონკრეტული პრობლემები მომეგვარებინა. მაგალითად, გლდანის რაიონის მიმდებარე ტერიტორიაზე, თიანეთის გზატკეცილზე მცხოვრებ ათასობით ოჯახს უამინდობაში ელექტროენერგია შეზღუდულად მიეწოდება. აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად „ენერგო პროსა“ და „თელასს“ მოვუწოდებ, საჯარო განხილვა მოვაწყოთ და ერთად ვიმსჯელოთ გლდანელებისთვის უშუქობასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის გზებზე. აი, სწორედ ეს თემა გახდა ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი. თანაც არსად წავსულვარ, სადეპუტატო ვადის ამოწურვამდე, კვლავ საკრებულოში მიხილავთ დამოუკიდებელი დეპუტატის სტატუსით.

**— და ამ თქვენ მოვალეობებზე ექვსი წელია არ დაფიქრებულხართ თუ „ნაციონალებისგან“ დროულად წამოსვლა ერთგვარ ინდულგენციად იქცა იმ ფონზე, როცა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში რამდენჯერმე დაგკითხეს?**

— მოდი, საკითხის პოლიტიზირებას ნუ შევეცდებით! ნაციონალური მოძრაობიდან წასვლა ჩემი დამოუკიდებელი და აბსოლუტურად თავისუფალი არჩევანი იყო. „ნაციონალებში“ დღემდე არაერთი მეგობარი მყავს, თუმცა მიმაჩნია, რომ საქმე, სამსახური და საზოგადოების წინაშე აღებული პირადი პასუხისმგებლობა, მეგობრობის, ახლობლობისა თუ ძმაკაცობისგან აბსოლუტურად გამიჯნული უნდა იყოს. საერთოდ, ყველა ადამიანი ვალდებულია, საკუთარი შეხედულებისამებრ იმოქმედოს. პირადად, მე, არასოდეს მიმოქმედია პოლიტიკაში მეგობრობის პრინციპით და ამ პრინციპიდან გადახვევას არც მომავალში ვაპირებ. ყოველთვის იქ ვიქნები, სადაც, ვითარებიდან გამომდინარე, ჩავთვლი, რომ უნდა ვიყო. რაც შეეხება გამოძიებას, ჩემ მიმართ კითხვები არსებობდა და ჯერჯერობით, საქმის გამოძიება არ დასრულებულა. ასე რომ, არც ინდულგენციები და არც გარანტიები არავისგან მიმიღია.

**— თქვენი ყოფილი თანაგუნდელები და პრეზიდენტიც საუბრობს იმაზე, რომ პოზიციის შეცვლა ხელისუფლებამ ფარული ჩანაწერის გამოყენებით გაიძულათ, სადაც თქვენი არატრადიციული სექსუალური ცხოვრების ფრაგმენტებია ასახული.**

**— დიახ, მსგავსი ჭორი მეც ბევრი გავიგე, რაზეც პასუხის გაცემის სურვილი ნამდვილად არ მაქვს. გარწმუნებთ, არც ერთი მათგანი სიმართლეს არ შეესაბამება. სამწუხაროა, როცა ეს იმ ადამიანებისგან მესმის, რომლებთანაც რამდენიმეწლიანი ურთიერთობა მაკავშირებს. რატომღაც მეგონა, ჩემი ყოფილი თანაგუნდელები კარგად მიცნობდნენ... ხაზგასმით ვიმეორებ, გადაწყვეტილება ყოველგვარი ზეწოლის გარეშე მივიღე და ჩემ არჩევანზე გავლენა ხელისუფლებას არ მოუხდენია! ზეწოლაზე, მით უმეტეს, ბინძური ფარული ჩანაწერების გამოყენებით, საუბარიც ზედმეტია. ჩემი მისამართით კიდევ არაერთი ბინძური ჭორი გავიგე, რომელზეც უბრალოდ ვერ ვისაუბრებ, სირცხვილია!**

დღემდე მიმაჩნია, რომ ნაციონალური მოძრაობის უპირველესი მონაპოვარი სიტყვის თავისუფლებაა. ყველას ვეკითხები, მათ შორის, ყოფილ თანაგუნდელებსაც, რომლებიც ფიქრობენ, რომ ბინძური ფარული ჩანაწერებით დამაშანტაჟეს: არ მქონდა უფლება, ნაციონალური მოძრაობა დამეტოვებინა? არც იმის უფლება მაქვს, ჩემ ხელთ არსებული რესურსებით, მხოლოდ გლდანის რაიონში არსებულ პრობლემებზე ვიზრუნო? ასეა თუ ისე, ნამდვილად მაკმაყოფილებს ის სტატუსი, რაც ამ ეტაპზე, საკრებულოში მაქვს.

**— დამოუკიდებლობას შეინარჩუნებთ თუ „ქართული ოცნების“ ფრაქციას შეუერთდებით — ზაალ სამადაშვილის თანამდებობიდან გადასაყენებლად იმპიჩმენტი, ფაქტობრივად, უკვე დაანონსებულია, მის წინააღმდეგ ხმას თქვენც მისცემთ?**

— მართალია, უმრავლესობიდან უმცირესობაში გადასვლა გადავწყვიტე, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ოცნებას“ შევუერთდები. არც ცალკე ფრაქციის შექმნას ვგეგმავ, უბრალოდ, ვითანამშრომლებ როგორც ერთ, ისე მეორე პოლიტიკურ ძალასთან.

**— 2008-2010 წლებში გიგი უგულავას მოადგილე იყავით, თქვენ სახელს დენზე ნაგვის გადასახადის მიბმაც უკავშირდება, რომლიდანაც მიღებული შემოსავალი საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ უცნობია. დღეს როგორ აფასებთ ქალაქის მერის ირგვლივ მიმდინარე პროცესებს?**

— დენზე ნაგვის გადასახადის მიბმის გადაწყვეტილებას, მეტ-ნაკლებად, თავისი ლოგიკური ახსნა აქვს. ვფიქრობ, მერიამ საკმაოდ ბევრი კარგი საქმე გააკეთა, თუმცა ვერსად გავექცევით იმ წარუმატებლობებსაც, რაც წარმატებებს ყოველთვის თან ახლავს. ვაღიარებ, იყო პრობლემები როგორც მმართველობის, ასევე ფინანსური კუთხითაც, თუმცა იმის დაუნახაობა, რაც რეალურად, დედაქალაქში გაკეთდა, უსამართლობად მიმაჩნია.

**— პროკურატურა ქალაქის მერს რამდენიმე მილიონის გაფლანგვაში სდებს ბრალს. ფიქრობთ, გიგი უგულავას პასუხისმგებლობის საკითხი არ უნდა დადგეს?**

— გიგი უგულავას მიმართ სოლიდარული ვარ! სადაც უნდა ვიყო და როგორც უნდა ვმოქმედებდე, ის ჩემი მეგობარი იყო და ყოველთვის ვუგულშემატკივრებ. ჩვენ ბევრი კეთილი საქმე ერთად გავაკეთეთ, ამიტომ თუ გამოძიებას ჩემთან კითხვები გაუჩნდება, ნებისმიერ დროს, მზად ვარ, მათთან ვითანამშრომლო.

**რაც შეეხება მერის პასუხისმგებლობის საკითხს, ნაციონალური მოძრაობა დღეს უმცირესობას წარმოადგენს, ამიტომ ყველაფერი „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. საერთოდ, მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალურ მოძრაობასთან გარკვეულ საკითხებზე ვერ შევთანხმდი და ბოლო პერიოდში, გუნდში საერთო აზრზე ჩამოყალიბებასაც ვერ ვახერხებდი, მიმაჩნია, რომ პარტიაში ჯერ კიდევ შემორჩნენ ჭკვიანი ადამიანები, რომლებიც მომავალზე აუცილებლად დაფიქრდებიან.**

**— რაზე მიანიშნებთ, ნაციონალურ მოძრაობას მომავალი არ აქვს და „ჭკვიანებმა“ თქვენ უნდა მოგბაძონ?**

— არავის არაფრისკენ მოვუწოდებ, უბრალოდ, რამდენიმე ადამიანის კომენტარს ვეხმაურები, რომლებმაც ჩემი ნაბიჯი ნეგატიურად შეაფასეს და ვცდილობ, ყველას გავუგო. ისიც მესმის, რომ აზრთა სხვადასხვაობა ჩემს ქმედებაზე კიდევ დიდხანს იქნება.

**კონკრეტულად, სახელსა და გვარს არ დავასახელებ, მაგრამ ყველას, ვინც ჩემ ნაბიჯს აქილიკებს, საჯაროდ ვეტყვი: ყველა ადამიანი საკუთარ თავთან მართალი უნდა იყოს და როცა სხვის ნაბიჯს კიცხავ, როგორც მინიმუმ, თავად უნდა გქონდეს სინდისი სუფთა. სხვებისგან განსხვავებით, მე იქ დავდექი, სადაც ჩემი კონკრეტული საქმე დავინახე. ახლა გამოაბან კუდები, რამდენიც უნდათ!**

## ვერსიანიუსი

### ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაში ექსპერტები ჩაერთვებიან



ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის განხილვაში საერთაშორისო ექსპერტები ჩაერთვებიან. ამის შესახებ გარემოს დაცვის მინისტრმა ხათუნა გოგალაძემ განაცხადა.

გარემოს დაცვის სამინისტრომ ნიდერლანდების მთავრობას საექსპერტო მომსახურების უზრუნველყოფის თხოვნით მიმართა. ნიდერლანდების სამეფოს გარემოზე ზემოქმედების კომისიის ექსპერტები ხუდონის ჰესის საკითხის შესწავლას უახლოეს დღეებში ადგილზე დაიწყებენ. შესაბამის რეკომენდაციებს კომისია აპრილის ბოლოს შეიმუშავებს. გარემოს დაცვის სამინისტრო იმ მემორანდუმსაც გადახედავს, რომელიც შარშან წინა ხელისუფლებამ პოტენციურ ინვესტორთან დადო და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყდება, გაგრძელდება თუ არა სამშენებლო სამუშაოები აღნიშნულ ჰიდროელექტროსადგურზე.

*„ნიუ პოსტი“*



ნინო კომახიძე
599-95-33-16



# „შეთანხმება არ შედგა — „ნაციონალებმა“, მათ მიერ ჩადენილ დანაშაულზე პოლიტიკური ამნისტია ვერ გამოგვტყუეს, რაც იმას ნიშნავს, რომ სამართლიანობის აღდგენა გაგრძელდება! “

## რა შეცდომებს აღიარებს და „ოცნების“ სახელით, რა გარანტიებს აძლევს პრეზიდენტს ზაქარია ქუცნაშვილი

**ახალმა ხელისუფლებამ სამართლიანობის აღდგენა დაიწყო — ყოველ შემთხვევაში, ასეთია პირველი არჩეული მერის, გიგი უგულავას მიმართ წაყენებული არგუმენტირებული ბრალის მოსმენის შემდეგ „ოცნების“ მხარდამჭერთა ერთი ნაწილის რეაქცია. მეორე და ბევრად დიდი ნაწილი კი, რომელიც ივანიშვილის ხელისუფლებას არჩევნებამდე ენთუზიაზმზე ემსახურა, ახლა თავს „გადაგდებულად“ გრძნობს და რეგიონებში მიმდინარე ყოვლად გაურკვეველ პროცესებში თავისდაუნებურადაა ჩაბმული. როგორ აფასებს ორი მთავარი პოლიტიკური ძალის გარშემო შექმნილ დაძაბულ სიტუაციას „ოცნების“ ფრაქციის თავმჯდომარე და პარტია „ოცნების“ მმართველი ორგანოს, პოლიტსაბჭოს წევრი, რა შეცდომებს აღიარებს და რა პროცესებზე იღებს პასუხისმგებლობას — „ვერსია“ ზაქარია ქუცნაშვილს ესაუბრება.**

— გიგი უგულავას ბრალდების მხარე ქართული ოცნება, პროკურატურაა, რომელსაც მოქალაქეების უფლებების დაცვა ევალება. სახეზეა დანაშაულის ცალსახა ნიშნები, რაც ხალხის ფულის პოლიტიკური კორუფციის მიზნით გამოყენება-გაფლანგვაში გამოიხატება, ასევეა, ტელეკომპანია „იმედთან“ მიმართებაშიც, ასე რომ, მას მართლმსაჯულების წინაშე თავისმართლება მოუწევს. იმდენად მყარია მტკიცებულებები მის წინააღმდეგ, კუბლაშვილის სასამართლოსაც კი გაუჭირდება, უგულავასთვის ხელის დაფარება და იმის თქმა, რომ ის კანონს არ არღვევდა. თან აქ კანონის მასობრივ რღვევას ჰქონდა ადგილი და არა გამონაკლის შემთხვევებს. რომ არა პოლიტიკური კორუფციის ასეთი მასშტაბი, გიგი უგულავა თბილისის მერი ვერ გახდებოდა!

**— დიდი ალბათობით, ვერც „ოცნების“ კანდიდატი გახდება მერი — ვანო მერაბიშვილი ვიცემერია და უგულავას დაჭერის შემთხვევაშიც, ავტომატურად, ახალ მერად სწორედ ის მოგვევლინება — „ოცნებისგან“ სიურპრიზებს მერაბიშვილიც უნდა ელოდეს?**

— „ნაციონალებს“ სურთ, კორუმპირებული სისტემის თანაავტორი უგულავა ძალადობრივი სისტემის თანაავტორი მერაბიშვილით შეცვალონ — ამას ნიშნავს ეს ჩანაცვლება, რაც ადასტურებს, რომ ნაციონალურ მოძრაობას სულ რამდენიმე ადამიანი ედგა სათავეში. ადეიშვილ-კეზერაშვილი გაქცეულია, უგულავა პასუხისგებაშია მიცემული და დარჩა ვანო მერაბიშვილი, რომელიც ცდილობს, თბილისის მერს ჩაენაცვლოს. ისმის კითხვა — ასე რატომ მიისწრაფვიან ამ თანამდებობისკენ? „ნაციონალებს“ არ ჰყავთ სხვა ადამიანები, ვინც მერობას შეძლებს, თუ ეს პიროვნება უნივერსალური და ერთნაირად ნიჭიერია, როგორც იურისპრუდენციაში, ისე ეკონომიკასა და ქალაქის განვითარების სამეურნეო საკითხებში?

**— აქ სხვა კითხვა ისმის — რატომ არ ეხება „ოცნება“ ვანო მერაბიშვილს, ეს პოლიტიკური შეთანხმებაა თქვენს შორის?**

— მერაბიშვილთან მიმართებაში ბევრი კითხვა არსებობს — მე მას პირდაპირ ვადებ ხელს, როგორც ძალადობრივი სისტემის თანაავტორს! მისი უწყების ქვეშ არსებობდა ე.წ. სიკვდილის ბრიგადები, რომლის ერთი ნაწილი მხილებულია. თუმცა ერთია შეფასება, მეორე — მტკიცება, რადგან დანაშაულის კვალის წაშლა შესაძლებელია. ისიც გაითვალისწინეთ, „ნაციონალები“ ბოლო მომენტამდე ითხოვდნენ იმ შუა რგოლის სრულ ამნისტირებას, რომელიც სწორედაც მათ ბინძურ დავალებებს ასრულებდა, თუმცა

> **პოლიტიკური შეფასება და სამართლებრივი ბრალი სხვადასხვაა: პოლიტიკურად, ნათელია, ვინაა მერაბიშვილი, სამართლებრივი ბრალი კი მას მთავარმა პროკურატურამ უნდა წაუყენოს და ვიმედოვნებ, მერაბიშვილი პასუხისმგებლობას ვერ დაუძვრება! ვანოს დროს ყველას უსმენდნენ, პოლიციიდან წამოსვლა, უბრალოდ, შეუძლებელი იყო, რადგან მონა და უკანონო დავალებების აღმსრულებელი უნდა ყოფილიყავი, პოლიციელებს იყენებდნენ აქციების მასობრივ დარბევებში, წერტილოვან თავდასხმებში, მაგრამ ამ ყველაფერს დამტკიცება სჭირდება. სწორედ ამიტომ ვიკავებ თავს სამართლებრივი შეფასებისგან, თორემ, კვალის წაშლის შემთხვევაში, ეშმაკის ადვოკატობაც არაა ძნელი!**

**— პრეზიდენტის მტკიცებით კი, პრემიერმა უგულავა შურისძიების ნიშნად დაიჭირა, რადგან მერი რიყის ტერიტორიის ყიდვის საშუალებას არ აძლევდა.**

— სასაცილოა, ივანიშვილის ქონებრივ ინტერესებზე საუბარი. ბიძინა ივანიშვილს სადღაც მიწა რომ ნდომებოდა, გახდებოდა კიდეც მისი მესაკუთრე, ბოლოს და ბოლოს, მაშინ, მას სააკაშვილთან დაძაბული ურთიერთობა არ ჰქონია. თუ ვინმეს სჯერა, რასაც ისინი ბჟუტურებენ, დაუჯეროს, მე ივანიშვილისა მჯერა და მერს, რომელიც მერი პოლიტიკური კორუფციის შედეგად გახდა, ვერ დავუჯერებ!

**— უმცირესობას ტრადიციად ექცა, მათი ლიდერების დაკითხვა-დაკავებისას საპარლამენტო ტრიბუნის მიტოვება და აქციების მოწყობა. თან ქუჩაში დგანან და თან თქვენი საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის აპირებენ ხმის მიცემას?**

— „ნაციონალებს“ საპროცედურო კუთხით პარლამენტი არ დაუტოვებიათ, როგორც ჩანს, ამ საქმეში სააკაშვილი ჩაერია: რას აკეთებთ, ბიჭებო, წამოდით სასწრაფოდ თბილისშიო — დარწმუნებული ვარ, თბილისიდან ამ შინაარსის ზარი იქნებოდა, ისინიც გამოიქცნენ, გეგონება, უგულავას დაკითხვა პარასკევს საღამოს ყოფილიყო. ყველამ იცოდა, რომ გიგი შაბათს იყო დაბარებული, ამიტომ ამ საჩვენებელ მოქმედებებზე სერიოზული კომენტარი ზედმეტია. შეთანხმება არ შედგა — „ნაციონალებმა“ მათ მიერ ჩადენილ დანაშაულზე პოლიტიკური ამნისტია ვერ გამოგვტყუეს, რაც იმას ნიშნავს, რომ სამართლიანობის აღდგენა გაგრძელდება!

**— შეთანხმების ჩაშლა იმასაც ნიშნავს, ვერც სააკაშვილის უფლებამოსილების შეკვეცა მოხდება და მას ყველა ძველი ბერკეტი ისევ რჩება?**

— საკონსტიტუციო ცვლილებების მთავარი მიზანი მიღწეულია — ყველამ გაიგო, რომ სააკაშვილმა პარლამენტს მთავრობის დანიშვნის უფლება წაართვა და თუ იგი მაინც ბოროტად გამოიყენებს ამ უფლებას, როგორც „ნაციონალებს“ უყვართ ხოლმე თქმა, მათი შენობა ჩამოიშლება და ნანგრევებში, პირველ რიგში, სააკაშვილი მოყვება. რა თქმა უნდა, ამით ყველა დავზარალდებით, თუმცა უპირველესად, ეს სააკაშვილი და მისი პარტია იქნება.

**— ამ ფონზე, სააკაშვილის პარლამენტში მოსმენა მარტის ბოლოს გადაწყდა. იღებთ თუ არა პასუხისმგებლობას, როგორც უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი, პრეზიდენტის უსაფრთხოებასა და იმაზე, რომ პარლამენტთანაც იგივე არ მოხდება, რაც საჯარო ბიბლიოთეკასთან მოხდა?**

— ჩვენ ვკითხეთ პრეზიდენტს, ძალაშია თუ არა მისი სიტყვები ხალხისთვის წართმეული უფლების უკან დაბრუნების თაობაზე და არ გვიპასუხა. რაც შეეხება მის უფლებას, პარლამენტში ანგარიში გააკეთოს, ამის საშუალებასაც მივცემთ. ვალდებულნი ვართ, უზრუნველვყოთ საზოგადოებრივი წესრიგი და ეს არაპოპულარული, კოჭლი იხვი უსაფრთხოდ იყოს პარლამენტსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე!

**— აიღეთ პასუხისმგებლობა „ოცნების“ ათასობით აქტივისტზეც, რომელიც ერთი წელი გემსახურათ და ახლა „გადაგდებულია“ — მათ ვერ მიიღეს დაპირებული ანაზღაურება, თანამდებობები, პარტია „ოცნება“ კი, ფაქტობრივად, აღარ არსებობს, განსაკუთრებით რეგიონებში. რატომ?**

— სრულად ვეთანხმები ამ განწყობის რეალურობას, მეც ხშირად გამიგია ამგვარი პრეტენზიები, მაგრამ ქართულ ოცნებას ქვეყანაში ბევრი წარმომადგენელი ჰყავდა, შესაბამისად, იმაზე, რამდენად სწორად იყო პარტიის საკადრო პოლიტიკა წარმოებული, ისინი აგებენ პასუხს. რაც შეეხება რეგიონებს, არსებული პარტიული სისტემა იმდენად მახინჯია, ხალხმა 1 ოქტომბერს თავისუფალი არჩევანი კი გააკეთა, მაგრამ ახლა იმის უფლება არ აქვს, თავისი რაიონის გამგებელი თავად აირჩიოს. ასე რომ, ეს განწყობა ნამდვილად არსებობს, რადგან

> **ჩვენმა ბევრმა წარმომადგენელმა სწორად ვერ აწარმოა საკადრო პოლიტიკა, ამას ვაღიარებთ, ეს სიმართლეა! ამიტომაც ჩავატარეთ მეორე ყრილობა, ამიტომ გადავედით პარტიაში კოლეგიალური მმართველობის ფორმაზე, ამიტომ ვმუშაობთ თვითმმართველობის ახალ კონცეფციაზე, რათა ამომრჩეველმა გადაწყვიტოს, თვითმმართველობის რა სისტემა სურს.**

**— მაგრამ შრომის ერთჯერად ანაზღაურებასა და თქვენს დაპირებებთან ეს რა შუაშია?**

— კი, ვაღიარებ, აქაცაა პრობლემები, განსაკუთრებით, რამდენიმე რეგიონში, მაგრამ ყველაფერი ისევ ამ რეგიონების წარმომადგენლებზეა დამოკიდებული, როგორ მოექცევიან თავიანთ მუშაკებს და აუნაზღაურებენ თუ არა იმას, რასაც დაპირდნენ. პრობლემები რომ არის, ვიცი და ვადასტურებ, მაგრამ ნუ გვგონია, რომ პარტიული სისტემის აშენება ასე მარტივია!

**— პრობლემებს მოგვარება უნდა — რა მიდგომა გაქვთ ამ ადამიანების მიმართ?**

— მესმის, ბევრი იყო დაპირება, თუნდაც დასაქმებასთან მიმართებაში, მაგრამ ქვეყანაში ახლაც ბევრი კვალიფიციური კადრია დასაქმებული და მათი გაყრითა და ჩვენი პარტიული აქტივისტების დასაქმებით ქვეყანაში უმუშევრობის დონე ხომ არ შეიცვლება? ახლა ვინმეს კი არ ვამართლებ, უბრალოდ, ვამბობ, რომ ეკონომიკის გაძლიერების გარეშე, შეუძლებელია ყველასთვის სამუშაო პირობების შექმნა.

**— ალბათ, „ნაციონალები“ აქციისთვის ძალების მოსაკრებად რეგიონებშიც გავლენ — 19 აპრილისთვის თქვენი ექსმხარდამჭერების მობილიზებაც რომ მოახერხონ და პროვოკაციაზე წავიდნენ, მერე რას აპირებთ?**

— მე ამას შანტაჟისა და პროვოცირების გზას ვეძახი. ვანო მერაბიშვილი დგას და რუსთაველზე მიტინგის მოწყობას აპირებს, რაც უკვე პროვოკაციაა! „ნაციონალებისა“ და მათთან ანგარებით დაკავშირებული ხალხის გარდა, ეჭვი მეპარება, ვინმე ვანო მერაბიშვილის დაძახილზე გავიდეს ქუჩაში, მით უმეტეს, სამართლიანობისა და დასავლურობის ლოზუნგის ქვეშ! ამიტომ 19 აპრილს დაანონსებულ შანტაჟს ღიმილით ვუყურებ. რაც შეეხება პროვოკაციებს, ეს უკვე დაწყებულია, ამიტომ დადის რეგიონებში სააკაშვილი — არჩევნები ჯერ არ არის, არანაირი პროგრამული დოკუმენტის პრეზენტაცია არ აქვს და გაუგებარია, რას დაწანწალებს. აქ პასუხიც მარტივია — დადის იმის გამო, იქნებ, ვიღაცამ კვერცხი ესროლოს!

**— ჰოდა, ამის მცდელობა კიდევ ბევრჯერ იქნება და ამიტომაც გეკითხებით, გაქვთ თუ არა მსგავსი პროვოკაციების ხელშემშლელი ბერკეტი?**

— შს სამინისტრო მსგავს პროცესებს თავს ძალიან კარგად ართმევს. გასაგებია, რომ სააკაშვილი რაიონებში მხოლოდ აგრესიის გამოსაწვევად დადის, რათა ხალხი ერთმანეთთან დააპირისპიროს და თავი „მოძალადე ოცნების“ მსხვერპლად გაასაღოს. სწორედ ესაა „ნაციონალების“ ორთვიანი გათვლის მიზანი, თუმცა დარწმუნებული ვარ, პასუხიც ადეკვატური იქნება.

## ვერსიანიუსი

### კახი კალაძე: „რაბათში ძალით მიყვანილი მოიჯარეების ხელშეკრულებები ეკონომიკური არამომგებიანობის გამო შეწყვეტილია“

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრ კახი კალაძის განცხადებით, „საქართველოში ბიზნესი წნეხისა და ტერორისგან სამუდამოდ გათავისუფლდა და ამას იგრძნობენ ახალციხელებიცა და ყველა სხვა კუთხის მაცხოვრებლებიც“.

ასე გამოეხმაურა კალაძე საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ვანო მერაბიშვილის მიერ რაბათის დათვალიერების შემდეგ გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის მიხედვით, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ გაზრდილი გადასახადების გამო, რაბათში ყველა ობიექტი დაიხურა.

**„ახალციხეში ქვესადგური „ახალციხე-500“-ის დათვალიერების შემდეგ ვეწვიეთ რაბათის ისტორიულ უბანს. გვინდოდა, საკუთარი თვალით გვენახა ის მდგომარეობა, რაც ცოტა ხნის წინ სატელევიზიო სიუჟეტის სახით გავიდა, როგორი დაცარიელებულია რაბათის „რეაბილიტირებული“ უბანი. სამწუხაროდ, ნაციონალური მოძრაობის მიერ აგებული ფასადური აღმშენებლობისა და ვითომ-ეკონომიკური „აღმავლობის“ კიდევ ერთი კლასიკური სქემის მოწმე გავხდით. ადგილზე მოვიძიეთ საიჯარო ხელშეკრულებების სია, სადაც ჩამოთვლილია რაბათის უბანში კომერციული ობიექტების მოიჯარეების დასახელება. ყველა მათგანს ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ზუსტად ერთ დღეს, ერთი და იგივე პერიოდით და წინასწარ გადახდილია ქირა 2013 წლის 15 მაისამდე. აქვე შეგიძლიათ იხილოთ, რა „იაფი“ ღირდა იჯარა და თავად განსაჯოთ, მოცემული კომპანიების ერთსულოვანი გადაწყვეტილება ახალციხეში ბიზნესის გაფართოების შესახებ ეკონომიკური მოსაზრებებით იყო განპირობებული თუ პოლიტიკური მითითებისა და ზეწოლის შედეგად. დღეისთვის, ძალით მიყვანილი მოიჯარეების ხელშეკრულებები შეწყვეტილია ეკონომიკური არამომგებიანობის გამო, კომპანიებისვე სურვილით. საქართველოში ბიზნესი სამუდამოდ გათავისუფლდა წნეხისა და ტერორისგან. ჩვენს ქვეყანაში ძალიან მალე დაიწყება ნამდვილი ეკონომიკური აღმავლობა ნაცვლად იმ ფასადური „სარგებლისა“, რასაც ზოგიერთი მომაკვდავი პარტია გვთავაზობდა. ამას იგრძნობენ ახალციხელებიცა და ყველა სხვა კუთხის მაცხოვრებლებიც“,** — აცხადებს ვიცეპრემიერი.



*„პირველი“*

## არჩილ კბილაშვილმა ის მიზეზები დაასახელა, რომელთა გამოც პროკურატურამ უგულავას დაპატიმრება არ მოითხოვა



პროკურატურამ გიგი უგულავასთვის პატიმრობა შემდეგი მიზეზების გამო არ მოითხოვა — არ სურდა, საქმეს პოლიტიკური ელფერი შესძენოდა; არჩეულ მერს პატივი სცა; პროკურატურის თვითმიზანი გიგი უგულავას, როგორც დედაქალაქის მერის გისოსებსმიღმა ყოფნა არ არის, — ამის შესახებ მთავარმა პროკურორმა, არჩილ კბილაშვილმა განაცხადა, თუმცა იგი ალოგიკურს უწოდებს სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლის საფუძველზე გიგი უგულავას აღკვეთის ღონისძიება არ შეეფარდა.

**„როდესაც დედაქალაქის მერი იმხილება 20 მილიონზე მეტი ლარის გაფლანგვაში, მისი მერობა უკვე სახიფათოა. იქიდან გამომდინარე, რომ წარსულში აქვს ჩადენილი თანხის გაფლაგვა, შესაბამისად, არსებობს საფრთხე, რომ კიდევ ჩაიდინოს ასეთი ქმედება“,** — განაცხადა არჩილ კბილაშვილმა, რომლის თქმითაც, ეს საფრთხე თავისთავად ნიშნავს, რომ პროკურატურის მოთხოვნა დასაბუთებული იყო.

მთავარმა პროკურორმა პარალელი გაავლო ყაჩაღისა და მკვლელის დაკავების პროცედურებთან და აღნიშნა, რომ როდესაც ყაჩაღი საყაჩაღოდ მიდის, ნიშნავს, რომ შეიარაღებულია და თუკი იარაღი არ ჩამოართვეს, მსგავსი ქმედების გამეორების საფრთხე არსებობს:

**„ეს ადამიანი არჩეული მერია და პროკურატურამ მას პატივი სცა. მეორე საკითხი, რის გამოც, დაპატიმრება არ მოვითხოვეთ — გიგი უგულავა პოლიტიკური ფიგურაა და ვერ ავცდებოდით იმას, საქმეს პოლიტიკური ელფერი არ მისცემოდა. მესამე საკითხი — ჩვენთვის არაა თვითმიზანი, მერი გისოსებსმიღმა გვყავდეს“.**

მთავარმა პროკურორმა საგამოძიებო უწყების მხრიდან სასამართლოსთან დაყენებულ კიდევ ერთ შუამდგომლობაზე გააკეთა კომენტარი, რომლის მიხედვითაც, გიგი უგულავას კვირაში ერთხელ საგამოძიებო ორგანოში მისვლა უნდა დავალებოდა, რაც სასამართლომ ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნია: **„როდესაც გიგი უგულავას დაკითხვას დიდი ხნის განმავლობაში ვითხოვდით და იგი ამის წინააღმდეგი იყო, სასამართლომ თვითონ დაავალა სამართალდამცველებს უგულავას დაკითხვაზე იძულებით მიყვანა, ახლა კი როდესაც ჩვენ ვითხოვთ, იგი კვირაში ერთხელ გამოცხადდეს საგამოძიებო ორგანოში, სასამართლო ამ მოთხოვნას უწოდებს დაუსაბუთებელს, რაც ასევე არ ექვემდებარება ლოგიკას“.**

პროკურატურა გიგი უგულავასთან მიმართებაში სასამართლოს გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს.

*„ინტერპრესნიუსი“*

## კოტე კუბლაშვილი: „პოლიტიკური შეხედულებით კრიტიკა სასამართლოზე გავლენას ვერ მოახდენს“



უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი თბილისის მერის, გიგი უგულავას სასამართლო პროცესს გამოეხმაურა.

მისი თქმით, ყოველთვის შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილება გააკრიტიკო, ოღონდ ამას სამართლებრივი საფუძველი უნდა ჰქონდეს.

**„ზოგადად, თქმა იმისა, რომ ეს არის უკანონო, არაფერს ნიშნავს. მთელი ეზოც რომ გაივსოს და ყველამ თქვას, რომ უკანონოა, ეს არაფერს ნიშნავს, რადგან სამართლებრივი დასაბუთება უნდა არსებობდეს“.**

მისივე თქმით, გადაწყვეტილება მიიღო მოსამართლემ, რომელმაც ჩათვალა, რომ ეს საკითხი ასე უნდა გადაეწყვიტა: **„ვერავინ ამ გადაწყვეტილებაში ვერ ჩაერევა, გამორიცხულია. თუკი ვინმეს აქვს პრეტენზია, არის გზა, ზემდგომ ინსტანციაში გაასაჩივროს. პოლიტიკური შეხედულებით კრიტიკა სასამართლოზე გავლენას ვერანაირ შემთხვევაში ვერ მოახდენს“.**

*„ინტერპრესნიუსი“*

# შეეძლო თუ არა გიგი უგულავას მილიონიანი გირაოს გადახდა?

## რომელი ბიზნეს-კომპანიები უკავშირდება, რა ქონებას ფლობს ოფიციალურად თბილისის მერი და ვის სეიფში ინახება უგულავას კომპრომატები





მაია მიშელაძე
593-51-90-12

**თბილისის საქალაქო სასამართლომ დედაქალაქის მერის — გიგი უგულავას მიმართ, პროკურატურის არც ერთი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. არჩილ კბილაშვილის უწყება, გიგი უგულავას მიმართ, აღმკვეთი ღონისძიების სახით, 1 000 000 ლარის გირაოს შეფარდებასა და თანამდებობიდან ჩამოცილებას მოითხოვდა, თუმცა თბილისის მერის განცხადებამ — მილიონიან გირაოს საქართველოში მხოლოდ ერთი კაცი თუ გადაიხდის, მე არ ვარ ასეთი მდიდარი და არც ერთი თეთრის გადახდას არ ვაპირებო, თბილისელებს (და არა მხოლოდ მათ) ღიმილი მოჰგვარა. როგორც ჩანს, მოსამართლესაც „გული აუჩუყდა“ და, სასამართლოს გადაწყვეტილებით, გიგი უგულავა ისევ თბილისის მერად რჩება და, რაც მთავარია, არც გირაოს გადაიხდის! საინტერესოა, რამდენად საფუძვლიანი და არგუმენტირებულია ნაციონალური მოძრაობის განცხადებები ანდა რა ქონებას ფლობს უგულავა, რომლის სახელსაც თბილისში არსებული თუ ოფშორში დარეგისტრირებული თითქმის ყველა ბიზნესი უკავშირდებოდა. „ვერსია“ თბილისის მერის ქონებრივი დეკლარაციითა და იმ ბიზნეს-კომპანიებით დაინტერესდა, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად, გიგი უგულავას სახელს უკავშირდება. ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ, მხოლოდ მშრალ ფაქტებს გთავაზობთ, დასკვნა კი საზოგადოებამ გააკეთოს, რამდენად „ღარიბია“ ყველაზე მდიდარი თბილისის მერი, შეეძლო თუ არა მილიონიანი გირაოს გადახდა და საკმარისია თუ არა ის ბრალდებები, რაც პროკურატურამ წაუყენა!**

### გიგი უგულავას ბიზნეს-ინტერესები

საინტერესოა, კონკრეტულად, რა ტიპის ბიზნესი ან ბიზნეს-კომპანია უკავშირდება თბილისის მერის, გიგი უგულავას სახელს? დავიწყოთ „ყვითელი“ სამარშრუტო ტაქსების ბიზნესით, სადაც უგულავას ინტერესებზე არასამთავრობოებიცა და საკრებულოს ოპოზიციონერი წევრებიც ღიად საუბრობდნენ. ჯერ კიდევ 2010 წლის შემოდგომაზე, „ვერსიის“ ექსკლუზიური ინფორმაციით შეიტყო საზოგადოებამ, რომ თბილისის მერია ე.წ. სპრინტერების შემოყვანას აპირებდა. ტენდერიც გამოცხადდა, მაგრამ თბილისის საკრებულოს მაშინდელი წევრის, თინა ხიდაშელის ინფორმაციით, გიგი უგულავამ სამარშრუტო ტაქსების ტენდერში იმ ოთხ კომპანიას გაამარჯვებინა, რომლებიც ტენდერის ჩატარებამდე რამდენიმე საათით ადრე, „ჯი ემ თი ჯგუფის“ დამფუძნებლებმა, მიხეილ სააკაშვილთან დაახლოებულმა ძმებმა შარანგიებმა, რესტორან „შემოიხედე გენაცვალეს“ მისამართზე დაარეგისტრირეს!

2011 წლის სექტემბერში, „ვერსიამ“ ექსკლუზიური მასალა გამოაქვეყნა, რომელიც გიგი უგულავას სიმამრის — შალვა კილაძის ქაღალდის პარკის ბიზნესს უკავშირდებოდა. საუბარია ნაციონალური მოძრაობის ინიციატივაზე, რომლითაც ცელოფნის პარკები ნელ-ნელა, უნდა ჩაენაცვლებინა ქაღალდის პარკებს. ჟურნალისტური მოკვლევის შედეგად, არც პარლამენტში, არც ფინანსთა სამინისტროში და საერთოდ, არც ერთ უწყებაში მსგავსი ტიპის კანონპროექტი არ აღმოჩნდა, რადგან ასეთი კანონი ბუნებაში არ არსებობდა!

უგულავას სიმამრს ქაღალდი ავსტრიიდან და ესპანეთიდან შემოჰქონდა, ამიტომ ისედაც ძვირადღირებული ქაღალდისგან პარკების დამზადება მწარმოებელსვე 13,5 თეთრი უჯდებოდა. მაღაზიებსაც ამ ფასად აბარებდნენ და, საბოლოო ჯამში, თუკი პროდუქტს შეიძენდით, ქაღალდის პარკის ფასი — 15 თეთრიც უნდა გადაგეხადათ. „ვერსიაში“ გამოქვეყნებულ სტატიას რეზონანსი მოჰყვა და 15-თეთრიანი ქაღალდის პარკების იდეა ჩავარდა, მაგრამ ეს იდეა ეფექტური მხოლოდ მაშინ იქნებოდა, თუკი ქაღალდს ავსტრიიდან და ესპანეთიდან კი არ შემოიტანდნენ, არამედ ქაღალდის პარკებს მეორადი გადამუშავებით, მაგალითად, მაკულატურისგან დაამზადებდნენ. ამით ადგილობრივ წარმოებასაც ხელს შეუწყობდნენ, მაკულატურის ჩამბარებელი პუნქტებიც გაჩნდებოდა, ქაღალდის პარკის წარმოება ძვირი აღარ დაჯდებოდა და მოსახლეობაც უმტკივნეულოდ გადავიდოდა ცელოფნიდან ქაღალდის პარკზე.

ჯიხურების სკანდალური ისტორიაც გიგი უგულავასა და დავით კეზერაშვილს უკავშირდება. უგულავას ინიციატივით, მერიის კუთვნილი ჯიხურები კერძოთი ჩაანაცვლეს, სამაგიეროდ, პრესის გავრცელება აშკარად შეზღუდეს. მეტიც, პრესის ჯიხურების განთავსების ნებართვას თბილისის მერია მხოლოდ პრივილეგირებულ კომპანიებს აძლევდა, მათ შორის, „აუთდორ ჯის“, „ლატარიის კომპანიასა“ და „ვაით დისტრიბუშენს“. სამივე კომპანიის მფლობელი კი თავდაცვის ექსმინისტრის, დავით კეზერაშვილის ცოლისძმა, დიმიტრი ჩიქოვანი იყო.

შესაძლოა, პირდაპირი კავშირი არ არის, მაგრამ ფაქტია, რომ „იაფი ბაზრობა“ თბილისის მერმა საკუთარი მეგობრისთვის, არჩილ გეგენავასთვის „გამოიგონა“ და ამისთვის 3 200 000 ლარიც გამოუყო. ეს ინფორმაცია, ერთი წლის წინ, „ვერსიას“ ექსკლუზიურად თინა ხიდაშელმა მიაწოდა. შეგახსენებთ, ამ დროს არჩილ გეგენავა საქართველოს პარლამენტის წევრი იყო, რომელიც შს სამინისტროსა და სხვა უწყებების კვების ტენდერებიდან ამოაგდეს.

*დასასრული მე-7 გვერდზე*

### გიგი უგულავას ქონებრივი დეკლარაცია

2012 წლის 11 მაისის მდგომარეობით, თბილისის მერის, გიგი უგულავას ქონებრივი დეკლარაცია სტანდარტულია. მისი ოჯახის წევრები არიან: შვილები — ტასო და თინათინ უგულავები, მეუღლე — ლელა კილაძე, გერები — კონსტანტინე კეჟერაშვილი და ლევან მაჭარაძე და უმცროსი ვაჟი მეორე ქორწინებიდან — ალექსანდრე უგულავა, რომელიც 2010 წელს, ავსტრიის დედაქალაქ ვენაში დაიბადა. თბილისის მერის ქონებრივ დეკლარაციაში, მის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების გრაფა ცარიელია და მონაცემებს არ შეიცავს, თუმცა მითითებულია, რომ წყნეთის გზატკეცილზე, 40 000 ლარად ღირებული 37 კვმ ფართის ბინა ჩუქების შედეგად, მეუღლის — ლელა კილაძის საკუთრებაშია.

გიგი უგულავას მიმდინარე საბანკო ანგარიში „თიბისი ბანკში“ 185 ლარია, „საქართველოს ბანკში“ — 8 000 ლარი, ხოლო ლელა კილაძის მიმდინარე ანგარიში „საქართველოს ბანკში“ — 12 000 ლარი. დეკლარაციის მიხედვით, ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული ნაღდი ფულადი თანხის გრაფაში, რომლის ოდენობა 4 000 ლარს აღემატება, მითითებულია ლელა კილაძის კუთვნილი 6 000 ლარი. 2011 წლის 1 იანვრიდან, 31 დეკემბრის ჩათვლით, გიგი უგულავას, როგორც თბილისის მერის შემოსავალმა — 95 400 ლარი, ხოლო ამავე პერიოდში, ლელა კილაძის, როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციის კულტურულ ღონისძიებათა უზრუნველყოფის სამსახურის უფროსისა და ადმინისტრაციის უფროსის მრჩევლის შემოსავალმა — 41 770 ლარი შეადგინა. შვილების სწავლების საფასური გიგი უგულავას 5 555 ლარი დაუჯდა.

2011 წლის 4 მაისის ქონებრივ დეკლარაციაში აღსანიშნავია ერთი დეტალი, ეს არის ლელა კილაძის სახელზე რეგისტრირებული, 50 კვმ ფართის ბინა წყნეთის გზატკეცილზე, რომლის ღირებულება მითითებული არ არის. სამაგიეროდ, 2012 წლის დეკლარაციაში, იგივე მისამართზე, უკვე 37 კვმ-იანი ბინაა თბილისის მერის მეუღლის სახელზე გაფორმებული, ოღონდ ჩუქების შედეგად. 2011 წლის დეკლარაციაში მითითებულია, რომ უმცროსი ვაჟის, ალექსანდრე უგულავას ვენაში დაბადების ხარჯი 12 000 ლარი იყო (?!).

„ვერსია“ გიგი უგულავას 2006 წლის ქონებრივი დეკლარაციითაც დაინტერესდა. ეს ის პერიოდია, როდესაც ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ თბილისის მერის მამა — არჩილ უგულავა, დედა — მანანა ქართველიშვილი, შვილები — ტასო და თინათინი, ძმა — ირაკლი უგულავა, რძალი — ნატალია ფარცხალაძე და ძმისშვილი — არჩილ უგულავა. 7 წლისწინანდელ დეკლარაციაში მითითებულია მამის სახელზე რეგისტრირებული საცხოვრებელი სახლი ცხემის ქუჩა 6-ში, რომელიც 120 000 ლარადაა შეფასებული. აღსანიშნავია კიდევ ერთი დეტალი, ეს არის უგულავას რძლის სახელზე რეგისტრირებული შპს „ჯეოლენდი“, ამავე კომპანიის თანამშრომელია გიგი უგულავას ძმა, რომლის ხელფასი „ჯეოლენდში“ 12 000 ლარს შეადგენდა.

### 1-ლარიანი მიწის ნაკვეთი უგულავას ძმისთვის?!

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან 2003-2012 წლებში, 1 ლარად გასხვისებული სახელმწიფო ქონების ჩამონათვალი და შესაბამისი სამართლებრივი აქტების ასლები გამოითხოვა. 2012 წლის 17 სექტემბრიდან, 30 ნოემბრის ჩათვლით, სახელმწიფო ქონება 1 ლარად სხვადასხვა უწყებებზე გასხვისებულა, მაგრამ „ვერსია“ ამ ჩამონათვალში, გიგი უგულავას ძმის კომპანიას — შპს „ჯეოლენდს“ გადააწყდა. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, 2012 წლის 10 ოქტომბერს, შპს „ჯეოლენდს“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, 1 ლარად გადასცეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება — 8 000 კვ.მ ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. ხელშეკრულების გაფორმებიდან ორ წელიწადში, შპს „ჯეოლენდი“ ვალდებულია, ამ ტერიტორიაზე სამთო ქოხი ააშენოს და საკემპინგე ტერიტორია მოაწყოს.

შპს „ჯეოლენდი“ 2003 წლის 10 ივლისს, აზა მდინარაძემ და ნატალია ფარცხალაძემ დააფუძნეს, რომლებიც თანაბარ, 50-50%-ს ფლობდნენ. 2011 წლის სექტემბრიდან, კომპანიის ერთ-ერთი მფლობელი შეიცვალა და ნატალია ფარცხალაძის კუთვნილი 50%-იანი წილი მეუღლის, ირაკლი უგულავას სახელზე გადაფორმდა. მართალია, ნატალია ფარცხალაძემ საკუთარი წილი მეუღლის სახელზე 2011 წელს გადააფორმა, მაგრამ საინტერესო ის არის, რომ 2008 წელს, „ჯეოლენდის“ პარალელურად, საჯარო სამსახურში, კერძოდ, ეკონომიკის სამინისტროს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ მუშაობდა. 2009 წლიდან, როდესაც ეს დეპარტამენტი გაუქმდა, გიგი უგულავას რძალი ტურიზმის სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილეა, ოღონდ შპს „ჯეოლენდში“ 50%-იან წილს ისევ ფლობდა.

# რას გეგმავენ „ნაციონალები“ 19 აპრილის აქციაზე და რომელი პოლიტიკური პარტიები შეუერთდებიან ოპოზიციას

ეკა სეხნიაშვილი

**ნაციონალური მოძრაობა 19 აპრილს საპროტესტო აქციას გეგმავს. რატომ აირჩიეს 19 და არა 15 აპრილი — პარტიის გენმდივნის, მერაბიშვილის დაბადების დღე? კულუარული ინფორმაციით, „გენერალური მოთელვა“ 10 აპრილს იქნება და ათვლაც აქედანაა დასაწყები, რადგან სასამართლოში გიგი უგულავას საქმის არსებითი განხილვა სწორედ 10-შია ჩანიშნული. რა დანიშნულება აქვს 19 აპრილის აქციას, რას გააპროტესტებენ „ნაციონალები“ და როგორი იქნება ხელისუფლებიდან ოპოზიციაში გადაბარგებული უმცირესობის მიტინგი, ვინ იქნება მიტინგის ფავორიტი და შეუერთდება თუ არა რომელიმე პოლიტიკური ძალა აქციას რუსთაველის გამზირზე?!**



„ვერსია“ შეეცადა, ამ კითხვებზე პასუხი „ნაციონალების“ კულუარებში მიეღო და ისიც გაერკვია, რამდენად მოსალოდნელია ოპოზიციის საპრეზიდენტო კანდიდატად წამებული გიგი უგულავა ვიხილოთ. საპროტესტო აქციას მუხტი სჭირდება, მუხტისთვის კი ფონი უკვე არსებობს — ლოზუნგით „არ დავუთმოთ თბილისი ბიძინა ივანიშვილს“ გიგი უგულავას მხარდამჭერი აქცია. აპრილამდე „ნაციონალების“ პიარ-სტრატეგია ის იქნება, რაც შეიძლება მეტი, თუნდაც გაზვიადებული ინფორმაცია მივიდეს დასავლურ ინსტიტუტებამდე ივანიშვილის მმართველობასთან ბრძოლის შესახებ. წყაროები იმასაც ამბობენ, რომ ფინანსურ პოლიციასთან მერის მხარდამჭერი აქციით საქართველოში აშშ-ს ელჩიც დაინტერესდა. რაც უნდა ვთქვათ, ვის ვის და, „ნაციონალებს“ ყველაზე მეტად აწყობთ გიგისთვის „წამებულის მანტიის“ მოსხმა და ციხეში დროებით მაინც გამოკეტვა. საკანში მყოფი უგულავას საპრეზიდენტო კანდიდატად წამოყენება კი, დაახლოებით, იმდაგვარ კონტექსტში აღიქმება დასავლეთისთვის, როგორც ნელსონ მანდელას ცნობილი ფაქტი. მეორე საკითხია, რა რაოდენობის ხალხს გამოიყვანენ „ნაცები“ ქუჩაში. მართალია, ამ შემთხვევაში, მათ ველარ ექნებათ ადმინისტრაციული რესურსის იმედი, მაგრამ მინიმუმ, 2000 ადამიანი სამსახურებიდან დათხოვნილებით უნდა შეავსონ. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მონაცემებით, მხოლოდ შსს-დან 493 თანამშრომელი გათავისუფლდა, თავდაცვის სამინისტროდან 238, ფინანსთა სამინისტროდან 154, მთავრობის კანცელარიიდან 113 ადამიანი, იუსტიციის სამინისტროდან 105, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროდან — 32, ასევეა დევნილთა და განათლებისა სამინისტროებიდანაც. თუ ამ ციფრებს თბილისის მერიის თანამშრომლებს, ჯერ კიდევ შემორჩენილ აქტივს, ოჯახის წევრებს, ინტელიგენციისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილს დავუმატებთ, წესით, „ნაციონალებმა“ რუსთაველის გამზირის გადაკეტვა უნდა მოახერხონ. თუმცა რომც გადაკეტონ, რას მოიტანს ეს ერთი აქცია და არის თუ არა ეს ქმედება ივანიშვილის თვალწინ კუნთების თამაში, ამას მიმდინარე მოვლენები და პოლიტიკური ამინდი გვაჩვენებს.

არსებობს ვერსიაც, რომ თუკი ივანიშვილის მთავრობის გადაყენება საპროტესტო მუხტს აწევს, შესაძლებელია, აპრილში, სააკაშვილმა ბოლო შანსი გამოიყენოს და ეს ნაბიჯი გადადგას. ექსპერტთა ნაწილი ამ პროგნოზს არ იზიარებს და აცხადებს, რომ სააკაშვილს ამის რესურსები აღარ აქვს და ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, შეძლებს თუ არა ივანიშვილი სოციალური დაპირებების შესრულებას. არადა, მიხეილ სააკაშვილს არა მხოლოდ მთავრობის, პარლამენტის დათხოვნისკენაც მოუწოდებს პოლიტოლოგი ვალერია ნოვოდვორსკაია, რომელიც კონსტანტინე ბოროვოისსა და რამდენიმე პროდასავლელ ოპოზიციურ ლიდერთან ერთად 19 აპრილს, თბილისში, აქციაზე ჩამოვა.

**ჯერ კიდევ გაუხმაურებელი ინფორმაციით, რამდენიმე დღეში, მიხეილ სააკაშვილი გიგი უგულავასთან ერთად, აზერბაიჯანში ვიზიტს გეგმავს. უკავშირდება თუ არა ეს ვიზიტი აქციებისთვის საჭირო ფინანსების მოზიდვას, უცნობია, თუმცა 19 აპრილისთვის „ნაციონალებს“ ფინანსები რომ სჭირდებათ, ფაქტია. მოქმედი კანონმდებლობით, უგულავა ვალდებულია, საქართველოდან გასვლის შესახებ წინასწარ აცნობოს პროკურატურას და მხოლოდ მისი დასტურის შემდეგ დატოვოს ქვეყანა. სავარაუდოდ, უგულავა ამ განაწესს არ დაიცავს და შესაძლებელია, ეს ფაქტიც პროვოკაციისთვის გამოიყენონ.**

აშკარაა, „ნაციონალები“ ტემპერატურის აწევას ყველა საშუალებით შეეცდებიან. პოლიტიკურ თამაშში უკვე აშკარად შემოდიან პარლამენტსგარეთდარჩენილი პოლიტიკური ლიდერებიც, რომლებიც აცხადებენ, რომ „ნაციონალების“ აქციაზე მისვლის გადაწყვეტილებას თემატიკისა და საჯარო მესიჯების გაჟღერების შემდეგ მიიღებენ. თემატიკაზე კი ჯერ თავად „ნაციონალებშიც“ ბოლომდე ვერ ჩამოყალიბებულან. ამ მომენტისთვის კი, მთავარ თემად საგარეო პოლიტიკა სახელდება. ნაციონალური მოძრაობის წევრი **კობა ხაბაზი**, „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ **„ეს აქცია, ძირითადად, შეეხება საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკური კურსის კრიტიკას, თუმცა იქნება საპროტესტო გამოსვლები ივანიშვილის მთავრობის უნიათო პოლიტიკით მიღებულ შედეგებზეც. დარწმუნებული ვარ, ყველა ის ძალა, რომლისთვისაც სულ ერთი არაა საქართველოს მომავალი პოლიტიკური განვითარება, შემოუერთდება ჩვენს აქციას. რაც შეეხება სხვა პარტიებს, ვერ გეტყვით, ვინ სად აღმოჩნდება. ყველა პოლიტიკურმა ლიდერმა უნდა ჩაიხედოს საკუთარ თავში და იმაზე კი არ უნდა იფიქრონ, ამ პოლიტიკური სიტუაციიდან ვინ რას გამორჩება და რა სარგებელს მიიღებს, ქვეყნის მომავალზე რეალური ზრუნვითა და ფიქრით უნდა დაკავდნენ“.**

**მართალია „ნაციონალების“ პროდასავლური კურსი აბსოლუტურად მისაღებია „ქრისტიან-დემოკრატებისთვის“, მაგრამ კულუარული ინფორმაციით, ნაკლებსავარაუდოა, აქციას შეუერთდნენ. ამბობენ, რომ გიორგი თარგამაძემ, რომელსაც ცოტა ხნის წინ, „გასაკრეფავ შუას და სააკაშვილის სატელიტს“ უწოდებდნენ, გადაწყვიტა, ივანიშვილთან „მიჩოჩდეს“. იმასაც ამბობენ, რომ თარგამაძე დროგამოშვებით სტუმრობს აშშ-ს ელჩს და სწორედ პრემიერ-მინისტრის მეგობარ ნორლანდს სთხოვს, „ქართული ოცნების“ ლიდერთან ურთიერთობები დაულაგოს. თარგამაძე იმასაც აცხადებს, რომ 19 აპრილი „ნაციონალების“ ტაქტიკის გაგრძელებაა და ყოფილი ხელისუფლება აქციას თავისი ფინანსური ჯგუფების ქონებრივი რესურსების ხელშეუხებლობისთვის მართავს. თანაც გიორგი თარგამაძეს, სავარაუდოდ, სულ მალე „იმედის“ საკითხებთან დაკავშირებით, პროკურატურაშიც მოუწევს დაკითხვაზე მისვლა.**

„ნაციონალების“ ერთ-ერთი ლიდერი **სერგო რატიანი** „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ **„აქციების მთავარი თემა იქნება „არა — საქართველოს ხელისუფლების საგარეო პოლიტიკურ კურსს“. იგი ერთდღიანი და საგარეო პოლიტიკური ვექტორის ცვლილების საშიშროების გაპროტესტებას შეეხება. გამორიცხული არაა, და რასაკვირველია, შესაძლოა, სხვა პოლიტიკური პარტიებიც შემოგვიერთდნენ. ეს იქნება მაკონსოლიდირებელი აქცია, რომელსაც სხვებიც უნდა შემოუერთდნენ, ვისაც ამის სურვილი ექნება. ჯერ ადრეა კონსულტაციებამდე, თუმცა ალბათ, ვისაც სურვილი ექნება, ის ჩვენთან ერთად დააფიქსირებს თავის პოზიციას“.**

მიუხედავად რატიანის ამ განცხადებისა, „ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, „ნაციონალები“ დღემდე ვერ შეთანხმებულან, აქციის ძირითადი საკითხი საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია იყოს თუ სოციალური თემატიკა. ვანო მერაბიშვილი, რომელმაც არჩევნებამდე რეგიონები მოიარა, მიიჩნევს, რომ სოციალური თემატიკა ხალხისთვის უფრო პრიორიტეტულია და ნატო, ევროკავშირი და მსგავსი საკითხები უფრო ინტელიგენციის სამსჯელო საკითხად ითვლება, რომელთაც ქუჩაში გამოსვლა და მანიფესტაციები ორგანულად არ უყვართ. ასეა თუ ისე, საგარეო პოლიტიკური კურსი, შესაძლოა, ბევრი პარტიისთვის ლაკმუსის ქაღალდი აღმოჩნდეს. გაურკვეველია, ამ საკითხზე გია თორთლაძის, კოკო გამსახურდიას, პაატა დავითაიას პოზიცია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი **ბაჩუკი ქარდავა** კი „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ მისი პარტია მარტში თავად აპირებს აქციების გამართვას და თუკი „ნაციონალების“ აქცია ანტირუსული განწყობის იქნება, პრობლემას ვერ ხედავს იქ მისვლაში. საბოლოო გადაწყვეტილება კი ჯერ არ მიუღიათ: **„ჩვენ არ გვინდა, ოლიმპიადაში ქართველებმა მიიღონ მონაწილეობა, გვინდა, ოკუპაციის შესახებ კანონი უფრო განმტკიცდეს, ოკუპაციის მუზეუმი შენარჩუნებულ იქნას და ყველგან დაფიქსირდეს რუსეთის მიერ განხორციელებული ოკუპაცია საქართველოში“.**

სანამ პოლიტიკური პარტიები გადაწყვეტილებას მიიღებენ, უკვე გადაწყვეტილია, რომ აქციაზე „ნაციონალების“ მთელი აქტივი მივა — გიგა ბოკერია მეუღლითურთ, გიგი უგულავა და ვანო მერაბიშვილი, კობა ხაბაზი და „თავისუფლების ზონა“, თეა თუთბერიძე და „თავისუფლების ინსტიტუტი“, რომელიც თეატრალიზებულ პერფორმანსსაც ან სიმბოლური დატვირთვების მქონე აქციებსაც გამართავს. არ გამორიცხავენ, რომ სიტყვით გამოვიდეს მიხეილ სააკაშვილი, თუმცა რით დასრულდება ეს აქცია, პროგნოზირება რთულია. უნდა ველოდეთ თუ არა, ვითარების სამოქალაქო დაპირისპირებაში გადასვლას და სისხლიან პროვოკაციებს, 19 აპრილს, ამჯერად, რუსთაველის გამზირზე, ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, რას უპასუხებს პრეზიდენტი სააკაშვილი პრემიერ-მინისტრის მიმართვას!

ეკონომიკა

# შეეძლო თუ არა გიგი უგულავას მილიონიანი გირაოს გადახდა?

*მე-6 გვერდიდან*

ამ ტენდერებზე „ვერსიაში“ 2011 წლის სექტემბერში ვწერდით და დეტალურად განვიხილავდით მიზეზებს, რის გამოც, „ნაციონალები“ არჩილ გეგენავას შემოსწყრნენ. ოქტომბერში, პოლიტიკურ ორბიტაზე ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა, ვითარება ისე რადიკალურად შეიცვალა, რომ მაშინდელ მმართველ გუნდს გეგენავაც გადაავიწყდა და კვების ჩაშლილი ტენდერებიც. აი, ამ დროს იმარჯვა უგულავამ და 2011 წლის დეკემბერში, თბილისში „იაფი ბაზრობები“ გამოჩნდა, რომელიც, თინა ხიდაშელის ინფორმაციით, არჩილ გეგენავას „ფუდ სერვისის“ პროდუქტებით მარაგდებოდა.

სულ ცოტა ხნის წინ, „ვერსიაში“ იმ მიზეზებზე ვწერდით, რის გამოც, მარიკა ვერულაშვილმა ნაციონალური მოძრაობა დატოვა. მიზეზი თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტია, რომელსაც დეპუტატის მეუღლე უკავშირდება, მაგრამ აქ საინტერესოა ერთი დეტალი — თავიდან ბოლომდე, ეს პროექტი გიგი უგულავას ინტერესებში იყო. თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტს გიგი უგულავა აკონტროლებდა და რელსების შემოტანის ტენდერში, მისთვის სასურველ ჩინურ კომპანიას გაამარჯვებინა.

„ვერსიასთან“ საუბრისას, შპს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორის მრჩეველმა, გია ხუხაშვილმა აღნიშნა, რომ თბილისის შემოვლითი გზის პროექტი ამჟამად შეჩერებულია და გამოძიება მიმდინარეობს. მისი თქმით, ლოგიკურია, რომ ამ პროექტით გიგი უგულავა დაინტერესებულიყო, რადგან თბილისის მერი შემოვლით რკინიგზას სერიოზულად ლობირებდა. გია ხუხაშვილმა „ვერსიას“ ისიც განუცხადა, რომ თუ ექსპერტიზა თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის აბსურდულობას დაასკვნის, გამორიცხული არ არის, გიგი უგულავას პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს!

დაბოლოს, დაბა გუდაურით დავასრულოთ, რომელიც მცხეთა-მთიანეთს კი არა, თბილისის მერიას ექვემდებარება და გუდაურის რეაბილიტაციის პროექტიც გიგი უგულავას უკავშირდება. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, გუდაურში მშენებარე სასტუმროები უგულავას მფლობელობაშია, მეტიც „გუდაურის განვითარების ფონდიდან“ თანხები არამიზნობრივად იხარჯება. პროექტის ყველა ტენდერი უგულავას ნათესავ-მეგობრების კომპანიებმა მოიგეს, ხოლო, გავრცელებული, თუმცა დაუდასტურებელი ინფორმაციით, ტენდერში გამარჯვების საფასურად, გიგი უგულავას 20%-ს უხდიდნენ!

ეს მხოლოდ ის გახმაურებული ჟურნალისტური მოკვლევის ფაქტებია, რომელზეც უგულავას მერადარჩევის შემდეგ „ვერსია“ ექსკლუზიურად წერდა, თუმცა უახლოეს ნომერში იმ ფაქტებს შემოგთავაზებთ, რომელიც უგულავას მიერ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებასა და იმ კანონდარღვევებს ასახავს, რომელთა ნაწილი არასამთავრობოებმა, ნაწილი კი კონტროლის პალატამ (აუდიტის სამსახური) შეისწავლა, დასკვნებიც დაიწერა, მაგრამ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ზურაბ ადეიშვილის ძალისხმევით, გიგი უგულავას საქმეში ჩაიდო, მთავარ პროკურატურას არ გადაეგზავნა და დღის სინათლე ვერ იხილა. „ნაცმოძრაობის“ კულუარებში გავრცელებული ინფორმაციით, უგულავას კომპრომატები „შავი დღისთვის“ ანუ საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ინახებოდა და სწორედ იმისთვის იყო განკუთვნილი, რომ თბილისის მერის მოჭარბებული საპრეზიდენტო ამბიცია გაენეიტრალებინათ. თუმცა არ არის გამორიცხული, ამ მასალების ნაწილი საჭირო დროსა და საჭირო მომენტში, ისევე გამოჩნდეს, როგორც ბუტა რობაქიძის მკვლელობის ამსახველი ვიდეომასალა ვიხილეთ. მოკლედ, კომპრომატებს (წიწილებს) შემოდგომით დავითვლით, მანამდე კი გიგი უგულავას მილიონები დავითვალოთ, თბილისელების ნაგავთან, წყალსა და ტრანსპორტის გადასახადთან ერთად, დედაქალაქის ბიუჯეტიდან რომ „ტყდებოდა“!

## ვაჰაგან ჩახალიანი: „სააკაშვილს უმცირესობების წინაშე დანაშაული აქვს ჩადენილი“

ეთნიკური მრავალფეროვნება ჰარმონიული განვითარებისთვის — ამ თემაზე მსჯელობდნენ „რედისონში“ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები. საუბარი იყო იმ პრობლემებზე, რომელიც ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებით არსებობს. შეხვედრას სახალხო დამცველი, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. „რედისონში“ იმყოფებოდა ვაჰაგან ჩახალიანი, რომელიც აცხადებს, რომ ჯავახეთში ხელმოწერების შეგროვებას იწყებს საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ.

მისი თქმით, მიხეილ სააკაშვილს უმცირესობების წინაშე დანაშაული აქვს ჩადენილი, რისთვისაც პასუხი უნდა აგოს.

„ჯავახკის“ ექსტრემისტული მოძრაობის ლიდერმა, ვაჰაგან ჩახალიანმა საპატიმრო ამნისტიის შედეგად დატოვა. „ჯავახკის“ აქტივისტი 10-წლიან პატიმრობას მასობრივი არეულობების, იარაღის ტარებისა და ხულიგნობის ბრალდებით იხდიდა. კრიმინალის გათავისუფლება სომხეთში ვიზიტის დროს, საქართველოს პრემიერს სომხეთის პატრიარქმა სთხოვა.

## ბიძინა ივანიშვილი მსოფლიო საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტს კირსან ილუმჟინოვს შეხვდა



შეხვედრა ბიზნესცენტრში გაიმართა. მას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი და მინისტრის პირველი მოადგილე ზურაბ აზმაიფარაშვილი დაესწრნენ. მხარეებმა საქართველოში ჭადრაკის განვითარების პერსპექტივებზე იმსჯელეს. შეხვედრის დასასრულს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მსოფლიო საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტთან ჭადრაკიც ითამაშა. **„ჩვენი სურვილია, თბილისმა ჭადრაკის დედაქალაქის ფუნქცია შეიძინოს. ქართულ ჭადრაკს ძალიან დიდი ტრადიცია გააჩნია და ეს ტრადიცია აუცილებლად უნდა გაგრძელდეს“,** — განაცხადა კირსან ილუმჟინოვმა შეხვედრის დასრულების შემდეგ.

*„ნიუპოსტი“*



# „ეს სამსახური პარტიული ნიშნით არ მიმიღია, დავით ონოფრიშვილმა ჩათვალა, რომ პროფესიონალი ვიყავი!“

## ირმა სტეფნაძე დავით უსუფაშვილს, ეკა ბესელიასა და საერთაშორისო ორგანიზაციებს საკუთარი უფლებების დაცვას სთხოვს!



მაია მიშელაძე
593-51-90-12

**შპს „საქართველოს რკინიგზის“ დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, ირმა სტეფნაძე, რომელიც 9 წლის განმავლობაში, მგზავრთა გადაყვანის დირექტორის მოადგილე იყო საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რებრენდინგის საკითხებში, სამსახურიდან გაათავისუფლეს. სამწუხაროდ, ამის შესახებ წინასწარ არ შეატყობინეს, მეტიც, ირმა სტეფნაძემ სამსახურიდან გათავისუფლების ამბავი მედიის საშუალებით გაიგო. მართალია, შემცვლელი უკვე მოუძებნეს და უკვე ერთი კვირაა, „საქართველოს რკინიგზაში“ ის დაჩი ცაგურიამ ჩაანაცვლა, მაგრამ ირმა სტეფნაძე, 2013 წლის 1 მარტამდე, ოფიციალურად, ისევ რკინიგზის თანამშრომლად ითვლება. მას შემდეგ, რაც „საქართველოს რკინიგზის“ დირექტორთა საბჭო, გათავისუფლების შესახებ ბრძანებას გაუგზავნის, ირმა სტეფნაძე აპირებს, განცხადებით მიმართოს როგორც პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს, ასევე პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს ეკა ბესელიას და საერთაშორისო ორგანიზაციებს. მანამდე კი „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში, სამსახურიდან გათავისუფლების პოლიტიკურ მიზეზებზე საუბრობს. მეტიც, პირველად, 9 წლის მანძილზე, ირმა სტეფნაძე „ვერსიასთან“ დუმილს არღვევს და შალვა რამიშვილის დაკავების სკანდალურ დეტალებსაც იხსენებს.**

**— ირმა, სამართლებრივი თვალსაზრისით, სრულიად უკანონოდ გაგათავისუფლეს, ხომ?**

— შესაძლოა, მათი არგუმენტი ყოფილიყო, რომ სამგზავრო გადაყვანებში ასეთი შტატი აღარ სჭირდებოდათ, მაგრამ დებულებაში ხომ უნდა ჩაეხედათ? მერე რა, რომ სამგზავროს დირექტორის მოადგილე ვარ, ეს ცენტრალიზებული სამსახური იყო, რომელიც მთლიანად „საქართველოს რკინიგზას“ ემსახურებოდა. ჩემს გათავისუფლებამდე დიდი ხნით ადრე, გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ვუთხარი კიდეც, თუ ჩემი შტატის გაუქმება იმას ნიშნავს, რომ „საქართველოს რკინიგზა“ საერთოდ უარს ამბობს პრესსამსახურის არსებობაზე, პირდაპირ მითხარით, რადგან ჩემი სამსახურიდან გაშვება მოგიწევთ. თუ ცენტრალურ აპარატში იქმნება მსგავსი სამსახური, მითხარით, მოვიაზრები თუ არა. გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა მითხრა, რომ პასუხი არ ჰქონდა, სამაგიეროდ, პრესით შევიტყვე, რომ ჩემს ადგილზე, დაჩი ცაგურია დანიშნეს. 2004 წელს მივედი რკინიგზაში დავით ონოფრიშვილთან ერთად და გაიხსენეთ, რა პერიოდი იყო, ან რა იმიჯი ჰქონდა რკინიგზას. დღეს თუ ვილაც სიამაყით მიდის ამ სამსახურში და პირდაპირი მნიშვნელობით, ბრდღვნა არის, ვინ დაიწყებს რკინიგზაში მუშაობას, ეს ჩემი დამსახურებაცაა. დიახ, ჩვენ განვსაზღვრეთ ამ კომპანიის იმიჯი და მეტიც, აქ მუშაობა პრესტიჟული გავხადეთ! მოგწონთ ახალი მატარებლების დიზაინი, გამცილებლებისა და მემანქანეების ჩაცმულობა? ეს ყველაფერი საკუთარი ხელით გავაკეთე, ჩემი დიზაინია, ქსოვილიც კი თვითონ შევარჩიე. დღეს რკინიგზაში მუშაობენ ახალგაზრდები, რომლებიც ძველი სტერეოტიპებისგან განსხვავდებიან, მემანქანეებს შორის, ისეთი ახალგაზრდებიც გვყავს, რომლებიც თბილისის კლუბებში როკს უკრავენ. „საქართველოს რკინიგზა“ თანამედროვე ტიპის კომპანიაა, რომლის ფასიანი ქაღალდები საერთაშორისო ბირჟებზე ჩვენ გავიტანეთ, ამიტომ ვერ წარმომიდგენია, რომ შეიძლება, ადამიანს ისე მოექცე, სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზიც კი არ აუხსნა. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ჩემთან მიმართებაში პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღეს.

**— გია ხუხაშვილის გენერალური დირექტორის მრჩევლად დანიშვნის ფაქტორს ხომ არ გულისხმობთ, მახსოვს, წლების წინ, როდესაც საგადასახადო შემოსავლების მაშინდელი მინისტრის მიხეილ მაჭავარიანის პრესსამსახურის უფროსად მუშაობდით, პიროლიზური ფისის სკანდალური ისტორია სწორედ თქვენს უწყებას უკავშირდება. თქვენ აკრძალეთ პიროლიზური ფისის შემოტანა, რომელსაც ნედლ ნავთობში — ნაფტაში ურევდნენ და მაღალი ოქტანობის, უხარისხო ბენზინს კუსტარულად აწარმოებდნენ. მახსოვს, მაშინ გია ხუხაშვილი აქტიურად დაგიპირისპირდათ კიდეც, თუ ვცდები?**

— არ ცდებით! ეს იყო პიროლიზური ფისის სკანდალი, ამ დროს უკვე შემოღებული გვქონდა აქციზის გადასახადი ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე, მაგრამ შემოჰქონდათ პიროლიზური ფისი, რომლითაც პატარა საწარმოებში უხარისხო ბენზინს აწარმოებდნენ, რაც აღარ ექვემდებარებოდა აქციზის გადასახადს. თქვენ ახლა ძალიან დიდი ბრძოლის ისტორია გაიხსენეთ და მაშინ ნინო ჩხობაძე და გია ხუხაშვილი ჩვენი ოპონენტები იყვნენ. ერთი წუთით თავი დავანებოთ ამ ისტორიას და დავუშვათ, რომ პოლიტიკური ნიშნით არ გაუთავისუფლებივარ, მაგრამ დაჩი ცაგურია ხომ აშკარად პოლიტიკური ნიშნით დანიშნეს ამ თანამდებობაზე. რაც ეს ხელისუფლება მოვიდა, ყველა გამოსვლებში საუბრობდნენ, რომ ადამიანებს არ გავუშვებთ სამსახურებიდან და მხოლოდ პროფესიული ნიშნით შეარჩევდნენ. ჰოდა, დამისაბუთონ, რას ნიშნავს ის, რაც ჩემს თავს მოხდა? ჯერ ერთი, ამდენი წლის მუშაობის შემდეგ, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე მიშვებ სამსახურიდან, წინასწარ არავის უცნობებია და რაც მთავარია, დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილება მედიის საშუალებით გავიგე.

**— ახლა რას აპირებთ, მხოლოდ პრესკონფერენციით შემოიფარგლებით?**

— კარგად მახსოვს, პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა თქვა არაერთხელ და ეკა ბესელიამაც განაცხადა, რომ ყველა შემთხვევას, სადაც მიაჩნიათ, რომ უსამართლოდ ან პოლიტიკური ნიშნით გაუშვეს სამსახურებიდან, უნდა მიმართონ მათ. როდესაც ჩემი პრესკონფერენცია ტელევიზიებმა გააშუქეს, ეკა ბესელია გამომეხმაურა და აღნიშნა, არ შეიძლება, საჯარო განცხადება ჩაითვალოს საფუძვლად, რომ დავიწყოთ კვლევა, ამიტომ შემოიტანოს განცხადება და განვიხილავთო. ნამდვილად არ მეზარება და განცხადებით მივმართავ როგორც ეკა ბესელიას, ასევე დავით უსუფაშვილს, მხოლოდ დოკუმენტს ანუ ჩემი გათავისუფლების ბრძანებას ველოდები „საქართველოს რკინიგზიდან“ და იმედი მაქვს, მომცემენ. გარდა ამისა, საერთაშორისო ორგანიზაციებსაც მივაწვდი ამ ინფორმაციას, რადგან მაქვს ორი კითხვა — არის თუ არა ეს პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლება? თუ ეს ასე არ არის, მაშინ დამისაბუთონ, რატომ გამიშვეს, დავდებ ჩემს ჩV-ს, იმანაც დადოს, ვინც ჩემს ადგილზე იმუშავებს და შევადაროთ, ვინ უფრო პროფესიონალია. თუ პროფესიული ნიშნით გამიშვეს, მაშინ დამისაბუთონ, რომ ის ადამიანი, ვინც ჩემს ადგილზე მოიყვანეს, გაცილებით პროფესიონალია. ეს სამსახური პარტიული ნიშნით არ მიმიღია, დავით ონოფრიშვილმა იმიტომ შემომთავაზა, რომ ჩათვალა, პროფესიონალი ვიყავი.

**— ირმა, არც ისე დიდი ხნის წინ, შალვა რამიშვილის საქმესთან დაკავშირებით ისევ დაიკითხეთ, რა უთხარით გამომძიებელსა და პროკურორს?**

— სულ რამდენიმე კითხვა ჰქონდა პროკურატურას, რადგან ახალ გარემოებად მიიჩნიეს კობა ბექაურის განცხადება, როდესაც ჩვენება შეცვალა და თქვა, რომ ზურაბ ადეიშვილმა დააძალა, ეს ყველაფერი გაეკეთებინა. პროკურატურას აინტერესებდა, ვიცოდი თუ არა რამე ამის შესახებ, მათაც ვუთხარი და თქვენც გაგიმეორებთ, რომ რამდენჯერაც ხელისუფლება შეიცვლება, არ ვაპირებ, პოზიცია შევცვალო. რაც ამდენი ხნის განმავლობაში ვიცოდი, ანუ რაც 2005 წელს ვიცოდი, ის ვიცი ახლაც. ბექაურმაც თქვა ჩვენებაში, რომ მე არაფერი ვიცოდი, მაგრამ ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია და არ მახსენდება მსგავსი ისტორია, ადამიანს არ სცოდნოდა, რაში აღებინებენ მონაწილეობას, თან ადამიანი, რომელსაც მეგობარს უწოდებ. წარმოგიდგენიათ, ადამიანი მთხოვს, რომ მოვა ჩემთან 15-20 წუთით და ჩემი სახლიდან გასულ ადამიანს აპატიმრებენ, მაგრამ ყველაზე დიდი შოკი ის იყო, როდესაც 15.00-საათიანი „კურიერი“ ჩემი სახლის კადრებით დაიწყო. არის თუ არა ჩემი უფლება, ეს ყველაფერი მცოდნოდა? ოჯახის, ადამიანის ასეთი შეურაცხყოფა, ასე გადაჯეგვა ჩემი ოჯახის, წარმოუდგენელია. კობა ბექაური არის ადამიანი, რომელსაც არავითარი ფასეულობა, ღირებულება არ გააჩნია. არადა, ყოველთვის ერთი სოფლელი, მთიული ბიჭი მეგონა, ფილოლოგი ვარ განათლებით და მთის ხალხი სულ სხვაა ჩემთვის. მეგონა, ბექაური მთის ფასეულობების მატარებელი ადამიანი იყო, რომელიც „მხეც“ თბილისში, საკუთარი ადგილის დამკვიდრებას ცდილობდა. პარტიიდან ვიცნობდი და მეგონა, პატივს მცემდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ასე არ არის. ახლა. ამ ისტორიის თავიდან გაცოცხლებით, მიმაჩნია, ეს ადამიანი ყველაფერს იკადრებს. პროკურორსაც ვუთხარი, სასაცილოა, ზურაბ ადეიშვილი დღეს ჩემი დასაცავი გახდეს, მაგრამ არ მჯერა, რომ კობა ბექაურს დააძალეს რამე. ეს არის კაცი, რომელმაც უკადრებელი იკადრა ჩემი და ჩემი ოჯახის მიმართ, შალვა რამიშვილი 4 წლით ჩასვა ციხეში და მერე, როდესაც დასჭირდა, მასთან პირდაპირ ეთერში მივიდა და ბოდიში მოუხადა! ჩემი საქმე არ არის, მაგრამ მე ვიცი ერთი რამ, იმ დღეს, როდესაც შალვა რამიშვილი დააპატიმრეს, ბექაური ჩემს სახლში ძველისძველი, მწვანე, დანჯღრეული „ეშკა“ მერსედესით მოვიდა, მაგრამ ამის შემდეგ, პირველი „იქს 6“ ბექაურს ჰყავდა ამ ქალაქში.

## ვერსიანიუსი

## ფინანსთა სამინისტრომ თბილისის განვითარების ფონდის დოკუმენტაცია ამოიღო




ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა თბილისის განვითარების ფონდის საქმიანობის სრული დოკუმენტაცია ამოიღო. **„მას შემდეგ, რაც თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა საქართველოს მთავარი პროკურატურის აბსოლუტურად დაუსაბუთებელი და აბსურდული შუამდგომლობა და თბილისის მერის მიმართ, აღკვეთის ღონისძიების არც ერთი სახე არ იქნა გამოყენებული, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ამის საპასუხოდ, გადაუდებელი აუცილებლობით, თბილისის განვითარების ფონდიდან მისი საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია სრულად ამოიღო. ნათელია, რომ სასამართლოს განჩინების გარეშე (რაც დოკუმენტაციის ამოღებისთვის ზოგადად, აუცილებელი წინაპირობაა) დოკუმენტაციის ამოღების არანაირი აუცილებლობა არ არსებობდა, რადგან საგამოძიებო ორგანოს მიერ, უკვე ნოემბრის თვიდან აქტიურად მიმდინარეობს ფონდის საქმიანობის შესწავლა და ამის ხელის შემშლელ არც ერთი ფაქტს ადგილი არ ჰქონია“,** — ნათქვამია განცხადებაში.

როგორც თბილისის მერიაში აცხადებენ დოკუმენტების ამოღება სასამართლოს განაჩენის გარეშე მოხდა, აღნიშნულ ფაქტს მერიაში თბილისის მერისთვის ახალი ბრალდებების „შეთითხნას“ უკავშირებს.

**„ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ მას შემდეგ, რაც საგამოძიებო ორგანოების დაუსაბუთებელმა ბრალდებებმა, დაარწმუნა როგორც საზოგადოება, ასევე თავად საგამოძიებო ორგანოები თბილისის მერისთვის წარდგენილი ბრალდებების აბსურდულობაში, მათ სასწრაფო წესით წამოიწყეს ახალი ბრალდების შეთითხნის პროცესი. ყოველივე ამით კი კვლავ გრძელდება პოლიტიკური ზეწოლა თბილისის თვითმმართველობაზე“,** — აღნიშნულია მერიის განცხადებაში.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

თამარ ლომსაძე
568-34-44-94

# დიმა ჯაიანი სოხუმის თეატრში ბრუნდება

**„სოხუმის თეატრში ძალიან მალე დავბრუნდები, ეს უკვე ღირსების საკითხია“, — აცხადებს „ვერსიასთან“ მსახიობი დიმა ჯაიანი, რომელიც ქვეყანაში არსებულ ვითარებას აფასებს, შიშობს, საქმე სამოქალაქო დაპირისპირებამდე არ მივიდეს, თეატრის შესახებ კანონსა და იმაზე საუბრობს, რა შეიცვალა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, ხოლო „ნაციონალებს“ დათა თუთაშხიას სიტყვებს ახსენებს — ადამიანი ფიქრისთვისაა გაჩენილიო და ექსხელისუფალთ თუთაშხიასეულ „5 მანეთს“ სთავაზობს, რომ იფიქრონ!**

— დიახ, უნდა იფიქრონ იმაზე, როგორ გაიხადეს საქართველოს დროშა თავისად, სპორტსმენები საქართველოს კი არა, „ნაცმოძრაობის“ დროშით გამოდიოდნენ და ეს არაა ნორმალური. სწორად გამიგეთ, სოხუმელი კაცი ვარ და ნამდვილად არ მიხარია ვინმეს ციხეში წასვლა, მაგრამ დამნაშავეები უნდა გასამართლდნენ. სამართლიანობა უნდა აღდგეს!

**— და ეს პროცესი ყოფილ ხელისუფალთა დაჭერა-დაკითხვითა და ხელოვანი ადამიანების თეატრებში სამხატვრო ხელმძღვანელებად დაბრუნებით უნდა დაიწყოს, აუცილებლად?**

— ეს ადამიანები, რობერტ სტურუა, ქეთი დოლიძე, მათ შორის მეც, უდავოდ, პოლიტიკური ნიშნით წამოვედით. ჩემს მაგალითზე გეტყვით — ნამდვილად არ ვიცი, რა ხდება ახლა სოხუმის თეატრში, მაგრამ იმედი მაქვს, მალე დავბრუნდები იმიტომ, რომ სამართლიანობა ყველგან უნდა აღდგეს.

**— თავის დროზე, დასი გადაგიდგათ, ამის მიუხედავად, მაინც ბრუნდებით?**

— ცალკე საუბრის თემაა, ვიმუშავებ თუ არა. ორ წელზე მეტია, იქ აღარ ვარ, ბევრი რამ შეიცვალა, მეც გადავაფასე რაღაცები, მით უმეტეს, გორკის აქვს ნათქვამი — ადამიანი საოცრებაა, ადამიანი კუჭზე მაღლა დგასო და ამ კუთხით რომ შევხედე, შეიძლება, არც ღირდეს დაბრუნება, მაგრამ ეს უკვე ღირსების საკითხია. შეიძლება ხმამაღლა ნათქვამი გამომივიდეს, მაგრამ მე რომ არ ვყოფილიყავი, „სოხუმის თეატრი“ არ იქნებოდა! არ აქვს მნიშვნელობა, ვის უყვარს დიმა ჯაიანი და ვის არა, ეს მაინც ყველამ კარგად იცის და როცა თეატრიდან პოლიტიკური ნიშნით გამიშვეს, ციხე, შიგნიდან გატეხეს. ესაა საწყენი — სამჯერ შემომიტიეს, ორჯერ თეატრი ერთმუშტად შეკრული დადგა, მესამედ ჭკუა იხმარეს, შიგნით დაიწყეს მუშაობა, რასაც ნამდვილად არ ველოდი. ჩემმა შვილებმა მითხრეს — აქ აღარ მუშაობო. თურმე ღამღამობით ამხანაგი ბარამიას კაბინეტში იკრიბებოდნენ და გეგმას ამუშავებდნენ.

**— იქნებ იმ მსახიობებსაც გარკვეული ცვლილებები უნდოდათ და პოლიტიკური შეხედულებები აქ არაფერ შუაშია?**

— არა! მე ყოველთვის ერთი პრინციპით ვმოქმედებდი — სოხუმის თეატრს აზრი აქვს სოხუმში! მე სხვა თეატრში არ მიმუშავია, სოხუმის თეატრის სცენაზე ვიდექი ისე, როგორც უნდა ვმდგარიყავი და უკან არასოდეს დამიხევია. სანამ ეს თეატრი არსებობდა, ადამიანებს იქ დაბრუნების იმედი ჰქონდათ. მახსოვს, აჭარაში გვქონდა გასტროლი, ვითამაშეთ „ზღვა, რომელიც შორია“. სცენაზე ერთი სოხუმელი ქალბატონი ამოვიდა, რომელიც ახლაც იქ ცხოვრობს და თქვა: სანამ არსებობს გამსახურდიას თეატრი, არსებობს იმედი, რომ ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებითო.

**— კი, მაგრამ ახლაც ხომ არის ეს თეატრი და სპექტაკლებიც იდგმება?**

— კი, როგორ არა, თამაშობენ სპექტაკლებს, მაგრამ ეს ის თეატრი არ არის, რომელზეც ის ქალბატონი საუბრობდა იმიტომ, რომ წამყვანმა ძალამ იქაურობა დატოვა. ღირსეული ადამიანები წამოვიდნენ ჩემს შემდეგ და გული მწყდება... მეგონა, ამაღლებულ თეატრში ვმუშაობდი, ამაღლებულ ადამიანებთან ერთად, უმრავლესობა კი ისეთი აღმოჩნდა, ამაზე საუბარიც არ მინდა. ვიმეორებ, აუცილებლად დავბრუნდები თეატრში, ძალიან მალე, ზუსტად იგივე თანამდებობაზე, საიდანაც გამიშვეს.

**— როგორც ჩანს, ყველაფერი უკვე გადაწყვეტილია და რა ბედი ელის იმ მსახიობებს, რომლებიც თავის დროზე, თქვენ წინააღმდეგ წავიდნენ. რობერტ სტურუა დიქტატორად დაბრუნდა, თქვენ რევანშისტად ბრუნდებით?**

— როდესაც თეატრიდან გამიშვეს, ამას ძალიან განვიცდიდი, რობიკოს გათავისუფლების შემდეგ, საკუთარ თავს ვუთხარი — სტურუა გაუშვეს და შენ ვინ ხარ-თქო? რაც შეეხება დიქტატურას, თეატრი ამის გარეშე წარმოუდგენელია.

ხელმძღვანელი ყოველთვისაა დიქტატორი, ოღონდ კარგი გაგებით, არ უნდა დაჩაგროს მსახიობი, ტექნიკური პერსონალი, სიმართლეს უნდა ემსახუროს... ადამიანი რეპეტიციაზე ან სპექტაკლზე ნასვამი თუ მოვა, ის ეგრევე უნდა მოკვეთო, თუნდაც ამისთვის მისი თეატრიდან გაშვება დაგჭირდეს იმიტომ, რომ სხვაგვარად ყველაფერი დაგენგრევა. კარგი თეატრი თუ გინდა, დიქტატურის გარეშე ვერ შექმნი. ათი წლის განმავლობაში, სოხუმის თეატრში ნასვამი კაცი არ მოსულა არც რეპეტიციაზე და მით უმეტეს, არც სპექტაკლზე. გამოდის, დიქტატორი ყოფილა გოგი ქავთარაძე, რომლის მოღვაწეობაც სოხუმის თეატრისთვის უდავოდ ოქროს ხანა იყო.

**— კითხვაზე არ მიპასუხეთ, რევანშისტად ბრუნდებით სოხუმის თეატრში?**

— არა, როცა დავბრუნდები, არავის გაუშვებ...

**— შეიძლება არ გაათავისუფლოთ, მაგრამ აიძულებთ ამის გაკეთებას.**

— არა, ღმერთმა დამიფაროს... საერთოდ, რა რევანშზეა საუბარი? ნამდვილად არ ვაპირებ მათთვის მორალის კითხვასა და ზნეობაზე საუბარს. მე რეჟისორი არ ვარ და თუ მოწვეული რეჟისორი დააკავებს სპექტაკლში, ითამაშონ, ხელს არ შევუშლი. თუ ვინმე წასვლას გადაწყვეტს, წავიდეს, უკან არ გავეკიდები, თორემ წასვლის საბაბს ნამდვილად არ მივცემ. რა რევანში? იმათ თავისი გაჭირვებაც ეყოფათ, მე რატომ უნდა ჩავერიო ამ



**„ამათ გულზე არ მოხვედრიათ ახალგაზრდა კაცის სიკვდილი... სხვაგვარად ახალგაზრდა ბიჭებს საზარბაზნე ხორცად არ აქცევდნენ, ეს ტრაგედიაა და ამიტომაც ეზიზღება ხალხს“**

საქმეში? თუმცა ერთი კი დანამდვილებით ვიცი — მათ სიყვარულში რომ ამომდიოდა სული, ასე აღარ იქნება!

**— მით უმეტეს, ახალი კანონი თეატრის შესახებ, რომელიც დიდი განსჯის საგნად იქცა, სამხატვრო ხელმძღვანელს განუზომელ უფლებებს ანიჭებს.**

— ეს კანონი არსებობდა და ქართული თეატრი გენიალური იყო. დიახ, სამხატვრო ხელმძღვანელი უნდა განაგებდეს თეატრს! თქვენ გგონიათ, ამაზე კამათი მიდის? არა, ეს აქსიომაა, „მმართველი“ კი ნაციონალებმა მოიგონეს. რა მმართველი? ამათ ჰყავდათ თავიანთი „ნასედკები“. გამაგებინეთ, რა უნდა რუსთაველის თეატრში „ნიჭიერსა“ და „ცეკვავენ ვარსკვლავებს“? სცენაზე აკაკი ხორავას სუნი ტრიალებს და ამ დროს, იქ ვიღაც საჭმელს ამზადებს, ეს ხომ პარადოქსია... ამათ თვითმყოფადობის განადგურება უნდოდათ, ყველაფერს და ყველას აკნინებდნენ. რამაზ ჩხიკვაძის გასვენებაზე, საგამოფენო დარბაზთან მოტოციკლეტების შეჯიბრი გამართეს და ეს არასოდეს დამავიწყდება. ასეთ მსახიობს უკანასკნელ გზაზე აცილებ და ამ დროს რას აკეთებ, კარგი რა? იმიტომ, რომ შენ არ უყვარდი? ამ თემასაც ის ვითომთეატრმცოდნეები აბუქებენ, რომელთაც პროფესიონალიზმის კვალი არ აქვთ, მხოლოდ თვითრეკლამაზე არიან გადართულები, რეალურად, არაფერი შეუქმნიათ, არაფერი იციან თეატრის შესახებ და გაიძახიან, „ეს კანონი დიქტატურაა“...

**— ბატონო დიმა, დიქტატურაც ყოველთვის არსებობდა ქართულ თეატრშიც და მონოპოლისტებიც ყოველთვის იყვნენ, არ მეთანხმებით?**

— ოღონდ ნიჭიერი კაცი გამოჩნდეს და რობერტ სტურუა არ დაადგმევინებს სპექტაკლს? კი, ახლა ბევრი სპექტაკლი მოხსნა, სამაგიეროდ, „ვეფხისტყაოსანს“ დგამს... ეს ხომ რობიკოა, სტურუა და მას ბევრი რამ ეპატიება, როგორც გენიოსს.

**— გენიოსებს ყველაფერი ეპატიებათ?**

— თეატრალურ წრეში, კი...

**— პოლიტიკურ წრეებშიც ასეა?**

— ...მოდი, ვაღიაროთ — ეს საშინელი არჩევნები იყო! საქართველოს თითქმის ყველა სოფელში ვიყავი, ვიცოდი ხალხის განწყობაც. ეს ადამიანები იმას კი არ ამბობდნენ, გვშია, პური არ გვაქვს, გვიშველეთო. არა! სამართლიანობა უნდა აღდგესო. მაინც გააყალბეს ხაშური, ზუგდიდი და ახლა, ყველაზე საშიში იცით, რა არის? ხალხმა თუ არ დაინახა, რომ სამართლიანობა აღდგა, ამას არავის აპატიებს, მათ შორის ბიძინა ივანიშვილსაც. დამნაშავეები უნდა დაისაჯონ! მეც ვარ ხოლმე განაწყენებული, მაგრამ ხელისუფლება ისე ხომ არ მოიქცევა, როგორც „ნაციონალები“ იქცეოდნენ. ისინი სასამართლოს გარეშე სვამდნენ ციხეში. ახლა რომ გაიძახიან, პოლიტიკური ზეწოლა მიდისო, საერთოდ, ხმას როგორ იღებენ, ამდენი ადამიანი გაამწარეს ამ გარეწრებმა. ვისზე ნაკლებად მიყვარს „თეატრალური კვარტეტი“, მაგრამ შე დალოცვილო, რაღა მენაგვეებად აფორმებ?! დრო უნდა ამ ყველაფერს, მე დიდი იმედი მაქვს, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილი ყველაფერს დაალაგებს.

**— მათ შორის ურთიერთობას აფხაზებსა და ოსებთან? რა შეიცვლა ამ მხრივ ბოლო თვეებში, განსაკუთრებული ძვრები ნამდვილად არ შეინიშნება.**

— ის ადამიანები, რომლებსაც ჭეშმარიტი საფუძველი აქვთ, საქართველოსკენ იბრუნონ პირი, არიან, მაგრამ ცოტანი. იმედი გაჩნდა აფხაზებშიც, ოსებშიც და ეს მყარი იმედია... უახლოესი მეგობრები მყავს, ჭეშმარიტი აფხაზები, რომლებიც ურთიერთობის დათბობისთვის იბრძვიან, თუმცა ისეთებიც იყვნენ, ვინც მიმტკიცებდა — დიდ მდინარეში დახრჩობა სჯობს, პატარა მდინარეში დახრჩობასო... დრო სჭირდება ამას, შეიძლება მე ვერა, მაგრამ მომავალი თაობა აუცილებლად მოესწრება.

**— ძალიან არ მინდა, რამდენიმე თვეში იმედგაცრუებული დიმა ჯაიანის ინტერვიუ ჩავწერო...**

— ასე არ იქნება, ბატონი ბიძინა სწორი გზით მიდის...

**— კი, მაგრამ, თქვენ არ ამბობდით, ხელოვანი ადამიანი ყოველთვის ოპოზიციაში უნდა იყოს, მთავრობას შეცდომებზე მიუთითოს, წინააღმდეგ შემთხვევაში კომფორმისტი ხდებაო. ახლა ყველაფერი როგორ მოგწონთ ახალი ხელისუფლებისა?**

— ოპოზიციაში ისედაც ვარ. ხომ ხედავთ, მეოთხე თვეა, ხელისუფლებაში არიან და ჯერ თეატრში არ მივსულვარ... ვინ თქვა, რომ ყველაფერი მომწონს, უბრალოდ, მე ვხედავ, რომ ვიღაცას უდანაშაულოდ არ იჭერენ, არ სჯიან... რა, არ შეეძლოთ უგულავას მხარდამჭერი აქციის დაშლა, მაგრამ არ გააკეთეს იმიტომ, რომ სხვაგვარად აზროვნებენ. „ნაციონალები“, მათ ადგილას, ძალის გამოყენებით დაშლიდნენ ხალხს და... სიმართლე გითხრათ, არსებული სიტუაცია ძალიან მაშინებს: ვიღაც მომწონდა, ვიღაც არა, მაგრამ ზიზღი არასოდეს მქონია, ახლა ზიზღი გამიჩნდა, როგორც მოსახლეობის უმრავლესობას. ასეთი ზიზღი საქართველოში არასოდეს ყოფილა... კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ ქალზე ხელის აწევის, მაგრამ შენ გამწარებულ ხალხს ხელებს რომ უქნევ და აღიზიანებ, ეს სწორია? მოერიდე, შე დალოცვილო! მოერიდე იმიტომ, რომ მთელი ცხრა წელი შენ ამ ხალხს აუპატიურებდი! სრულიად საქართველოს აუპატიურებდი! მაგრამ ამათ ქართველი კაცის ხასიათი არ იციან და იმიტომ უშვებენ ასეთ შეცდომებს.

ერთ მაგალითს გეტყვით: 50-იან წლებში, ზესტაფონის რაიონში გაუგონარი ფაქტი მოხდა, ვიღაც გარეწარმა ოჯახი ამოწყვიტა — დედა, შვილები... დაიჭირეს და საჩვენებელი სასამართლო შედგა ფეროს კულტურის სახლში. მოსამართლემ იქვე მიუსაჯა დახვრეტა, ხალხი გადაირია, სამართალმა იზეიმა და როდესაც მკვლელს ბოლო სიტყვა სთხოვეს, მან სიმღერა დაიწყო — ზესტაფონო გშორდებიო... მთელი დარბაზი ატირებულა. გესმით, ეს მკვლელი, ეს გარეწარი ხალხს შეეცოდა...

ამას ვამბობ, ქართველი კაცის ხასიათი უნდა იცოდე და როგორც კი აღიარებ, რომ შეგეშალა, ის აუცილებლად გაპატიებს.

**— ხომ ამბობენ, დავუშვით შეცდომებიო...**

— კი, მაგრამ როგორ ამბობენ ამას? ნიშნისმოგებით! და ესეც იმიტომ ხდება, რომ სადღეგრძელო არასოდეს უთქვამთ, გულზე არ მოხვედრიათ ახალგაზრდა კაცის სიკვდილი... სხვაგვარად ახალგაზრდა ბიჭებს საზარბაზნე ხორცად არ აქცევდნენ. ეს ტრაგედიაა და ამიტომაც ეზიზღება ხალხს. ახლა რომ გაიძახიან, 19 აპრილს გამოვალთ ქუჩაშიო, ბიჭო, იქ ასი ათასი კაცი რომ მოვიდეს, მერე სად მიდიხარ, სამოქალაქო დაპირისპირება გინდა? არ მინდა, ქართველები ერთმანეთს გადაეკიდონ, მინდა საქართველომ დაისვენოს და ეს ნაბიჯი ყოფილმა ხელისუფლებამ უნდა გადადგას. 9 წელი რომ აუპატიურებდი საქართველოს, ეს მაინც გააკეთე, ბოდიში მოიხადე... როგორც თუთაშხია ამბობს, ჰა, შენ ხუთი მანეთი და ადამიანი ფიქრისთვისაა გაჩენილი, იფიქრეო... იფიქრეთ!

## Europolitics: „საქართველომ ვიზის ლიბერალიზაციისკენ წაიწია“




საშინაო საქმეთა საკითხებში ევროკომისარ სესილია მალმსტრომის საქართველოში ვიზიტს ევროპული გამოცემა Europolitics აშუქებს. გამოცემა აქვეყნებს ნატალი ვანდისტატის წერილს სათაურით — „საქართველომ ვიზის ლიბერალიზაციისკენ წაიწია“.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, დიალოგის ნაწილი 2012 წლის იანვარში დაიწყო, 25 თებერვალს კი, საშინაო საქმეთა საკითხებში ევროკომისარმა, სესილია მალმსტრომმა საქართველოს ხელისუფლებას სამოქმედო გეგმა წარუდგინა ევროკავშირში ტურისტული ვიზების ლიბერალიზაციის სამომავლო პროგრესის უზრუნველყოფის მიზნით.

თბილისში ვიზიტის დროს, მალმსტრომი საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილსა და საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძეს შეხვდა.

**„საგზაო რუკა აგებულია გასატარებელი ზომების ოთხ ჯგუფზე, რომელიც უკავშირებდა დოკუმენტების უსაფრთხოებას, სასაზღვრო და საიმიგრაციო მენეჯმენტს, საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას, ასევე საგარეო ურთიერთობების საკითხებს. საქართველოს ხელისუფლებას ასევე სჭირდება ამ დიალოგის კონტექსტში გატარებული სხვა რეფორმების გაგრძელება: კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, მონაცემთა დაცვა, უმცირესობის დაცვა ისევე, როგორც სასამართლო რეფორმა მისი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით“,** — აღნიშნავს ნატალი ვანდისტატი.

Europolitics-ს ევროკომისიის განცხადებასაც ავრცელებს: **„კომისია რეგულარულად შეაფასებს საქართველოს მიერ ამ კრიტერიუმების ეფექტურად და თანმიმდევრულად შესრულებას. ევროკომისარი ასევე გეგმავს, შეხვდეს ადგილობრივი არასამთავრობოების წევრებს, რომლებიც საიმიგრაციო, ადამიანთა უფლებების დაცვისა და სამართლიანი მმართველობის საკითხებზე მუშაობენ“.**

ნატალი ვანდისტატი აღნიშნავს, რომ 2012 წლის ოქტომბერში საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები პირველი მშვიდობიანი არჩევნები იყო. სტატიაში აღნიშნულია, რომ კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით, პრეზიდენტ სააკაშვილის პარტია დაამარცხა, თუმცა მიუხედავად ამისა, მაინც იყო შევიწროებისა და დაშინებების შემთხვევები.

**„ახალი ხელისუფლების პრიორიტეტი უნდა იყოს საპატიმროებში პატიმართა წამებისა და ცუდი მოპყრობისთვის ბოლოს მოღება და სასამართლოს დამოუკიდებლობა“,** — ნათქვამია წერილში.

როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, ქართველი მოგზაურები უკვე სარგებლობენ „გამარტივებული სავიზო რეჟიმით“, რომელიც 2011 წელს ევროკავშირთან მოლაპარაკებების შედეგად, იყო მიღწეული რეადმისიის ხელშეკრულების სანაცვლოდ. ტურისტები მოკლევადიან ვიზაში უფრო ნაკლებს იხდიან და შეღავათიანი გადასახადია დაწესებული მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიაზე. შეთანხმების საფუძველზე, ასევე დაჩქარებულია ვიზის მიღების პროცედურები.

**„იმავე რეგიონში, კომისია მოლაპარაკებებს მართავს ასევე სომხეთთან, აზერბაიჯანთან, მოლდოვასთან, უკრაინასა და რუსეთთან. ასევე იმედოვნებს მოლაპარაკების დაწყებას ბელორუსთან“,** — წერს ნატალი ვანდისტატი.

***„ინტერპრესნიუსი“***

## ელექტრონულ მარკირებას დაქვემდებარებული პროდუქციის დადგენის ვადამ 1-მაისამდე გადაიწია



როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროდან აცნობეს, აღნიშნული გადაწყვეტილება მინისტრ ნოდარ ხადურსა და არაალკოჰოლური სასმელების მწარმოებელთა ასოციაციას შორის დღევანდელი შეხვედრის შემდეგ მიიღეს.

**„შედგა ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა. კომპანიების მხრიდან არის სრული მზაობა იმისა, რომ ვითანამშრომლოთ. ფინანსთა მინისტრის პირველი ბრძანება, რომელიც ელექტრონულ მარკირებას დაქვემდებარებული პროდუქციის განსაზღვრას ეხებოდა, ძალაში 2013 წლის მარტიდან უნდა შესულიყო. დღეს მიღწეული შეთანხმებით, ვადამ 1 მაისამდე გადაიწია. აქედან გამომდინარე, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ფინანსთა სამინისტრომ კიდევ ორთვიანი ვადა აიღო“,** — აღნიშნა ფინანსთა მინისტრმა.

მისივე თქმით, სამინისტროს პოზიციაა აღრიცხვიანობის მოწესრიგება მოხდეს ისე, რომ არ გაძვირდეს პროდუქცია და ბიზნესს არ შეექმნას ხელოვნური ბარიერები.

პარალელურად, ფინანსთა მინისტრი ყველა საწარმოში მისვლას და პრობლემების ადგილზე გაცნობას გეგმავს. ნოდარ ხადურის განცხადებით, გამოიცა ფინანსთა მინისტრის ბრძანება, რომლის თანახმადაც, საექსპორტო პროდუქცია არ დაექვემდებარება მარკირებას. **„აღნიშნული გადაწყვეტილების მიზანია, ექსპორტიორ კომპანიებს არ შეუსუსტდეთ კონკურენტუნარიანობა საზღვარგარეთ“,** — განაცხადა მინისტრმა.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, დღეს მიღწეული შეთანხმება დადებითად შეაფასეს არაალკოჰოლური სასმელების მწარმოებელთა ასოციაციის წევრებმა. როგორც კომპანია „ივერია რეფრეშმენტსის“ (პეპსის) გენერალურმა დირექტორმა დავით ლომჯარიამ განაცხადა, ასოციაცია მოხარულია, რომ ფინანსთა სამინისტროსთან კონსტრუქციულ დიალოგს მართავს. მისივე თქმით, ვადის გადაწევა ნიშნავს იმას, რომ ელექტრონულ მარკირებას დაქვემდებარებული პროდუქციის განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხი დამუშავდება და მხოლოდ ამის შემდეგ იქნება მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება.

შეხვედრაზე გადაწყდა, რომ არააქციზური პროდუქციის ელექტრონულ მარკირებასთან დაკავშირებით მეორე შეხვედრა ბორჯომში, სავარაუდოდ, მარტის შუა რიცხვებში გაიმართება.

*„ინტერპრესნიუსი“*

# „ცე“ ჰეპატიტით დაავადებულებსა და ნარკომომხმარებლებს ციხეში უმკურნალებენ!



რატომ იყო ხელოვნურად გაბერილი „ცე“ ჰეპატიტის მკურნალობის ხარჯები და რა სქემით მოხდება ნარკომომხმარებელი პატიმრების ციხიდან ვადაზე ადრე გათავისუფლება?



ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

**საქართველოს ციხეებში „ცე“ ჰეპატიტით დაავადებულთა და ნარკომანთა მკურნალობა ერთ-ერთი გადაუჭრელი პრობლემაა და უმეტესობისთვის ხელმიუწვდომელია. ხელისუფლება ახალი ინიციატივით გამოდის და მარტის ბოლოდან, კონკურსის შედეგად შერჩეულ სპეციალისტებთან ერთად, პროგრამულ დოკუმენტზე მუშაობას იწყებს. დეტალების დასაზუსტებლად „ვერსია“ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრს, სოზარ სუბარს ესაუბრა.**

— პენიტენციალურ სისტემაში სიკვდილიანობის სტატისტიკით, ტუბერკულოზის შემდეგ, „ცე“ ჰეპატიტი და მისი თანმხლები დაავადებები, მეორე ადგილზეა. ჯერ კიდევ წლების წინ, საქართველოს ევროპის სასამართლომ დაავალა ყველა იმ პატიმრის სრულფასოვანი მკურნალობა, რომელსაც „ცე“ ჰეპატიტი აქვს.

გვაქვს წინასწარი მოლაპარაკებები იმ კომპანიებთან, რომლებიც შეიძლება, პატიმრების მკურნალობაში დაგვეხმარონ. გაზვიადებულია ის წარმოდგენა, რომ „ცე“ ჰეპატიტის მკურნალობა ძალიან ძვირი ჯდება. ეს ციფრები გაბერილი იყო და გაცილებით ნაკლებ ფასად შესაძლებელია მაღალხარისხიანი მკურნალობა. თუ სახელმწიფო დაავადებულ პატიმრებს უმკურნალებს, ეს მინიმუმ, ორჯერ გააიაფებდა სამოქალაქო სექტორში „ცე“ ჰეპატიტის მკურნალობას, რაც დიდი დახმარება იქნება ოჯახებისთვის.

**— მკურნალობის ხარჯების ხელოვნურად გაზრდის მიზეზი რა იყო?**

— ამას ის ადამიანები აკეთებდნენ, ვისაც არ სურდა, სასჯელაღსრულების სისტემაში „ცე“ ჰეპატიტის მკურნალობის პროგრამის ინიცირება. თავს კი იმით იმართლებდნენ, რომ ეს იმდენად ძვირი ღირს, მისი განხორციელება სასჯელაღასრულების სისტემაში შეუძლებელიაო.

**— რა პრინციპით შეარჩევთ სამკურნალოდ პატიმრებს, მოხდება თუ არა „ცე“ ჰეპატიტით დაავადებული ყველა პატიმრის მკურნალობა?**

— ჩვენ ვუმკურნალებთ იმ ადამიანებს, ვისაც, სამედიცინო ჩვენებით, ეს ყველაზე მეტად ესაჭიროება.

**— საქართველოში ნარკომომხმარებელთა რიცხვი საკმაოდ მაღალია, მათი ნაწილი ამის გამო, ხშირად პენიტენციალურ სისტემაში ხვდება. სასჯელაღსრულების სამინისტროს ინიციატივით, ნარკომომხმარებლების მიმართ კანონის ლიბერალიზაცია მოხდება და მათ ციხის პირობებში უმკურნალებენ, ეს პროექტი რას გულისხმობს?**

— ნარკომანიით დაავადებულებისთვის უნდა გაკეთდეს ცალკე დაწესებულება, სადაც შესაძლებელი იქნება მკურნალობა. პროგრამის ამოქმედების შემდეგ, ნარკოტიკების მოხმარებისთვის დაკავებული ადამიანები სხვა პატიმრებისგან გამოცალკევდებიან. უნდა შეიცვალოს ხელისუფლების მიდგომა ნარკომომხმარებლებთან — არ შეიძლება 5-7-15 წელი მიუსაჯო ადამიანს იმის გამო, რომ მხოლოდ ნარკომომხმარებელია. სასჯელი, მაქსიმუმ, ერთი წელი უნდა იყოს.

პროექტის თანახმად, მათ ერთწლიანი საპატიმრო პერიოდიდან 6-თვიან ნებაყოფლობით მკურნალობას შევთავაზებთ. იმ დაწესებულებაში, სადაც ნარკომომხმარებლები იქნებიან, იქნება ყველანაირი პირობა, რათა მათ მკურნალობის სრული პაკეტი ჩაუტარდეთ. 6 თვის შემდეგ, თუ პატიმარი არ არღვევს რეჟიმს, რეჟიმი შეუმსუბუქდება და შაბათ-კვირას სახლშიც წავა. ყოველი დაბრუნების შემდეგ, ჩაუტარდება ექსპერტიზა. თუ მას დარღვევები არ ექნება, 2-3 თვის შემდეგ, პატიმრობიდან ვადაზე ადრე გათავისუფლება. ეს იქნება რევოლუციური ნაბიჯი, რადგან არსებულმა პოლიტიკამ, რომელიც მხოლოდ დასჯაზე იყო ორიენტირებული, შედეგი ვერ გამოიღო. თუ ნარკოდამოკიდებულს არ უმკურნალე და არ მიეცი შანსი გამოსწორების, მარტო დაპატიმრებით ვერაფერს გახდები. ვერც ერთმა ქვეყანამ, რომელიც მხოლოდ სისხლისსამართლებრივი პოლიტიკით ებრძვის ნარკომანიას, შედეგს ვერ მიაღწია. საქართველოში 3,5 მილიონი ლარი იყო ჩადებული ბიუჯეტში ნარკომანიასთან ბრძოლაში და ნახევარზე მეტი არაეფექტურ პროგრამებში იხარჯებოდა მაშინ, როცა ნარკომოხმარებისთვის დაკისრებული ჯარიმებით, ბიუჯეტი 40 მილიონამდე შეივსო. ეს მიდგომა უნდა შევცვალოთ, რადგან ამით ნარკომანს კი არ აზარალებ, მის ოჯახს აცამტვერებ.

**— ხომ არ შეიცვლება ჯარიმების თანხა?**

— რასაკვირველია, უნდა შემცირდეს ნარკომოხმარებისთვის დაწესებული ჯარიმებიც. კანონის ლიბერალიზაცია უნდა მოხდეს არა მარტო იმ ადამიანებისთვის, ვისაც სისხლში ნარკოტიკული ნივთიერება აღმოაჩნდება, არამედ მათთვისაც, ვისაც ნარკოტიკი აღმოაჩნდება და დადასტურდება, რომ ეს ნარკოტიკი პირადი მოხმარებისთვის უნდა. ასეთი მსჯავრდებული აღარ დაბრუნდება პენიტენციალურ სისტემაში ძალიან მკაცრი განაჩენით.

**— თქვენ ბრძანეთ, რომ დაპატიმრების შემთხვევაში, ნარკომომხმარებლები ცალკე დაწესებულებაში გეყოლებათ და უმკურნალებთ. თუ დაპატიმრებულს მკურნალობა არ სურს?**

— იძულებითი მკურნალობა დაუშვებელია, ამიტომაც ასეთ საპატიმროში სასჯელმისჯილები ორ ნაწილად იქნებიან გაყოფილნი, რომელთაც მკურნალობა სურთ და რომელთაც უარი თქვეს მკურნალობაზე.

**— რა მიდგომა გექნებათ იმ მსჯავრდებულების მიმართ, რომელთაც მძიმე დანაშაული ჩაიდინეს და თან ნარკომომხმარებლები აღმოჩნდნენ?**

— იმ შემთხვევაში, თუ ასეთ პატიმარს მკურნალობა სურს, შეიძლება მხოლოდ 6 თვე იყოს იმ სამკურნალო დაწესებულებაში. ამის შემდეგ გადავა ჩვეულებრივ ციხეში, სადაც მოიხდის დარჩენილ სასჯელს.

**— სპეციალისტთა მტკიცებით, ნარკოდამოკიდებულების მოსახსნელად მარტო ორკვირიანი კურსი არაეფექტურია, მკურნალობის კურსი რას მოიცავს?**

— სარეაბილიტაციო ცენტრში თავს მოიყრის ყველა ის სერვისი, რომელიც ნარკოდამოკიდებული პირების რეაბილიტაციას, მკურნალობასა და საზოგადოებაში დაბრუნებას სჭირდება. დეტოქსის კურსი, ფსიქოთერაპია, ჩანაცვლებითი თერაპია, რეაბილიტაცია, უნარ-ჩვევების განვითარება, დასაქმებასა და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაზე ზრუნვა.

**— პროგრამის განხორციელება რა დაჯდება, სად უნდა აშენდეს მსგავსი ტიპის დაწესებულება?**

— ამისთვის ახალი ციხის აშენება არ გვჭირდება, ვინაიდან ამნისტიის შედეგად ციხეები გამოგვითავისუფლდა, შესაბამისად, ასეთი ტიპის სასჯელაღასრულების დაწესებულებას რომელიმე საპატიმროში გავაკეთებთ. ნარკომომხმარებელი მსჯავრდებულების კვება, მოვლა და მკურნალობა დღეს გაცილებით მეტი უჯდება სახელმწიფოს, ვიდრე ეს პროგრამა იქნება.

ვერსიანიუსი

## ნინო ბურჯანაძეს პროკურატურამ ადგილზე მისვლით დაკითხვა შესთავაზა, თუმცა ის საგამოძიებო ორგანოში თავად მივა

„დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს პროკურატურამ ადგილზე მისვლით დაკითხვა შესთავაზა, თუმცა ის საგამოძიებო ორგანოში თავად მივა. ამის შესახებ „პირველს“ თავად ბურჯანაძემ განუცხადა.

**„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია და დასაფასებელია, რომ 26 მაისის მოვლენების გამოძიება დაიწყო. ამ ნაბიჯს პროკურატურის მხრიდან მივესალმებით, რადგან ჩვენ პირველივე დღიდან ვამბობდით, რომ გვინდოდა სიმართლე სცოდნოდა როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო საზოგადოებას. როგორც უკვე გითხარით, მომხდარის პირველივე დღიდან ვითხოვდით 26 მაისის მოვლენების გამოძიებას, თუმცა წინა ხელისუფლების დროს, რომლებმაც დაგეგმეს ეს სპეცოპერაცია და მერე განახორციელეს კიდეც, ამ საქმეზე ნათელის მოფენა შეუძლებელი იქნებოდა. მე ნამდვილად გიდასტურებთ, პროკურატურისგან მივიღე შემოთავაზება, რომ აღნიშნულ დღესთან დაკავშირებით, საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენელი მოვიდოდა ჩემთან და მომხდართან დაკავშირებით ჩემს ახსნა-განმარტებას მოისმენდა, თუმცა მე საჭიროდ ვთვლი, თავად მივიდე საგამოძიებო ორგანოში და მივცე ჩვენება. ალბათ, ეს უახლოეს დღეებში მოხდება“,** — განაცხადა ბურჯანაძემ და დასძინა, რომ საგამოძიებო ორგანოში მისი მისვლის თარიღი, სავარაუდოდ, დღეს დაზუსტდება.

**„როგორც კი საგამოძიებო ორგანოში ჩემი მისვლის ზუსტი თარიღი დაზუსტდება, მზად ვარ, ყველა საქმე გადავდო და იქ აუცილებლად მივიდე და გამოძიებასთან ვითანამშრომლო. აქვე გეტყვით, რომ „სახალხო კრების“ წევრების უმრავლესობა უკვე ასეც მოიქცა, საგამოძიებო ორგანოში იმყოფებოდნენ ნონა გაფრინდაშვილი, ირაკლი ბათიაშვილი, შალვა ოგბაიძე და სხვები, ასევე დაიკითხნენ ის ადამიანები, რომლებიც იმ დღეს პირადად დაზარალდნენ“,** — აღნიშნა „დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარემ.

ბურჯანაძის განმარტებით, მას ახალი ხელისუფლების პირობებში ობიექტური გამოძიების იმედი აქვს და მიიჩნევს, რომ პირადად არჩილ კბილაშვილი კეთილსინდისიერი ადამიანია.



**„რა თქმა უნდა ობიექტური გამოძიების იმედი მაქვს, რადგან ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ შეიქმნა რეალურად დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერსპექტივა. ეს საქმე აუცილებლად ბოლომდეა მისაყვანი და ვფიქრობ, ნაციონალურმა მოძრაობამ ყველა იმ დანაშაულზე უნდა აგოს პასუხი, რაც ხელისუფლებაში ყოფნის დროს ჩაიდინა. მე მჯერა მთავარი პროკურორის, რადგან არჩილ კბილაშვილი კეთილსინდისიერი ადამიანია და დარწმუნებული ვარ, ობიექტური გამოძიებისთვის ყველაფერს გააკეთებს. მთავარი ის არის, რომ უნდა დაისაჯოს მომხდარში მონაწილე ყველა რგოლი. ერთსაც გეტყვით, სიმართლე, ადრე თუ გვიან, აუცილებლად გახდება ცნობილი, აუცილებლად გაიგებს ყველა იმ სადამსჯელო ოპერაციის შესახებ, რომელიც 26 მაისს, პატრიოტი ქართველების წინააღმდეგ განხორციელდა. ჩვენ არ ვართ რევანშისტები და არ ვამბობთ, რომ მაინცდამაინც ყველა ციხეში უნდა წავიდეს უბრალოდ იმისათვის, რომ მათ ჩადენილი ვაპატიოთ, ჯერ პატიება უნდა ითხოვონ. ეს არავის გაუკეთებია და ამაზეც რომ არაფერი ვთქვათ, ჩადენილი დანაშაულის პატიება და დამნაშავეების დაუსჯელობა გახდება საბაბი იმისა, რომ ყოველთვის იარსებებს ადამიანების ჯგუფი, რომელიც იფიქრებს, რომ მაინც არ დაისჯება და ახალი დანაშაულის ჩადენაზე არ იტყვის უარს. საჯარო სამსახურში მყოფ არც ერთ რგოლს არ უნდა ჰქონდეს დაუსჯელობის განცდა, აუცილებელია, დაისაჯოს ყველა, ვინც ეს ოპერაცია დაგეგმა და მეორე, ვინც ის შეასრულა. მე შეგახსენებთ, რომ საუბარი იყო დაბალი რგოლის საჯარო მოხელეების ამნისტიაზე. ეს კატეგორიულად მიუღებელია, რადგან 26 მაისის ღამეს ხალხს მერაბიშვილი და სააკაშვილი არ ურტყამდა ხელკეტებს, სხვა ადამიანებმა ჩაატარეს ეს სადამსჯელო ოპერაცია. იმედი მაქვს, რომ ახალი ხელისუფლება 26 მაისის მოვლენებს ობიექტურად და სამართლიანად გამოიძიებს“,** — აღნიშნა ბურჯანაძემ.

*„პირველი“*

# რის მიხედვით მოხდება საცხოვრებელი ბინებით დევნილების დაკმაყოფილება

მერაბ ბერიძე

**ახალი მთავრობა ცდილობს, დევნილების ბინებით დაკმაყოფილებისას, სამართლიანობის პრინციპი მაქსიმალურად დაიცვას. ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა, დავით დარახველიძემ სამეთვალყურეო საბჭოს დევნილთა გრძელვადიანი განსახლების კრიტერიუმები წარუდგინა. საბჭომ აღნიშნული საკითხი განიხილა და დაამტკიცა კიდეც. დოკუმენტი მკაცრად განსაზღვრავს კრიტერიუმებსა და პრიორიტეტებს, რის მიხედვითაც მოხდება დევნილების საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილება.**



როგორც სამინისტროში აცხადებენ, დღემდე, უწყებას მსგავსი კრიტერიუმები არ ჰქონდა. ეს იგივე ქულების სისტემაა, რომელიც დევნილი ოჯახის საჭიროების შეფასებისას დაჯამდება. ოჯახს, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს, პრიორიტეტი ენიჭება. სწორედ აღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, მოხდება დევნილი ოჯახებისთვის საცხოვრებელი ფართების განაწილება, იქნება ეს ახლადაშენებული, რეაბილიტირებული შენობები თუ სხვა საცხოვრებელი ბინები და სახლები. მაგალითად, მაღალი ქულით შეფასდება კომპაქტურად (ორგანიზებულად) განსახლების ის ობიექტები, რომელი შენობებიც ავარიულია, საფრთხეს უქმნის იქ მცხოვრებთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას; ან დღეის მდგომარეობით, არ არის და არც შეიძლება იყოს ადაპტირებული საცხოვრებელ ფართებად; გრძელვადიანი განსახლების შეთავაზებისას, მნიშვნელობა ენიჭება ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, სპეციალურ საჭიროებებსა და სხვა საკითხებს.

სამინისტროს სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში, რომელიც სათათბირო ორგანოა და წარმართავს დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელებას, ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, დონორი და პარტნიორი ორგანიზაციები, ასევე დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებიც შედიან. როგორც **კრისტოფ ბირვათი**, გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენელი აცხადებს, **„შეხვედრაზე ორი ძირითადი საკითხი განვიხილეთ. პირველი — ბინებით დაკმაყოფილების კრიტერიუმების საკითხი და ქულების მინიჭება. ეს დევნილებს დაეხმარება გაიგონ, რა პრინციპებზე დაყრდნობით ხდება მათთვის ბინების მინიჭება. მეორე დოკუმენტია პრივატიზაციის შესახებ ანგარიში, რომელიც მოიცავდა 2012 წლის განმავლობაში განხორციელებულ პროცესს. ამ თვალსაზრისით, დიდი პროგრესია მიღწეული, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ ბევრი რჩება“.**

დევნილთა სამინისტროს ნაბიჯს დადებითად აფასებენ არასამთავრობოებიც. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლის, **ეკა ფოფხაძის** თქმით: **„ამ სახით სამინისტრომ სისტემური გახადა ეს პროცესი და ნორმატიულ დონეზე განამტკიცა ის კრიტერიუმები, რომლითაც უნდა მოხდეს კონკრეტულად შეფასების განხორციელება. დოკუმენტში ჩამოთვლილია დევნილის სოციალური მდგომარეობისა და მისი საცხოვრებელი პირობების შეფასების კრიტერიუმები, რის მიხედვითაც მოხდება კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება — გრძელვადიანი საცხოვრებელი რომელ დევნილს შეეთავაზება. ეს ძალიან მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ პროცედურა იქნება უფრო ობიექტური, წინასწარ დადგენილ შეფასების კრიტერიუმებზე დაფუძნებული“.**

ამ ფონზე, აფხაზეთიდან დევნილი 20 ოჯახი მოსკოვის გამზირზე, ბაბუციძის ქუჩაზე, ახალ ბინაში უკვე შესახლდა. დევნილებს ახალმოსახლეობა მინისტრმა დავით დარახველიძემ მიულოცა და ბინის გასაღები თავად გადასცა. აღნიშნულ შენობაში ე.წ. არაშენდიდან გამოსახლებულები შესახლდებიან (ეს ის დევნილები არიან, რომლებმაც შემდეგ, ბაქოს ქუჩა 1 თვითნებურად დაიკავეს). აღნიშნული ოჯახები დათანხმდნენ სამინისტროს წინადადებას, საკუთარი სურვილით დატოვეს თვითნებურად დაკავებული ფართი, შესაბამისად, ძალით გამოსახლებაც არ გახდა საჭირო. როგორც დევნილები აღნიშნავენ, ეს პირველი შემთხვევაა, როცა თვითნებურად დაკავებული ობიექტიდან მათი გამოსახლება არ გახდა საჭირო, როცა დევნილებსა და სამინისტროს შორის პრობლემები დიალოგის რეჟიმში წყდება, როცა სამინისტრო პირობას ასრულებს; როცა რეაბილიტაციისას დევნილთა ინტერესები გათვალისწინებულია და დევნილებსა და სამინისტროს შორის ნდობა აღდგენილია.

**სვეტლანა ჯეჯელავა**, აფხაზეთიდან დევნილი: **„19 წლის მანძილზე წარმოუდგენელი რამ მოხდა. ერთი ის, რომ საკუთარი ჭერი გაგვიჩნდა; მეორე ის, ჯერ გამოსახლებულები ვიყავით, შემდეგ შეჭრილები და არავის სჯეროდა, რომ ვინმე მოგვხედავდა; მესამე ის, რომ მინისტრი თავად მოდიოდა ჩვენთან და გვარწმუნებდა, რომ თვითნებურად დაკავებული შენობა დაგვეტოვებინა და თებერვლის ბოლოს, უკეთეს ბინებში გადმოგვიყვანდა; მეოთხე და მთავარი კი ის არის, რომ 19-წლიანი დევნილობის მანძილზე, სამინისტრო ადამიანურად მოგვექცა, პირობა იდეალურად შეასრულა — ახალ ბინებში იმაზე ადრე შეგვასახლეს, ვიდრე გვპირდებოდნენ და რაც ასევე მთავარია, ძალიან კარგი რემონტია, ხარისხიანი და ყველანი კმაყოფილები ვართ. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამ ხალხს ვენდობით და გვჯერა, რასაც გვპირდებიან, ასრულებენ კიდეც“.**

როგორც **დავით დარახველიძემ** აღნიშნა, ეტაპობრივად, სხვა დევნილების პრობლემებიც მოგვარდება: **„ეს არის ჩვენი დანაპირების შესრულება. დასრულდა იმ ადამიანების უსახლკარობა, რომლებიც წლების მანძილზე „არაშენდაში“ ცხოვრობდნენ. დღეს ბინის გასაღები 20 ოჯახს გადავეცით. მიხარია, რომ დევნილ მოსახლეობას ნდობა დაუბრუნდა. მინდა, სხვა დევნილებიც გავამხნევო და ვუთხრა, რომ ეტაპობრივად, ყველას პრობლემა მოგვარდება“.**

რაც შეეხება დანარჩენ დევნილებს, „ვერსია“ მეცხრე საავადმყოფოს ეზოში კომპაქტურად მცხოვრებ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს ესაუბრა. თერთმეტსართულიანი კორპუსი ადრე სამედიცინო აკადემიის საერთო საცხოვრებელი იყო. ახლა 50-მდე დევნილი ოჯახი, ძირითადად, თითო ოთახში ცხოვრობს. გამონაკლისი მეორე სართულია, სადაც ე.წ. ლუქსის ტიპის ბინებია. იძულებით გადაადგილებულებს ადგილზე რეგისტრაცია აქვთ, ბინები პრივატიზებული არ არის.

მეორე ჯგუფის ინვალიდი რეზო გაბისკირია ამბობს, რომ ახალი ბინა და ნორმალური პირობები, პირველ რიგში, მასა და მისნაირებს ეკუთვნის, რადგან ხუთსულიანი ოჯახი წლების განმავლობაში ერთ ოთახშია შეყუჟული: **„მეუღლესთან გაშორებული ვარ. მე, დედაჩემი, ორი შვილი და ჩემი ძმა ამ ერთ ბინაში ვცხოვრობთ. როგორ არ მინდა, უფრო დიდი ფართის, უკეთესი საცხოვრებელი მომცენ, მაგრამ აღარ მჯერა ამ დაპირებების. ის კი არა, ამ ბინების დაკანონებასაც უკვე რამდენი ხანია ვითხოვთ. არაერთხელ განცხადებები და საჩივრები შევიტანეთ. ამასაც არ გვაძლევენ საკუთრებაში. ვიღაცები მოვიდნენ, სურათები გადაიღეს და წავიდნენ; იმასაც არ გვეუბნებიან, საიდან არიან და ამას რისთვის აკეთებენ“.**

სოხუმის რაიონის სოფელ ზემო კელასურიდან დევნილი ბეგლარ კოპალიანი ტერიტორიული მთლიანობისთვის ომების მონაწილეა და თვრამეტი წელია აქ ცხოვრობს. მისი თქმით, სამინისტროს მიდგომა სწორია, მაგრამ ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს მათი მოთხოვნებიც, ვინც ათწლეულების განმავლობაში, საკუთარი შრომით ელემენტარული საარსებო პირობები შეიქმნა: **„ჩემს გაკეთებულ ბინაში ექვსი სული ვცხოვრობთ. ახლა რომ მითხრან, სხვაგან წადიო, ეს მეორე და მესამე დევნილობა იქნება. არაფრის გულისთვის, ჩემი ნაწვალების დატოვება არ მაწყობს. ყველა თანახმაა, აქ დარჩეს და იცხოვროს თუნდაც ერთოთახიან ბინებში, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა. ბავშვები არიან ცოდოები, აქ გაიზარდნენ, სკოლაში დადიან, მეგობრები ჰყავთ. ამათ რომ ადგილი გამოვუცვალო და ტვინი ავურიო, ნამდვილად არ მაწყობს. მაგრამ ბინების დაკანონებაზეც არანაირი წინსვლა არ არის. მოდიან, შენობას გარედან და შიგნიდან სურათებს უღებენ და მიდიან.**

**სოხუმში გავიზარდე და აფხაზეთი მენატრება, ახლა ბავშვებს რომ ჰქონდეთ ეს პრობლემები, ჩემთვის მეორე უბედურება იქნება. თუ ნასვამი არ ვარ, აფხაზეთით მაქვს ყოველი დაძინება და გაღვიძება. ყველაფერს იმ თვალით ვუყურებ და მას ვადარებ, რაც სოხუმში ხდებოდა. დაბრუნების იმედი ბჟუტავს, მაგრამ რეალური ჯერ არაფერი ჩანს. არ მგონია, ომით დაკარგული მშვიდობით დაბრუნდეს, რამე სასწაული თუ არ მოხდება. ჩემი მეზობელი დადის აფხაზეთში და თურმე იქაურები ეუბნებიან, ნეტავ საქართველოსნაირი ხელისუფლება ჩვენთან როდის იქნებაო; ვისაც კი შევხვდი, ასე მეუბნებიანო. ნარკომანიას და სხვა ათასგვარ უბედურებას მიაქვს იქაურობა“.**

ნებისმიერი დევნილი ცალკე აღებული ომის ისტორიაა. ასაკში შესული დევნილები უკვე საკუთარ შვილებზე წუხან, რომ ეს ტრაგიკული გზა მათაც არ ჰქონდეთ გასავლელი. საქართველოში მრავლადაა ადგილები, სადაც უბრალოდ, არ იცხოვრება, მაგრამ გვხვდება ისეთი შენობებიც, სადაც თაობა გაიზარდა და ადამიანებს აღარ სურთ, კიდევ ერთხელ, იძულებით, საცხოვრისი შეიცვალონ. ასეთი საცხოვრებელია მეცხრე საავადმყოფოს ეზოში, სადაც უკვე წლებია, ბინების დაკანონებას ითხოვენ და მათი მდგომარეობა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ.

## კონსტიტუციაში დასავლური კურსის ასახვას კოჰაბიტაცია კი არა, სამი დღე სჭირდება



საქართველოს ოკუპაციის დღე გააპროტესტეს რუსთაველის გამზირზე ეროვნულ-დემოკრატებმა, სადაც შეკრებილი იყვნენ ეროვნული მოძრაობის ლიდერები, პოლიტიკური პარტიები, ახალგაზრდული ორგანიზაციები და რიგითი მოქალაქეები.

25 თებერვალი არ არის მხოლოდ გლოვის დღე, არამედ ეს ბრძოლის დღეა, — ამის შესახებ ედპ-ს ლიდერმა ბაჩუკი ქარდავამ რუსთაველის გამზირზე ოკუპაციის წინააღმდეგ გამართულ აქციაზე „ნიუპოსტთან“ კომენტარისას განაცხადა.

**„1921 წლის 25 თებერვალს დაწყებული ოკუპაცია დღემდე არ დასრულებულა. ოკუპირებულია არა მხოლოდ აფხაზეთი და სამაჩაბლო, საქართველოს ისტორიული ტერიტორიები, არამედ დღეს მთლიანად საქართველოს დაპყრობის საფრთხე დგას, რომელმაც შესაძლებელია, მრავალგვარი სახე მიიღოს. თუნდაც დაუშვებელია, საქართველო შევიდეს რომელიმე გაერთიანებაში, იქნება ეს საბაჟო კავშირი თუ სხვა, სადაც დომინანტი რუსეთი იქნება.**

**არსებობს საკითხები, რომლის განხორციელებასაც ვითხოვთ დღევანდელი ხელისუფლებისგან და რომელშიც არა მარტო ეროვნულ-დემოკრატები, არამედ საზოგადოების დიდი ნაწილი თანხმდება, კერძოდ ის, რომ არ შეიძლება მივიღოთ მონაწილეობა ოლიმპიადაზე, რომელიც ოკუპანტი ქვეყნის ტერიტორიაზე ტარდება; არ უნდა დაემუქროს საფრთხე ოკუპაციის შესახებ კანონს იმ ქვეყანაში, სადაც რუსის ჯარი დგას, უფრო მეტიც, წინა ხელისუფლების დროსაც იქნა დაშვებული შეცდომა და ის კანონი, რომელიც მათ მიიღეს არ არის სრულფასოვანი, რადგან მასში უნდა ეწეროს არა მხოლოდ ოკუპაცია, არამედ იქ უნდა აისახოს ასევე, რომ ეს იყო რუსული აგრესია საქართველოს წინააღმდეგ“,** — განაცხადა ედპ-ს ლიდერმა.

რაც შეეხება საქართველოს საგარეო კურსს, ბაჩუკი ქარდავას თქმით, მისი ასახვა კონსტიტუციაში ქართველი ხალხის ნებაა და ამას კოჰაბიტაცია და შეთანხმებები არ სჭირდება.

**„ის, რომ დაკანონდეს ევროატლანტიკური არჩევანი ამას დიდი დრო არ სჭირდება, ამისთვის საჭიროა სამი დღე — ერთი დღე იმისთვის, რომ იფიქროს ხელისუფლებამ, მეორე დღეს მიიღოს გადაწყვეტილება და მესამე დღეს ჩაწეროს ეს კონსტიტუციაში, ამას არ სჭირდება კოჰაბიტაცია და მოლაპარაკებები. ჩვენ კატეგორიულად ვითხოვთ ჩაიწეროს საქართველოს დასავლური კურსი და ეს არის ქართველი ხალხის ნება“,** — მიაჩნია ედპ-ს ლიდერს.

***„ნიუპოსტი“***

## ვერსიანიუსი

### გიგი უგულავას საქმეზე სასამართლომ განცხადება გაავრცელა




2013 წლის 25 თებერვალს, თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა საქართველოს მთავარი პროკურატურის შუამდგომლობა ბრალდებულ გიორგი (გიგი) უგულავას მიმართ გირაოს — 1 000 000 (მილიონი) ლარის შეფარდების შესახებ; **„შუამდგომლობის განხილვისას ბრალდების მხარის მიერ ვერ იქნა დასაბუთებული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფორმალური საფუძვლები. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობს ბრალდებულ გიორგი უგულავას მხრიდან მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენის, ასევე, პროცესის მონაწილეებზე ზემოქმედების და გამოძიებისთვის ხელის შეშლის საფრთხე და კონკრეტულ შემთხვევაში ბრალდებულის სათანადო ქცევა, მისი გამოძიებასა და სასამართლოში გამოცხადება უზრუნველყოფილი იქნება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების გარეშეც. შესაბამისად, გიორგი უგულავას მიმართ არ იქნა გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების არც ერთი სახე“.**

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა პროკურატურის შუამდგომლობა ბრალდებულ გიორგი უგულავას თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე. ვინაიდან, ბრალდების მხარის მიერ შუამდგომლობაში მითითებული თბილისის მერის თანამდებობიდან გადაყენების საფუძვლები იყო ზოგადი და დაუსაბუთებელი, სასამართლოს განჩინებით ბრალდების მხარეს უარი ეთქვა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე და გიორგი უგულავა არ იქნა გადაყენებული თანამდებობიდან.

ამასთან, სასამართლო სხდომაზე დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, რომელსაც დაეთანხმა ბრალდების მხარეც, სასამართლოს განჩინებით დაშვებულ იქნა ფოტო-ვიდეო გადაღება და აუდიო ჩაწერა მთელი პროცესის განმავლობაში.

აღნიშნულ საქმეზე წინასასამართლო სხდომა გაიმართება 2013 წლის 10 აპრილს 15 საათზე, თბილისის საქალაქო სასამართლოში.

***„ვერსიანიუსი“***

# „ელჩების დანიშვნა ისევ ნეპოტიზმით, პირადი ნაცნობობით, ნათესაობითა და ერთგულებით ხდება!“



## საქართველოსთან დაკავშირებით რა ცვლილებები შეიტანა კრემლმა რუსეთის დოქტრინაში და რა გამოწვევების წინაშე დგას თანამედროვე ქართული დიპლომატია

მერაბ ბერიძე

**რა გამოწვევების წინაშე დგას თანამედროვე ქართული დიპლომატია, შეძლებს თუ არა შედეგებზე ორიენტირებული ნაბიჯების გადადგმას და რა პრინციპებით ხდება უცხოურ წარმომადგენლობებში დიპლომატების დანიშვნა? — ამ საკითხებზე „ვერსია“ დიპლომატიური აკადემიის რექტორს, პოლიტოლოგ სოსო ცინცაძეს ესაუბრა.**

— ახალი მთავრობის დიპლომატიურ წარმატებასა და ჩავარდნაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, რადგან ქართული დიპლომატია ახალ ფონს ქმნის და გარკვეულ ნაბიჯებს დგამს... ბრიუსელსა და მოსკოვთან კარგ ურთიერთობებზე განცხადებები ერთდროულად კეთდება, ამ მიდგომაზე კი, შეიძლება, ვიკამათოთ: ვამბობ, რომ ეს შეუძლებელია, დიპლომატები კი საპირისპიროს ამტკიცებენ, მაგრამ სჯობს, შედეგს დაველოდოთ... ასეა თუ ისე, სერიოზული რისკისა და ეჭვის წინაშე ვიმყოფებით. თანამედროვე ქართული დიპლომატიის ნოვაციებში ეჭვის შეტანას კი, ხელს რუსეთი უწყობს.

— **რას გულისხმობთ?**

— მაგალითად მოგიყვანთ ოფიციალური მოსკოვის ახალ დოქტრინას, რომელიც დიდი ხნის დაწერილია. მასში არჩევნებში ქართული ოცნების გამარჯვების შემდეგ, ნაუცბათევად გაჩნდა ცვლილებები. დოქტრინის ხაზი უცვლელი დარჩა, ყველანაირად ხელს შევუწყობთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის გაძლიერებასო ანუ ქართველებს იმის იმედი ნუ ექნებათ, რომ რუსეთი ოდესმე ხელს შეუწყობს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასო. ამ წინადადების ბოლოს ერთი სიახლეა დამატებული, რომ რუსეთი საქართველოსთან მეგობრობის აღსადგენად ყველაფერს გააკეთებს. დღეს, როცა სააკაშვილის ხელისუფლება აღარაა, რუსულ-ქართული მეგობრობისთვის ყველაზე დიდი ხელშემშლელი, რასაკვირველია, ტერიტორიული მთლიანობისა და ოკუპაციის საკითხია, ამიტომ რუსულ დოქტრინაში ურთიერთგამომრიცხავი თეზისებია. არადა, საგარეო-პოლიტიკური კონცეფცია ოფიციალური დოკუმენტია და კანონზე მაღლა დგას. საინტერესოა, როგორ აპირებს, ამ დოქტრინის პირობებში, ქართული დიპლომატია თავისი პრინციპებით — ნატო, ტერიტორიული მთლიანობა, პროდასავლური გზა — თანამშრომლობას? ახალ კონცეფციაში რუსეთი ასევე აცხადებს, აღმოსავლეთისა და ჩინეთისკენ მივდივარ, რადგან ევროპა სუსტდება და აღმოსავლეთი ძლიერდებაო. საუბარია ორი ტოტალიტარული სახელმწიფოს — რუსეთ-ჩინეთის კავშირზე, მაგრამ ტოტალიტარული რეჟიმები ერთად, როგორც წესი, ვერ ძოვენ და, ადრე თუ გვიან, ჩხუბს იწყებენ ხოლმე. ამ ახალ რეალობასთან თანამედროვე ქართული დიპლომატია მოდუს-ვივენდის როგორ მოძებნის, ამაზე დამაჯერებელი პასუხი არავის აქვს, ამიტომ ეს დიპლომატია დრომ უნდა გამოსცადოს. ჩვენ კი, სამწუხაროდ, ეს დროც არ გვაქვს.

— **ბატონო სოსო, დღევანდელი დიპლომატიური წარმომადგენლობა შედეგზე ორიენტირებული ნაბიჯების გადადგმას მოახერხებს?**

— სიმართლე გითხრათ, ახალ ელჩებში ტალეირანსა და ბისმარკს ვერ ვხედავ. ქართველი ელჩები იმავე პრინციპით ინიშნებიან, რითიც შევარდნაძისა და სააკაშვილის დროს ინიშნებოდნენ. მაგალითად, საინტერესოა, რა დიპლომატიური განათლება, ალღო და უნარი აქვს საფრანგეთში ელჩად დანიშნულ ქალბატონ სირაძე-დელონეს? სხვათა შორის, საფრანგეთი ნატო-ში ჩვენი გაწევრიანების ერთ-ერთი მოწინააღმდეგეა. გასაგებია, რომ ეს ქალბატონი არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობდა, მაგრამ ეს ძალიან ცოტას ნიშნავს. თან ქართულ ენჯეოზეა საუბარი, რომელიც ქვეყნის გარედან ფინანსდება. როგორც წესი, მუსიკას ის უკვეთავს, ფულს ვინც იხდის და გარე გრანტებზე მომუშავე არასამთავრობო დაკვეთებისგან თავისუფალი ვერ იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, საფინანსო წყაროებს გადაუკეტავენ.

— **მაინც, რა პრინციპით ხდება ელჩების დანიშვნა?**

— ისევ და ისევ, ნეპოტიზმით, პირადი ნაცნობობით, ნათესაობითა და ერთგულებით. სხვათა შორის, თედო ჯაფარიძე პროფესიონალია, მაგრამ პრეზიდენტი მის დანიშვნაზე, რატომღაც, უარს ამბობს... ვერ გეტყვით, რატომ...

— **ბატონო სოსო, აშშ-ში ელჩად არჩილ გეგეშიძის კანდიდატურაზე რას იტყვით?**

— გეგეშიძე ჭკვიანი მკვლევარია, მაგრამ ელჩს, მეცნიერული განათლების გარდა, ბევრი სხვა თვისებაც სჭირდება, რაც, ჩემი აზრით, გეგეშიძეს არ აქვს, ამიტომ არ მგონია, რომ კარგი ელჩი იქნება. დიპლომატია უაღრესად სპეციფიკური პროფესიაა, რომელსაც კომუნიკაბელურობა, ენამახვილობა და გახსნილობა სჭირდება. გეგეშიძე კი „ჩაკეტილი კაბინეტის“ მუშაკია და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ კომუნიკაბელურობა აკლია. საქართველოში, სადაც ჭკვიანი ექსპერტების დეფიციტია, მისი ამ პოზიციაზე გადაყვანა აუცილებელი, ალბათ, არ იყო...

— **ყოველივე ზემოთქმულის ფონზე, თანამედროვე ქართული დიპლომატიური სკოლა რა გამოწვევების წინაშე დგას?**

— სამწუხაროდ, დიპლომატიური სკოლა, როგორც ასეთი, აღარ არსებობს. დიპლომატის პროფესიაზე დიდი მოთხოვნაა და ამიტომ ყველა პროვინციულ კერძო სასწავლებელში შესაბამისი ფაკულტეტია გახსნილი, მაგრამ არავინ იცის, ვის იღებენ და ვინ ასწავლის... დარგის ფეხზე დასაყენებლად პოლიტიკური ნებაა საჭირო. ახალმა მთავრობამ უმაღლესი სასწავლებლები უნდა დააფინანსოს, რათა ნორმალური სწავლა იყოს. ასევე, სათანადო კადრების შერჩევა და სტუდენტთა სპეციალური სელექცია უნდა განხორციელდეს. როგორ შეიძლება, დიპლომატიურ ფაკულტეტზე ის სტუდენტი მიიღო, რომელიც ქართულად გამართულად ვერ ლაპარაკობს და ერთი უცხო ენაც არ იცის... სერიოზული კრიზისის წინაშე ვდგავართ და ამ დროს, ყველაფერი ტელეშოუდ აქციეს!



# „ქართული ოცნება“ დახურული ბაგა-ბაღების გახსნას აპირებს

ნელი თორდია
593-61-07-72

**საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, რესპუბლიკური პარტიის ლიდერმა, თინა ხიდაშელმა პლენარულ სხდომაზე „ადგილობრივი თვითმმართველობისა“ და „თბილისის შესახებ“ კანონებში შესატანი ცვლილებების პროექტი წარადგინა, რომელიც დახურული ბაგა-ბაღების აღდგენასა და დაფინანსების საკითხს ეხება.**



უმცირესობის წევრი სერგო რატიანი პროექტის დაფინანსების წყაროებით დაინტერესდა და აღნიშნა, რომ საქართველოში მოქმედი ბაღების რაოდენობა მოთხოვნის მხოლოდ 60%-ს აკმაყოფილებს. ბუნებრივია, რატიანს ბაგა-ბაღების დეფიციტის შექნაში მისი პოლიტიკური გუნდის „დამსახურებებზე“ არ უსაუბრია, თუმცა დაინტერესდა, როგორ გადაწყდება დანარჩენი 40%-ის მომსახურეობის საკითხი. ოპონენტის კითხვაზე საკანონმდებლო ცვლილებების ინიციატორმა უპასუხა, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე დარჩენილ 6 თვეში, ხელისუფლება ყველა პრობლემას მოაგვარებს, ხოლო გადასახადის გაუქმება მომსახურეობის ხარისხზე არ იმოქმედებს. ხიდაშელმა აქვე განმარტა, რომ ხელისუფლებისთვის სკოლამდელი აღზრდა პრიორიტეტული საკითხია და საკანონმდებლო ცვლილების განხორციელებისთვის საჭირო თანხა, დაახლოებით, 150 მილიონი, ადგილობრივი ან ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოიყოფა. თუკი რომელიმე მუნიციპალიტეტი დაასაბუთებს, რომ რესურსი არ გააჩნია, ის შესაბამის დაფინანსებას მიიღებს.

სკოლამდელი აღზრდის სისტემაზე მომუშავე არასამთავრობოები თინა ხიდაშელს ინიციატივას უწონებენ. „იურიდიულ და ფიზიკურ პირთა უფლებების დაცვა — ანტიკორუფციული კავშირის“ თავმჯდომარე გიორგი ბურჯანაძე დარწმუნებულია, რომ საკანონმდებლო ცვლილებები მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე სასიკეთოდ იმოქმედებს და კანონდარღვევით გასხვისებული ბაგა-ბაღების სახელმწიფოსთვის დაბრუნებას შესაძლებელს გახდის.

**„სკოლამდელი აღზრდა-განვითარება პირდაპირ კავშირშია ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობასთან. ბაღებში გადასახადების დაწესებამ რამდენი პრობლემა შეუქმნა მოსახლეობას. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მცირეშემოსავლიანმა ოჯახებმა შვილების ბაღში ტარებაზე, საერთოდ, უარი თქვეს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ის ოჯახები, რომლებსაც ბაგა-ბაღის ასაკის ორი ან მეტი შვილი ჰყავდათ. ვიცი შემთხვევები, როცა ბაღის გადასახადების გადაუხდელობის გამო, ოჯახის დედამ თავი დაანება მუშაობას და სახლში, შვილებთან დარჩა. ამის ასე გაგრძელება შეუძლებელი იყო, ამდენად, თინათინ ხიდაშელის ინიციატივა დროულად და აუცილებლად მიმაჩნია“,** — აცხადებს ბურჯანაძე, დასძენს, რომ ბაღებში გადასახადების გაუქმება ბავშვთა რაოდენობის გაზრდას გამოიწვევს და დახურული ბაღების აღდგენა აუცილებელი გახდება. **„გადასახადების გაუქმება მუნიციპალურ ბაღებზე მოთხოვნას გაზრდის, რომლის დაკმაყოფილება, არსებული რესურსის პირობებში, სრულიად შეუძლებელია. დახურული ბაღების გახსნის თემა, თავისთავად, დადგება და ხელისუფლება ამისთვის აქედანვე მზად უნდა იყოს. შეგახსენებთ, მოსახლეობის წინააღმდეგობის მიუხედავად, ხელისუფლება როგორ ხელაღებით ხურავდა ბაგა-ბაღებს, როგორ გადასცა მერიამ ბაღის ტერიტორია აზერბაიჯანის საელჩოს და რის ვაი-ვაგლახით მოხდა მისი უკან დაბრუნება. 2006 წელს „შანხაიზე“ მდებარე 41-ე ბაღის პატარა აღსაზრდელები პლაკატებითაც კი გამოვიდნენ — „მიშა ძია, გვიშველე, ბაღს გვართმევენ“. სამწუხაროდ, „მიშა ძიამ“ თხოვნა არ შეისმინა და დღეს ეს ბაღი გაყიდულია. გლდანში ბაღების, დაახლოებით, 10% გაჩერებულია. მათგან ნაწილი დევნილებს აქვთ დაკავებული, ნაწილი კი დაკეტილია. ბაღების, დაახლოებით, 30% უკვე გასაყიდი ობიექტების ნუსხაში იყო შეტანილი და რომ არა ხელისუფლების ცვლილება, უკვე იწყებოდა მისი ეტაპობრივი გასხვისება. ამჟამად საკრებულოსთან ერთად, აქტიურად ვმუშაობთ ასეთი ბაღების აღრიცხვაზე და დოკუმენტაციის მოძიებაზე. დარწმუნებული ვარ, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების გატარების შემთხვევაში, კანონდარღვევით გასხვისებული ბაგა-ბაღების სახელმწიფოსთვის დაბრუნება შესაძლებელი გახდება“.**

## ბუთა რობაქიძის საქმეში ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემის ბრალდებით, ყოფილი პოლიციელები დააკავეს

მთავარმა პროკურატურამ ბუთა რობაქიძის საქმეში ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემის ბრალდებით, ორი მოწმე დააკავა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ მთავარ პროკურატურაში განუცხადეს, სისხლის სამართლის კოდექსის 371-ე პრიმა მუხლის მეორე ნაწილით დაკავებულები არიან ყოფილი პოლიციელები, მაიზერ ლიპარტელიანი და ლევან ლობჟანიძე.

პროკურატურის ინფორმაციით, ლიპარტელიანმა 4-ჯერ მისცა ჩვენება, სადაც ამბობდა, რომ შემთხვევის ადგილზე იარაღი არ უნახავს, თუმცა, ირაკლი ფარცხალავას მიერ ბუთა რობაქიძის საქმეზე ვიდეომასალის გავრცელების შემდეგ ჩვენება შეცვალა და განაცხადა, რომ ადგილზე სხვადასხვა სახის იარაღი ნახა.

ასევე, პროკურატურის ცნობით, ლევან ლობჟანიძემ რამდენჯერმე მისცა ჩვენება და ყველა ჩვენება ურთიერთსაწინააღმდეგო იყო.

*„ინტერპრესნიუსი“*



## ბიძინა ივანიშვილი: „მომავალ თაობებს უნდა დავუტოვოთ ერთიანი და ძლიერი სახელმწიფო“



მომავალ თაობებს უნდა დავუტოვოთ ჭეშმარიტად ერთიანი და ძლიერი სახელმწიფო, — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა იუნკერთა მემორიალის გვირგვინით შემკობის შემდეგ განაცხადა. მისივე თქმით, დღევანდელმა მთავრობამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ დაღუპულ გმირებს ოცნება აუხდინოს და საქართველო ჭეშმარიტად გააძლიეროს.

**„1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა საოკუპაციო ჯარებს წინ აღუდგნენ ახალგაზრდა იუნკერები, რათა დაეცვათ ჩვენი ქვეყნის თავისუფლება, თუმცა უთანასწორო ბრძოლაში ისინი დაიღუპნენ. იმდროინდელმა თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოებამ ვერ მოახერხა ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს მხარდაჭერა. საქართველომ 33 იუნკერი მიწას მიაბარა და მათთან ერთად დაიტირა დამოუკიდებლობის დაკარგვაც. მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში, ქართველი ხალხი მუდმივად იღვწოდა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის და 70 წლის შემდეგ აქ, ამ ადგილზე გამოცხადდა კიდეც დამოუკიდებლობა. ჩვენ, დღევანდელმა მთავრობამ, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ გმირებს ოცნება ავუხდინოთ და საქართველო ჭეშმარიტად გავაძლიეროთ. ჩვენ ახალ თაობას უნდა დავუტოვოთ ჭეშმარიტად გამთლიანებული და გაძლიერებული სახელმწიფო“,** — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

პრემიერი პარლამენტის თავმჯდომარესთან, მთავრობისა და საკანონმდებლო ორგანოს წევრებთან ერთად, იუნკერთა სულის მოსახსენებელ პანაშვიდს დაესწრო, შემდეგ კი, იუნკერთა მემორიალი გვირგვინით შეამკო.

## „როსპოტრებნადზორის“ სპეციალისტები საქართველოში ჩამოვიდნენ



„როსპოტრებნადზორის“ სპეციალისტები საქართველოში ჩამოვიდნენ. თბილისის აეროპორტში მათ ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ლევან დავითაშვილი დახვდათ . რუსეთის სანიტარული სამსახურის სპეციალისტებმა აეროპორტი ისე დატოვეს, რომ ჟურნალისტებთან კომენტარი არ გაუკეთებიათ.

როგორც ლევან დავითაშვილმა განაცხადა, ეს არის სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგება 6 კაცისგან. ისინი 3 ჯგუფად დაიყოფიან და დაიწყებენ საწარმოების ინსპექტირებას. როგორც ლევან დავითაშვილმა აღნიშნა, შეთანხმების შედეგად, რუსი სპეციალისტები განცხადებებს მოსკოვში დაბრუნების შემდეგ გააკეთებენ.

რაც შეეხება კომპანიებს, დავითაშვილის განცხადებით, ყველა კომპანია, ვისაც სურვილი აქვს, რუსეთის ბაზარზე დაბრუნდეს, ამ დელეგაციის ვიზიტის დროს ვერ შემოწმდება, რადგან ასეთი კომპანია 80-ზე მეტია. პირველი ვიზიტი ერთი კვირის განმავლობაში გაგრძელდება და ამ პერიოდში მოხდება 45 საწარმოს შემოწმება. შემოწმება ჩატარდება თბილისსა და კახეთში, ხოლო დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ამ ეტაპზე, ინსპექტირება ვერ განხორციელდება. ამას ის მეორე ჯგუფი განახორციელებს, რომელიც საქართველოში ამ ვიზიტის დასრულების შემდეგ ერთი-ორი კვირის შუალედში ჩამოვლენ.

რაც შეეხება რუსული დელეგაციის წვერებს, როგორც ლევან დავითაშვილმა განმარტა, ისინი საწარმოების ჰიგიენურ-სანიტარულ მდგომარეობას შეამოწმებენ.

***„ინტერპრესნიუსი“***

# საქართველოს რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთზე მსჯელობა პოზიციებს ააშკარავებს

ზურაბ გამრეკელი

**დიდი ხანი არაა, რაც რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის გახსნასთან დაკავშირებით, ტელევიზია „მაესტროში“ შედგა „სტუდია.რეს“ გადაცემა ცნობილი ქართველი, სომეხი, აფხაზი და რუსი ექსპერტებისა და ჟურნალისტების მონაწილეობით. სოხუმთან და ერევანთან პარალელურმა ტელეხიდებმა ისეთი შთაბეჭდილება დაგვიტოვა, რომ საკითხი თითქოს ყველაზე ნაკლებ ინტერესს სომხეთსა და აფხაზეთში უნდა იწვევდეს, თუმცა რეალური სიტუაცია სრულიად საპირისპიროა...**




### აზერბაიჯანის პოზიცია

აზერბაიჯანულ გამოცემა „ექოში“ გამოქვეყნდა უსაფრთხოების საკითხების ბაქოელი პროფესორის, კამილ სალიმოვის ინტერვიუ „სომხეთის რკინიგზები — სატრანსპორტო აპოკალიფსი“. ინტერვიუში იგი სომხური რკინიგზის ბლოკადის გაგრძელების აზერბაიჯანისთვის პოზიტიურ გეოპოლიტიკურ მნიშვნელობაზე საუბრობს.

მისი აზრით, სომხეთის პრეზიდენტის სერჟ სარგსიანის გამონათქვამი ერევანში, ბატონ ბიძინა ივანიშვილთან საუბრისას მასზედ, რომ **„...აფხაზეთის რკინიგზის მონაკვეთის გახსნა დიდი ამბავი იქნება“,** — სრულ სიმართლეს შეეფერება. ამაში ძნელია არ დავეთანხმოთ ბაქოელ პროფესორს, ეს რკინიგზა სომხეთს ჰაერივით სჭირდება...

ამიტომ, აზერბაიჯანი სომხეთთან შეეცდება სტატუს-კვოს შენარჩუნებას და ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობის რაც შეიძლება სწრაფად დასრულებას. გამოცემა „ექოში“ აზერბაიჯანელი ექსპერტი ოქტაი ახვერდიევი აღნიშნავს, რომ ამ რკინიგზას კონკურენტუნარიანი ტარიფები უნდა ჰქონდეს. ისინი, ერთი მხრივ, მიმზიდველი, მეორე მხრივ კი, პროექტის უკუგებისათვის საკმარისი უნდა იყვნენ (ეს ბუნებრივია, რადგან პროექტისთვის შეღავათიანი კრედიტი მთლიანად აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო ფონდმა გამოყო). ახვერდიევი მიუთითებს, რომ ბაქოს მხრივ გამოყოფილი ინვესტიციების ანაზღაურება დაახლოებით 10 წელში უნდა მოხდეს. თანაც, რადგან რკინიგზა სამ ქვეყანას გაივლის, ეს ტარიფები სამივე ქვეყნის ინტერესებს უნდა აკმაყოფილებდეს. ს/ს „აზერბაიჯანული რკინიგზების“ ხელმძღვანელის, ნადირ აზმამედოვის აზრით, მათი სიდიდე, როგორც ამას მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, სამივე ქვეყნის სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებით უნდა განისაზღვროს. ასევე, სამმხრივი შეთანხმებით დგინდება მართვა, თუმცა არსებული საერთაშორისო პრაქტიკით, რამდენიმე ქვეყნის გადამკვეთი რკინიგზის შემთხვევაში ერთიანი მართვა არ იქმნება, მაგრამ რადგან ეს რკინიგზა სამი დამფუძნებელი მხარის მიერ ოპერატიულად უნდა იმართოს, თანაც გზა ვიწროევროპულ და ყოფილ საბჭოთა ლიანდაგების სისტემაზე აიგება, — მართვის სამმხრივი ცენტრალიზებული სისტემის შექმნა აუცილებელია.

მოსალოდნელია, რომ მატარებელს აზერბაიჯანული ლოკომოტივი საქართველოს საზღვრამდე მოიყვანს, შემდეგ მას ჩაიბამს ქართული ლოკომოტივი. სავარაუდოდ, თურქეთის საზღვართანაც იგივე პროცედურა განხორციელდება, თუ არ ჩავთვლით ვაგონების გოგორწყვილების ევროპულზე გადაცვლის ხანმოკლე პროცესს, რაც ახალქალაქთან, სპეციალურ სადგურზე განხორციელდება.

### საქართველოს პოზიცია

საქართველოს ეკონომიკის დღევანდელი მდგომარეობა საკმაოდ პრობლემატურია და აღნიშნული რკინიგზის გახსნა ჩვენი ქვეყნის კომპანიებს რუსეთის ბაზარზე გასვლის შანსს აძლევს. თუმცა, ქ. ერევანში ზემოაღნიშნული ვიზიტის დროს, პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა ხაზგასმით განაცხადა, რომ ეკონომიკის რეანიმაციამ არ უნდა დააზარალოს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოება, ამიტომ აფხაზეთის მონაკვეთის გახსნაზე საუბრისას, სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის წინაპირობად, მან ყველა მხარის პოზიციების გათვალისწინება მიიჩნია.

რუსი ექსპერტის, ვაშინგტონის სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრის მკვლევარის, სერგეი მარკედონოვის აზრით, ვიდრე საქართველოში შენარჩუნდება ორხელისუფლებიანობა, პრინციპული გარღვევები ამ რკინიგზის გახსნის თვალსაზრისით, არ არის მოსალოდნელი.

მკითხველს, ფაქტობრივად, იგივე შთაბეჭდილება დარჩა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, ბატონ გიორგი კვირიკაშვილის განცხადების შემდეგაც, რომელიც ა/წლის 13 თებერვალს გაჟღერდა სააგენტო „პირველის“ მიერ გავრცელებულ ინტერვიუში. ის ხაზს უსვამს, რომ აფხაზეთის რკინიგზის აღდგენის საკითხი აქტიური განხილვის ფაზაში არ არის. ამის შესახებ კვირიკაშვილმა სასტუმრო „რედისონში“ აღმოსავლეთ პარტნიორობის არაფორმალური დიალოგის მეორე შეხვედრის ფარგლებში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

იმავე დღეს, საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის ქართული მონაკვეთის მშენებლობის საკოორდინაციო საბჭოს სხდომის შესახებ. ამ შეხვედრის დასრულებისას, აზერბაიჯანის ტრანსპორტის მინისტრმა ზია მამედოვმა განაცხადა, რომ ორივე მხარემ სრულ ურთიერთგაგებით დაამტკიცა ქართული მონაკვეთის ბიუჯეტი 175 მლნ დოლარის ოდენობით. სულ აზერბაიჯანს საქართველოსთვის 775 მლნ დოლარის შეღავათიანი კრედიტი აქვს გამოყოფილი. მისი ინფორმაციით, ამ მონაკვეთზე უკვე ამ წლის ბოლოს მატარებლები ამოძრავდებიან და არ არსებობს რომელიმე მხარის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულებაზე რაიმე პრობლემა. მინისტრმა ასევე დააანონსა 22 თებერვალს, ქ. სტამბოლში, საკოორდინაციო საბჭოს სამმხრივი შეხვედრა.

მინისტრის აღნიშნული გამოსვლიდან ყველაზე საინტერესო იყო განცხადება მასზედ, რომ აზერბაიჯანული მიწების ოკუპანტი ქვეყანა — სომხეთი, აზერბაიჯანის ნებართვის გარეშე, ამ რკინიგზით ვერ ისარგებლებს.

ამ ორიოდე კვირის წინ, ამ რკინიგზის მარაბდა-კარწახის მონაკვეთის მშენებლობის დასრულების შესათანხმებლად, აზერბაიჯანის ტრანსპორტის სამინისტროს დელეგაცია საქართველოს სტუმრობდა. აზერბაიჯანის ტრანსპორტის მინისტრის, ზია მამედოვის ინფორმაციით, ამ მონაკვეთზე 2013 წლის ბოლომდე უკვე პირველი მატარებელი გაივლის. ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის საკოორდინაციო საბჭოს მორიგი სხდომა ა/წლის 22 თებერვალს, ქ. სტამბოლში გაიმართა ანუ ამ რკინიგზის მშენებლობა ჩვეულებრივ მიმდინარეობს.

### სომხეთისა და თურქეთის პოზიცია

აზერბაიჯანელთა საქართველოში ვიზიტამდე, სომხეთის ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრმა არტაშეს ავეტისიანმა განაცხადა, რომ **„...შესაძლებლობის შემთხვევაში სომხეთი სიამოვნებით ისარგებლებს ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზით“.**

საქმე ისაა, რომ აზერბაიჯანისა და თურქეთის მხრივ სარკინიგზო ბლოკადით, სომხური საქონელი არაკონკურენტუნარიანი გახდა. სომხეთის ეკონომიკის რეალურ სექტორში უცხოური ინვესტიციების მოცულობა, 2012 წლის შედეგებით, მხოლოდ 391.1 მლნ დოლარია. 2011 წელთან შედარებით, ეს მაჩვენებელი შემცირდა 35.2%-ით. მათ შორის, პირდაპირი რუსული ინვესტიციების მოცულობა, ამავე პერიოდში შემცირდა 71.1%-ით, ხოლო აშშ-დან ინვესტიციები – 71.2%-ით. ყოველივე აღნიშნულის გამო, ამჟამად სომხეთს ირანთან მეგრი-თავრიზის რკინიგზის აშენება უნდა, რაშიც რუსეთის დახმარების იმედი აქვს, მიუხედავად ირანის წინააღმდეგ მოქმედი საერთაშორისო სანქციებისა.

აღსანიშნავია, რომ რკინიგზის გახსნა სომხეთმა პირველად 2009 წელს თურქულ-სომხური ურთიერთობების ნორმალიზაციის მცდელობისას, ყარსი-გიუმრის 1993 წლიდან დაკეტილ მონაკვეთზე სცადა. მაშინ რუსული სააგენტო „რეგნუმი“ იტყობინებოდა, რომ თურქეთს შეიძლება უარი ეთქვა ყარსი-ახალქალაქი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალის პროექტზე. ანკარას ასეთი თავშეკავებული პოზიცია სომხეთს უნდოდა კონკურენტული ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობის ჩასაშლელად გამოეყენებინა.

ამის შესახებ თურქეთმა პირველად 2008 წლის 16 სექტემბერს, ბაქოში, პროექტის რეალიზაციის საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე განაცხადა. 2008 წლის აგვისტოში, საქართველოში განვითარებული მოვლენების გამო, თურქულმა მხარემ ეჭვი შეიტანა პროექტის განხორციელების ეფექტიანობაში. იმ ეტაპზე, ანკარაში მთავარ მოტივად ასახელებდნენ საქართველოს მიერ აზერბაიჯანისგან აღებული 200-მილიონიანი კრედიტის გადახდისუუნარობა. ასევე, თურქული მხარე არ იყო დარწმუნებული, რამდენად შეძლებდა საქართველო, სომხური მოსახლეობით დასახლებული რეგიონის — სამცხე-ჯავახეთის უსაფრთხოების დაცვას, სადაც მაგისტრალს უნდა გაევლო.

თურქეთი ახალქალაქის ალტერნატივად, ყარსი-გიუმრის სარკინიგზო მაგისტრალს განიხილავდა. სომხეთის პრეზიდენტის სერჟ სარგსიანის იმდროინდელი განცხადებით, ყარსი-გიუმრის რკინიგზის ტექნიკურ აღდგენას სულ რამდენიმე დღე სჭირდება. საბოლოოდ, ეს პროცესი, გარკვეული მიზეზების გამო, წარუმატებელი აღმოჩნდა. დინამიური „საფეხბურთო„ დიპლომატიის (საუბარია ორ ქვეყანას შორის ე.წ. ციურიხის ოქმების გაფორმებაზე და 2009 წლის ოქტომბერში სომხეთ-თურქეთის საფეხბურთო ნაკრებების ორი მატჩის დროს სომხეთის და თურქეთის პრეზიდენტების შეხვედრაზე) შემდეგ, ამ ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური უძრაობის ხანა დამკვიდრდა.

თუმცა, არა ყოველმხრივი უტრანსპორტობა, არამედ ძირითადად, სომხეთში გამეფებული მონოპოლიზმი, კორუფცია, ეკონომიკური კრიზისი და სხვა მოვლენებია იმის მიზეზი, რომ სომხეთის ეკონომიკა ველარ ვითარდება. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინფორმაციით, „ჩრდილოვანი სექტორის“ წილი სომხეთის ეკონომიკაში ყველაზე მაღალია არა მარტო სამხრეთ კავკასიაში, არამედ მთელ აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში. ამ სავალალო მდგომარეობაზე არა მარტო ეკონომიკის შიდა პრობლემები, არამედ საგარეო ფაქტორებიც მოქმედებენ. ასე მაგალითად, ამას წინათ, საქართველოში, ფოთის პორტში მომხდარმა გაფიცვამ, სომხური სატრანსპორტო კომპანიების მუშაობაზე ნეგატიურად იმოქმედა, გამოიწვია სომხეთის ტვირთების ფოთიდან ბათუმში გადატანა და მათი საპორტო გადამუშავების, ასევე ერევნამდე გადამისამართების გაძვირება. საქართველოში მიმდინარე გაფიცვების გამო, სომხეთში რკინიგზით ვაგონი ტვირთის გადატანა დაახლოებით 450-500 დოლარით, ხოლო საავტომობილო ტრანსპორტით – „ფურაზე“ 200 დოლარით გაძვირდა.

*დასასრული მე-14 გვერდზე*



*მე-13 გვერდიდან*

საშუალოდ, ბათუმის პორტიდან ერევანში ტვირთის გადატანა 30%-ით მეტი ღირს. თუ ერთი კონტეინერის გადატანა საქართველოში გაფიცვების პერიოდში, ფოთიდან ერევანში 700 დოლარი იყო, ბათუმიდან ერევანში იგივე ტვირთის გადაზიდვა უკვე 1100 დოლარი ღირდა.

გამძაფრებული ეკონომიკური პრობლემების გამო, სახელმწიფო ხაზინის შესავსებად, სომხეთში იმ სპორტსმენთა მედლების საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრაც კი დაიწყეს, რომლებმაც ოლიმპიურ და სხვა საერთაშორისო ტურნირებზე წარმატებას მიაღწიეს. ახლა ყველა სახის მედლის განბაჟება, საშუალოდ, 47 ათ. დრამი ანუ 116 დოლარი ჯდება.

მაშასადამე, ამ რკინიგზის ირგვლივ წარმოდგენილ ინტერესებში, ყველაზე თვალშისაცემია სწორედ ერევნის ინტერესები, ვინაიდან აფხაზეთის მონაკვეთის გახსნა ერევნისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია — ესაა რუსეთში სომხური პროდუქციის მიტანის ყველაზე მოკლე და იაფი გზა.

ბაქოელი პროფესორი კამილ სალიმოვი აღნიშნავს, რომ სომხეთი დაინტერესებულია ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ჩარჩოებში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესებით. სომხეთის სპეციფიკა იმაშია, რომ ეკონომიკის მთელი სტრუქტურა საბაჟო კავშირში მყოფი სხვა წევრი ქვეყნების (რუსეთი, ბელორუსი, ყაზახეთი) ეკონომიკებისგან დიდად განსხვავდება. ამ ქვეყნებს (გარდა ბელორუსისა) ენერგომატარებლების მნიშვნელოვანი მარაგები გააჩნიათ, თანაც იქ ადგილობრივი წარმოების დაცვა მაღალი საბაჟო ტარიფებით ხდება. საბაჟო კავშირში საბაჟო გადასახადები თითქმის ორჯერ მეტია, ვიდრე სომხეთში. ამასთან, მსოფლიო პრაქტიკაში არ გვხვდება იმის მაგალითი, რომ ქვეყანა საბაჟო კავშირში წევრიანდებოდეს და არ ჰქონდეს საერთო საზღვარი ამ კავშირის სხვა წევრებთან. სხვა შემთხვევაში, ამ კავშირის სარგებელი იკარგება. ამის ახსნა იმითაა შესაძლებელი, რომ საქონელმწარმოებლები, საბაჟო კავშირში შესასვლელად ან იქიდან საქონლის იმპორტის შემთხვევაში, იძულებულნი არიან, მესამე ქვეყნებში მოახდინონ განბაჟება. ამის შედეგი ის იქნება, რომ საბაჟო კავშირის წევრობის შემთხვევაში სომხეთი, სარგებლის მიღების ნაცვლად, დაზარალდება.

საინტერესოა, რომ ზოგი სომეხი ექსპერტის პოზიცია განსხვავდება არა მარტო აზერბაიჯანელების შეხედულებებისაგან, რაც ბუნებრივია, არამედ მოსკოვის ისეთი გავლენიანი კვლევითი ცენტრის პოზიციისაგან, როგორიცაა „რუსეთის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტი“ (РИСИ).

ჟურნალისტისა და პოლიტოლოგის, პორტალ „გეოპოლიტიკა.რუ“-ს ექსპერტის, ყარაბაღელი სომხის — იგორ მურადიანის სტატიაში, რომელიც სომხურ წყაროებში გამოქვეყნდა, საუბარია РИСИ-ის მჭიდრო კავშირზე რუსეთის სპეცსამსახურებთან. ექსპერტი უკმაყოფილოა ინსტიტუტის პოზიციით – აფხაზეთის რკინიგზის აღდგენის, სომხეთ-ირანს შორის სარკინიგზო მიმოსვლის საკითხებზე გამოთქმული უარყოფითი და აზერბაიჯანისთვის იარაღის მიწოდების საკითხის მიმართ დადებითი გამოხმაურებით. ავტორი ინსტიტუტის პოზიციას რუსეთის სპეცსამსახურების – ფედერალური უსაფრთხოების სამსახურისა და საგარეო დაზვერვის სამსახურის პოზიციასა თუ საქმიანობის პრიორიტეტებთან აიგივებს და შიშობს, რომ ეს რუსეთის ოფიციალურ წრეებში სომხეთთან „მეგობრობის“ შესუსტებას მოასწავებს.

მურადიანის პასუხად, „რუსეთის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის“ დირექტორი, რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურის გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი ლეონიდ რეშეტნიკოვი აცხადებს, რომ სომეხი ექსპერტის მიერ გამოთქმული ვარაუდი „...სრული პარანოია და სიგიჟეა“. ის ამბობს, რომ „ინსტიტუტის თანამშრომლებს ისეთი საქმიანობა დააბრალეს, რომლის შესახებ მათ აქამდე წარმოდგენაც არ ჰქონდათ“, თუმცა რუსულ სპეცსამსახურებთან ინსტიტუტის მჭიდრო კავშირს პირდაპირი ტექსტით არსად უარყოფს. სავარაუდოდ, ამ კავშირების გამო „უთავსებს“ ის კოსტრომის იგნატიევის წმინდა სამების მონასტრის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეობას, რფ-ს საგარეო საქმეთა სამინისტროს სამეცნიერო საბჭოში მოღვაწეობას, რფ-ს ეროვნული უშიშროების საბჭოსთან არსებული სამეცნიერო და რფ-ს თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებრივი საბჭოების წევრობას.

თუმცა, იგორ მურადიანი სომხური გამოცემა „ლრაგირის“ ფურცლებზე ამტკიცებს, რომ ვერავინ უარყოფს ფაქტს რფ-ს საგარეო დაზვერვის მიერ, ყარაბაღის პრობლემის აზერბაიჯანის სასარგებლოდ, მშვიდობიანად გადაწყვეტის სცენარის არსებობის შესახებ. ასევე, იგორ მურადიანი სინანულით აღნიშნავს, რომ სწორედ РИСИ-ის აქვს უარყოფითი პოზიცია აფხაზეთის სარკინიგზო მონაკვეთის გახსნაზე. მასვე, კიდევ უფრო მეტი სინანულით, მიაჩნია, რომ ამ ინსტიტუტს აქვს ნეგატიური დამოკიდებულება სომხეთ-ირანის რკინიგზის გახსნაზე. აგრეთვე, რუსეთ-სომხეთის „სტრატეგიულ ურთიერთობებზე“.

ამრიგად, აშკარა პრომოსკოველ ყარაბაღელს — იგორ მურადიანს, თავისდაუნებურად წამოსცდა, რომ აფხაზეთის მონაკვეთის გახსნა, ყველაზე მეტად, სწორედ სომხეთის სტრატეგიულ ინტერესებშია.

## ქართული მხარის პოზიცია პრაგმატული უნდა იყოს

რკინიგზის გახსნის შესახებ საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ წარმომადგენელს, ბატონ სერგი კაპანაძეს. კერძოდ, ერთ-ერთ ინტერვიუში იგი სრულიად სამართლიანად წამოჭრის ამ რკინიგზის გახსნის, მსო-ში რუსეთის გაწევრიანებისას ყველა მხარესთან შეთანხმებულ საბაჟო მონიტორინგის საერთაშორისო დერეფანთან დამოკიდებულების საკითხს. ან თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გზის აფხაზეთისა და სომხეთის მონაკვეთების მფლობელი ს/ს „რუსეთის რკინიგზებია“ — ვინც იქნება ამ მოლაპარაკებების მონაწილე.

თუმცა, აფხაზურმა მხარემ განაცხადა, რომ რკინიგზის გახსნაზე თანახმა მხოლოდ მაშინ იქნება, თუ მატარებლები საქართველოს შეუჩერებლად გაივლიან, რაც არარეალურია წმინდა ტექნიკური, რომ აღარაფერი ვთქვათ, პოლიტიკური მიზეზებით. ამასთან, აფხაზური მედია გამუდმებით ავრცელებს მოსაზრებას მასზედ, რომ რკინიგზის გახსნას ქართველების აფხაზეთში დაბრუნება მოჰყვება (თითქოს 65 ათასზე მეტი ქართველი აფხაზეთში არ ცხოვრობდეს!).

მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, თუ საქართველოსა და რუსეთს შორის რკინიგზის გახსნაზე შეთანხმება მაინც შედგა, სავარაუდოდ, ეს რკინიგზა ყველანაირი, მათ შორის სომხეთში და პირიქით, რუსული სამხედრო ტვირთის გადატანაზეც „იმუშავებს“. ეს დასავლეთის ქვეყნების მხრივ გამოცხადებული ანტიირანული სანქციების ფონზე, საქართველოს მთავრობისათვის გასათვალისწინებელი იქნება. თუმცა, ავღანეთის საკითხებში რუსეთ-ამერიკის თანამშრომლობის გათვალისწინებით, იგულისხმება იგივე ულიანოვსკის სატრანსპორტო პუნქტზე (перевалочный пункт НАТО) შეთანხმება, არაა გამორიცხული, სირიაში ვითარების გამწვავების ფონზე, დასავლეთმა სომხეთი-საქართველო-რუსეთის რკინიგზაც საკუთარი მიზნებისათვის გამოიყენოს. ამ შემთხვევაში, საქართველოს გეოპოლიტიკური მნიშვნელობა როგორც რუსეთისათვის, ისე დასავლეთისთვის იზრდება. იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთს ავღანეთიდან ალიანსის ტვირთების გამოტანა და ტრანზიტი სოლიდურ შემოსავალს – წლიურად 15-დან 20 მლნ დოლარამდე აძლევს, ადვილი წარმოსადგენია, რომ სომხეთ-საქართველო-რუსეთის ამ მიზნით გამოყენება როგორი ინტერესის მატარებელი იქნება რუსეთისათვის.

მიუხედავად ამისა, თუკი სომხეთ-რუსეთ-საქართველოს შეთანხმება მაინც შედგა და დასავლეთმაც ამაზე ნეგატიური პოზიცია არ გამოხატა, თბილისს გადასაწყვეტი ექნება რამდენიმე ტექნიკური საკითხი. კერძოდ, რა სახის მატარებლები იმოძრავებს ამ რკინიგზით – სამგზავრო თუ სატვირთო, თუ ორივე... იმ შემთხვევაში თუ საქართველო, უახლოეს ათწლეულში მაინც გაწევრიანდება ნატო-ში, მაშინ ამ რკინიგზით ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს უჩნდება რუსეთსა და სომხეთზე, მომავალში კი ირანზე, ზემოქმედების ქმედითი ბერკეტი. ამის მკაფიო მაგალითია ლიტვა, რომლის ტერიტორიაზე გამავალ კალინინგრადის რკინიგზაზე მოძრაობის ინტენსივობა იკლებდა რუსეთთან „ნატოს“ ურთიერთობების „გაფუჭების“ კვალობაზე.

ეს აშკარად შესამჩნევი იყო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს. ამ შემთხვევაში, კალინინგრადში დისლოცირებული რფ-ს შეიარაღებული ძალების დაჯგუფება აღმოჩნდა რუსეთის დანარჩენი ტერიტორიიდან მოწყვეტილი. ეს დაჯგუფება გარშემორტყმულია ნატო-ს წევრი ქვეყნებით, რაც მის უსაფრთხოებაზე ნეგატიურად მოქმედებს. თუ მხედველობაში მივიღებთ ამ ფაქტს და ევროპაში ანტისარაკეტო თავდაცვის პროექტის (EAMDP) განვითარებას, რუსეთის ხელისუფლებამ ძალთა ბალანსის შესანარჩუნებლად დაიწყო „ისკანდერის“ რაკეტების კალინინგრადის ოლქში განლაგება.

ლიტვაში რუსეთის მოქალაქეების შესასვლელად, ზოგადად, „შენგენის ვიზაა“ საჭირო, თუმცა ლიტვის საზღვრის გადაკვეთისას, რუსეთის მოქალაქეები, რომლებიც მუდმივად კალინინგრადში არიან დარეგისტრირებულნი, დროებით, 24-საათიან „გამარტივებულ სატრანზიტო დოკუმენტს“ (УТД) იღებენ, რომელიც სამწლიანია. რუსეთიდან ლიტვაზე ტრანზიტით, რკინიგზით მგზავრობისას, კი გამოიყენება „სარკინიგზო გამარტივებულ სატრანზიტო დოკუმენტი“ (УПДЖД), რომელიც მგზავრმა რუსეთში, მგზავრობამდე 28 საათით ადრე, სარკინიგზო სალაროში უნდა შეუკვეთოს და ის მგზავრს მატარებლის გამცილებლის მიერ მიეცემა. ეს УПДЖД მგზავრებზე უფასოდ გაიცემა, ის ფორმალურად, 6-საათიანი ტრანზიტის და 3 თვის განმავლობაში უკან დაბრუნების პერიოდშია ვარგისი. მისი ფლობა არ იძლევა ლიტვის ტერიტორიაზე, ტრანზიტის მთელი დროის მანძილზე, ვაგონიდან გადმოსვლის უფლებას.

მატარებლები, რომლებიც კალინინგრადის ოლქის გავლით ლიტვას გადაკვეთენ, რუსეთში არ ითვლებიან საერთაშორისო ტრანსპორტად. ამის გამო, მოსკოვიდან და სანკტ-პეტერბურგიდან კალინინგრადში ჩასასვლელი ბილეთების ფასი 30%-ით ნაკლებია, ვიდრე მოსკოვიდან ან სანკტ-პეტერბურგიდან ვილნიუსში გასამგზავრებელი ბილეთები, — მიუხედავად იმისა, რომ ვილნიუსი, კალინინგრადთან შედარებით, ახლოსაა. ეს მგზავრებს, რომლებსაც შენგენის ვიზა აქვთ, საშუალებას აძლევს, ბილეთებზე ეკონომია გააკეთონ. კერძოდ, ისინი ბილეთს იღებენ კალინინგრადის ოლქის პირველივე სადგურამდე — ქ. ნესტეროვომდე, ფაქტობრივად კი, ვილნიუსში ჩამოდიან. იგივე სქემა მოქმედებს ასევე უკან, მოსკოვში ან პეტერბურგში, დაბრუნებისას. უფრო მოხერხებულ მდგომარეობაში არიან რუსეთისა და „შენგენის“ რომელიმე ქვეყნის ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირები. ისინი კალინინგრადიდან გამოსვლისას რუსულ პასპორტს წარადგენენ, ხოლო ლიტვის საზღვრის გადაკვეთისას უკვე მეორე პასპორტს აჩვენებენ. პრივილეგირებულ მდგომარეობაში არიან ლატვიისა და ესტონეთის, ასევე ისრაელის, არგენტინის, სერბეთისა და ჩერნოგორიის მოქალაქეები, რადგან მათ არც რუსეთის და არც შენგენის ზონის ვიზები არ სჭირდებათ.

ზემოაღნიშნულისგან განსხვავებით, რუსეთ-საქართველოს საზღვარზე სამგზავრო მატარებლების მოძრაობის აღდგენის შემთხვევაში, საქართველოსა და სომხეთის, ასევე საქართველოსა და რუსეთის საზღვრებზე არ იქნება საჭირო რაიმე სავიზო დოკუმენტები, ვინაიდან ჩვენ ამ ქვეყნებთან უვიზო რეჟიმი გვაქვს. ანუ რუსეთ-საქართველო-სომხეთის სამგზავრო მიმოსვლის განახლება, ლიტვაზე ტრანზიტით რუსეთ-კალინინგრადის ოლქის მიმოსვლასთან შედარებით, ბევრად მარტივი იქნება, - თუ რა თქმა უნდა, აფხაზური მხარის თანხმობა მიიღწევა...

## ზურაბ აბაშიძისა და გრიგორი კარასინის მორიგი შეხვედრა პრაღაში გაიმართება



რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის, ზურაბ აბაშიძისა და რუსეთის პრეზიდენტის წარმომადგენლის, გრიგორი კარასინის 1 მარტისთვის დაგეგმილი შეხვედრა ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში გაიმართება.

ზურაბ აბაშიძის თქმით, პრაღაში შეხვედრაზე მხარეები რუსეთ-საქართველოს სავაჭრო, სატრანსპორტო, ჰუმანიტარულ და კულტურული ურთიერთობების საკითხებს განიხილავენ. მორიგ შეხვედრაზე მხარეები, ასევე, შეაჯამებენ, თუ რა წინსვლაა ვაჭრობის კუთხით, კერძოდ, ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე დაბრუნების თვალსაზრისით. შესაძლოა, განხილულ იქნეს აღნიშნულ სფეროებში თანამშრომლობის ახალი მიმართულებებიც.

აბაშიძესა და კარასინს შორის პირველი შეხვედრა გასული წლის 14 დეკემბერს, შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში გაიმართა.

*„ინტერპრესნიუსი“*

## სესილია მალმსტრომს ვილნიუსის სამიტზე საქართველოს მოლოდინზე საუბარი უჭირს



მთავრობის კანცელარიაში, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი საშინაო საკითხებში ევროკომისარ სესილია მალმსტრომს შეხვდა. ქართული მხრიდან შეხვედრას საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე და ევროინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი ესწრებოდნენ.

მხარეებმა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების შესახებ ისაუბრეს, სადაც საქართველოს პრემიერ–მინისტრმა მზადყოფნა გამოთქვა ყველა იმ ვალდებულების შესრულებაზე, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს ევროპასთან დაახლოებას, მათ შორის, უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შემოღების საკითხის დაჩქარებას.

**„ჩვენ გვქონდა ძალიან საინტერესო შეხვედრა სესილია მალმსტრომთან, რომელიც ევროკომისარია საშინაო საკითხებში. მან ვიზის ლიბერალიზაციის გეგმა ჩამოგვიტანა, რომლითაც ჩვენ აუცილებლად ვისარგებლებთ, რათა ევროპასთან უვიზო რეჟიმს მივაღწიოთ, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის განვითარებას და მის დაახლოებას ევროპასთან“,** — განაცხადა შეხვედრის დასრულების შემდეგ პრემიერმა.

საშინაო საქმეთა ევროკომისარი ასევე შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს. ერთობლივ პრესკონფერენციაზეკი მალმსტრომმა განაცხადა: **„ძალიან ძნელია, ვილაპარაკოთ საქართველოს მდგომარეობაზე ვილნიუსის სამიტთან მიმართებაში. ეს დამოკიდებულია დიდწილად იმაზე, თუ რას გააკეთებს მთავრობა, პარლამენტი“.**

მისივე განმარტებით, სამიტი მნიშვნელოვანია, **„მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია პროცესი, რომელიც სამიტამდე გაივლის“.**

აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტის შეკითხვას, თუ რა მოლოდინი შეიძლება ჰქონდეს საქართველოს ვილნიუსის სამიტზე, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ წარმატებისთვის აუცილებელია, საქართველოში დემოკრატიის ორი ძირითადი ფუნქცია – დამოუკიდებელი სასამართლო და მედია შენარჩუნდეს.

**„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ვილნიუსის სამიტთან მივიდეთ კარგ ფორმაში, ამისთვის კი აუცილებელია, რომ შენარჩუნებულ იყოს დამოუკიდებელი სასამართლო და დამოუკიდებელი მასმედია. ჩვენი დემოკრატიის ამ ორ ძირითად ფუნქციას არავინ უნდა შეეხოს, ასევე იყოს რაღაც დონის თანამშრომლობა პარტიებს შორის, ეს იქნება სწორი გზა ვილნიუსისკენ“,** — აღნიშნა სააკაშვილმა.

*„ინტერპრესნიუსი“*

# პოეტი და უკვდავება

## რატი (ტატო) ნინუას შესახებ



ხშირად საუბრობენ პოეზიის რეფორმის შესახებ. დიახ — რუსთაველმა, გურამიშვილმა, მართლაც მოახდინეს ეს რეფორმა. მერე იყო „ტრიუმვირატი“ — ილია, აკაკი, ვაჟა და ბოლოს — გალაკტიონი, ცისფერყანწელები (პაოლოსა და ტიციანის ლიდერობით), გრანელი.

აქ დასრულდა ნუსხა ძველი მეფეებისა.

1959 წლის გაზაფხულზე, მარტში, გალაკტიონმა თავი მოიკლა და ამით თითქოს თვით ქართული პოეზიაც მოკლა. ეს იყო და ეს.

არა, შემდეგ ისევ გამოჩნდნენ ახალი თაობები, პოეზიის ახალი ვარსკვლავებით, თუმცაღა ოთხმოცდაათიან წლებამდე ლექსის რეფორმა აღარ მომხდარა. ყოველ შემთხვევაში, მე, პირადად, ასე ვფიქრობ, რომ ქართული ხელოვნების რენესანსი ოთხმოცდაათიანი წლებიდან დაიწყო, და ეს მით უფრო გასაოცარია, რომ 1992 წლიდან მოყოლებული, ჩვენს ქვეყანას ნგრევა-განადგურება, ღალატი და სიძულვილი გაცილებით მეტი უნახავს, ვიდრე შენება-აღმავლობა. ბოლო ოც წელიწადში ქვეყნის გაქრობას წინ მხოლოდ ხელოვნებაღა გადაეღობა.

ოთხმოცდაათიანი წლების ბოლოს, თბილისში ყველა ლაპარაკობდა ძმადშეფიცულების შესახებ — მერაბი, ზვიადი, ხშირად გაიგონებდით, გურამ პეტრიაშვილის სახელსაც...

მერე დაიწყო წითელი იმპერიის ნგრევა. (რატი ბავშვობიდანვე „პატარა დისიდენტიც“ ყოფილა, გაეცანით თბილისის I საშუალო სკოლის, ყოფილი დირექტორის ქ-ნი ლიანა შეწირულის წერილს და დარწმუნდებით). მერე კი უკვე ეროვნული ხელისუფლება დაემხო და საქართველოს ნგრევა დაიწყო. ამ ყველაფერს უყურებდა გენიალობით აღჭურვილი რატი (ტატო) ნინუა. იგი სულიერ სიმშვიდეს ლექსების წერაში პოულობდა. თითქოს სულ წერდა, დაბადებიდან მოყოლებული, და მას არასოდეს დაუწერია სუსტი ლექსი, არასოდეს დამარცხებულა პოეზიასთან პირისპირ მდგარი. თავიდან იყო ყველაზე აღმატებული ვუნდერკინდი, ხოლო შემდეგ — ყველაზე აღმატებული ფენომენი (6 წიგნის ავტორი).

რატი იყო ნამდვილი თბილისელი. დაიბადა იგი 1977 წლის 27 თებერვალს; და თვითონვე შეწყვიტა საკუთარი სიცოცხლის სვლა 2000 წელს. თბილისში დაიბადა, ამავე ქალაქში დაუსვა წერტილი საკუთარ გზას. ის იყო სულით-ხორცამდე ქართველი, დიდოსტატი ქართული სიტყვისა.

გასაკვირია, რომ პოეტის სიცოცხლეში მისი პოპულარობა საშუალო დონეს თითქოს არ გასცდენია. მაგალითად, ლექსებს რომ წერდა, უნივერსიტეტში მხოლოდ მაშინ გახმიანდა, როცა იგი ჩემი მაშინდელი ჯგუფის (გაერთიანებას ჯერ „დემონი“ ერქვა, მაგრამ შემდეგ ამ სახელის სიმძიმეს ვერ გავუძელით და სახელწოდებად „მირაჟი“ ვამჯობინეთ) წევრი გახდა. ჯგუფის სხვა წევრთაგან განსხვავებით, იგი არ გამოირჩეოდა ხმაურიანი, იაფფასიანი სკანდალებით, ამიტომ გაერთიანების ბირთვს (მე, კახა ბაციკაძე, გიორგი ზურბაია და ჩემი ძმა — ვასო ლომაძე), სუფთა პოპულარობის თვალსაზრისით, ჩამოგვრჩებოდა. სამაგიეროდ, ის და გოგი არაბული ჩვენი ჯგუფის ყველაზე უფრო პოეტური წევრები იყვნენ, პრინციპულნი, კრისტალურნი, შეუპოვარნი... ყველაზე მყარი პიროვნებები.

ახლა კი ზუსტად არ მახსოვს, თუ რამდენ წევრს მოიცავდა ჯგუფი. ყველაზე მეტად გამოირჩეოდნენ ესენი: კახა და ზუხბა ერთი მხრივ, რატი და გოგი მეორე მხრივ. მე თითქოს ვაბალანსებდი ყველაფერს.

რატი იყო საშუალო სიმაღლის, შავგვრემანი, ჩაფსკვნილი, ძლიერი აგებულების. უყვარდა სპორტი. ერთხანს ვარჯიშობდა კიდეც. თითქმის ასეთივე იყო გოგაც, ოღონდაც უცნაურად მომწვანო ფერის მზერა ჰქონდა და მასზე შავგვრემანს ვერ იტყოდით.

სხვა მხრივ კი...

სხვა მხრივ, ესენი ჩვენზე უფრო დინჯები იყვნენ, უფრო სერიოზულნი, ასე ვთქვათ, უფრო დარბაისელნიც და უფრო „ნაღდებიც“, ნამდვილნიც; ესენი — რატი და გოგა... და პირველებმაც დატოვეს ცისქვეშეთი — ცაში ცხოვრება არჩიეს, ცისქვეშ ცხოვრებას...

მიუხედავად ყველაფრისა, არავის ეგონოს, რომ რატი მოკლებული იყო იუმორის გრძნობას ან თავგადასავალთა სიყვარულს. პირიქით, მას თავისებური, მახვილი იუმორი ჰქონდა და ენამოსწრებული იყო, როცა აენთებოდა ხოლმე. უყვარდა აგრეთვე, ხეტიალი თბილისსა და მის შემოგარენში. უყვარდა მთები და ზღვა (თუნდაც იგი თბილისის ზღვა ყოფილიყო); და ფილმები, — იგი თითქოს პირდაპირ ამ ფილმებში ცხოვრობდა, — სათავგადასავლო ფილმებში (განსაკუთრებით მოსწონდა სერიები კონან ბარბაროსის შესახებ)...

ოთხმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული, პოეტები და პოეტური ჯგუფები მოედო თბილისს. ომების, ამბოხებების, მიტინგების, შიმშილის ქვეყანა ხსნას ხელოვნებაში ხედავდა. ესღა იყო თავშესაფარი. აქ ისვენებდა რატიც, — პოეზია, მუსიკა, ფილოსოფია (ანუ — ნაზავი მეცნიერებისა და ხელოვნებისა, ანუ — ყველაზე პოეტური მეცნიერება)... აი, ამ სფეროში თუ პოულობდა შვებას.

და მართლაც გენიალური პოეტი იყო, მაგრამ ამას იშვიათად ამბობდა.

— მე არც გმირი ვარ, და არც ბერის მორალური კატეგორიის ადამიანი, — მითხრა ერთხელ, — მე ვარ ცოდვილი პოეტი და ვებრძვი საკუთარ თავს, საკუთარ ცოდვებსო. არკი ვიცი, რატომ მითხრა. ეგეც გმირობაა-მეთქი, ვუთხარი. გაეღიმა.

მერე ის გავახსენე წინა დღეებში რომ თქვა, — პოეტი კი არა, მთარგმნელი ვარო (რატიმ რამდენიმე უცხო ენა იცოდა. საერთოდ, ყოველმხრივ ძალიან განათლებული იყო). — ვიხუმრე! — მითხრა სწრაფად — ვიხუმრე!.. — და მერე უკვე ნელა დასძინა, — პოეზიის გარეშე, რა აზრი ექნებოდა სამყაროს? არაფერი!..

აი, ასეთი იყო რატი: მებრძოლი ხასიათისა, ვაჟკაცური, მაგრამ ზეცაში მცხოვრები, — სხვა სიმაღლეზე მცხოვრები, ალბათ, უკვე თავიდანვეც. და ეს უხდებოდა მას...

2004 წელს (პოეტის გარდაცვალების შემდეგ) რატის ოჯახმა, რამდენიმე სხვა ადამიანის დახმარებით, გამოსცა პოეტ რატი (ტატო) ნინუას ყველაზე უფრო გენიალური ნაშრომი — წიგნი „სინდბად მეზღვაური“. ახალ დროში, ახალ ეპოქაში, ახალ საუკუნეში ძნელად რომ რომელიმე ლირიკული წიგნი შეედაროს, ამ უკვე ლეგენდარულ ქმნილებას. მისი სათაური უცხოური მითოსიდან თუ ლიტერატურიდანაა ნასესხები, მაგრამ წიგნის ლირიკა, რატისეული ლირიკა, სუფთა ქართულია, თუმცაღა — მთელ დასავლურ-აღმოსავლურ კულტურას ნაზიარები. ეს პატარა წიგნი ვრცელ ტომებს გადაწონის. მის გვერდით, ახალი ეპოქის ლირიკულ ნაშრომთაგან, გოგა არაბულის — „მკვდართა დარდის მზებუდობას“ და ჩემი საუკეთესო შემოქმედებითი ჯგუფის „ზღვარის“ წიგნს — „ლურჯ ლირიკას“ დავაყენებდი. ეს სამი ქმნილება ყველაზე უფრო პოეტური ფერის — ლურჯი სამყაროს სივრცეში უნდა მოვიაზროთ. დიახ, პოეზიას აქვს თავისი ფერი, თავისი სამყარო.

თუკი „დარდის მზებუდობაში“ ლექსმა „სინათლის ფერფლმა“ ჩამაფიქრა ყველაზე მეტად („ჯვარ-ცანი, თვითონ, არ არის კაცში“...), რატის წიგნში, უფრო, „ნიცშეს მონოლოგმა“ და პოეტის უკანასკნელმა ლექსმა — „დასასრულმა“ ამაღელვა:

„ცა დასცქერის გმირი-ბავშვის ცხედარს,
ცა დღეს მის სულს აიტაცებს ნეტარს,
მიწა სამჯერ იუცხოვებს,
და მეოთხედ ძლივს იგუებს
მხოლოდ ტყვიით შეჩერებულ მხედარს“...

სათაური პირობითია: „დასასრულს“ მე ვუწოდებ ამ სულით ხორცამდე შემძვრელ ქმნილებას. „მხოლოდ ტყვიით შეჩერებულმა მხედარმა“ კი იგი უსათაუროდ დაგვიტოვა. ასევე დატოვა მან საკუთარი ცხოვრებაც, რომელსაც მე ამგვარად დავასათაურებდი — „პოეტი და უკვდავება“...

დღეს 27 თებერვალია, რატი 35 წლისაა, დაბადებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის — 25 წელი...

***სერგი ლომაძე***
***პოეტი. ჯგუფ „ზღვარის“ წევრი***
***თბილისი. 2013 წელი***

### რატი ნინუას ლექსებმა ცრემლი მომგვარა...



უზომოდ მტკივნეულია აზრი, რომ ამ საოცარი პოეზიის შემქმნელი საწუთროს ასე ადრე გაშორდა... საწუთროს — თორემ მარადისობაში მას ადგილი უკვე დამკვიდრებული აქვს — რატი ნინუას შემოქმედება დიდი ქართული პოეზიის ერთი მშვენიერი ფურცელია.

პროზაც ხელეწიფებოდა. რატის მინიატურები დამუხტულია დიდი ენერგიით. რატი მომავალში, უეჭველად, მნიშვნელოვან ტილოებს შექმნიდა — ის ლამაზი სული, უკიდეგანო ფანტაზია, ყოვლისმომცველი სიყვარული, ჭეშმარიტი ღვთისმოსაობა მას მშვენიერ წიგნებს დააწერინებდა. (როგორი მძაფრი და ზუსტია თუნდაც მისი — „განაჩენის გამოტანის შემდეგ“).

სხვა კაცი იყო. „საკუთარ ალში დაიფერფლა“ და ადრე წასულ გენიალურ ჭაბუკთა გუნდს შეუერთდა.

ვაგლახ, რომ დროის მსხვერპლია — ჩვენი აღრეული და მრისხანე დროისა — როცა ბრწყინვალე ახალგაზრდები ან მტრის, ან საკუთარი ტყვიის წერანი ხდებიან.

მაღალმა ღმერთმა დაუმკვიდროს საუკუნო სასუფეველი.

***ჭაბუა ამირეჯიბი***
***მარტი. 2005 წელი***




## ვერსიანიუსი

### სერგეი ლავროვი: „2008 წელს მიხეილ სააკაშვილთან შეთანხმების შესაძლებლობა არსებობდა“



რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის განცხადებით, "2008 წელს მიხეილ სააკაშვილთან შეთანხმების შესაძლებლობა არსებობდა". როგორც ლავროვმა დიპლომატიურ აკადემიაში სტუმრობისას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შესახებ კითხვის საპასუხოდ განაცხადა, **„ომამდე საქართველოსთან შეთანხმების შესაძლებლობა არსებობდა, თუმცა ის სააკაშვილის მიერ იქნა ტორპედირებული, ამიტომ რუსეთისთვის 2008 წელს სხვა არჩევანი არ არსებობდა“.**

**„თუ სააკაშვილს 2008 წელს სამხრეთ ოსეთში ყველაფერი გამოუვიდოდა, შემდეგ რიგში აფხაზეთი იქნებოდა. შესაბამისი გეგმა საქართველოს ხელისუფლებას ჰქონდა“,** — განაცხადა ლავროვმა.

*„პირველი“*



# ჰოროსკოპი

## 27 თებერვალი

***ვერძი*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის დღეს ყველაფერი სასიკეთოდ აეწყობა, მთავარია, ძალები სწორად გადაანაწილოთ. საღამოს ეცადეთ, საფუძვლიანად დაისვენოთ.

***კურო*** — დღეს მიღებული გადაწყვეტილებით ცხოვრებას გაირთულებთ. იმის გააზრება, რომ რაღაც უნდა დათმოთ, დამღუპველად მოქმედებს თქვენზე. ყოველთვის ცდილობთ, დაეხმაროთ ახლობლებს, მაგრამ როცა თავად გჭირდებათ დახმარება, ამ დროს ახლოს არავის იკარებთ.

***ტყუპები*** — დღეს მოგეთხოვებათ კონკრეტული საქციელი და არა ცრუილი საუბარი. გეძლევათ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების შანსი, მით უმეტეს, თუ საქმე უცხოელ პარტნიორებთან გაქვთ.

***კირჩხიბი*** — დღეს უმჯობესია, ფინანსურ ოპერაციებს თავი აარიდოთ. მეტი დრო დაუთმეთ რომანტიკულ თავგადასავლებს. საკუთარი თავი გაანებივრეთ და საჩუქარი მიუძღვენით, რადგან დღე საუკეთესოა ახალი ნივთის შესაძენად.

***ლომი*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის შესანიშნავი დღეა. სამსახურში წარმატებას მიაღწევთ. ახლა, საერთოდ, წინსვლისა და წარმატების პერიოდი გიდგათ, რითიც მაქსიმალურად უნდა ისარგებლოთ. თავისუფალი დრო კი, შეეცადეთ, ოჯახის წევრებს დაუთმოთ, მათ თქვენი ყურადღება ძალიან სჭირდებათ.

***ქალწული*** — დღეს, შესაძლოა, დაგიბრუნონ ვალი, რომელსაც უკვე აღარც ელოდით ან დიდი ხნის დაკარგული ნივთი იპოვოთ. დღის ბოლოს კი უფრო მეტი შანსია შეცდომების დაშვებისა, იმატებს სტრესული მდგომარეობაც.

***სასწორი*** — დღეს დროსა და ენერგიას ფუჭად ნუ გაფლანგავთ. თქვენს ცხოვრებაში „სტატიკური პერიოდი“ დადგა. თქვენს ნიჭს წვრილმანებს ნუ შეალევთ, თავის წარმოჩენისთვის დღეს ბევრად ხელსაყრელი პირობები შეგექმნებათ.

***მორიელი*** — დღის დასაწყისში თავს დათრგუნვილად იგრძნობთ, მაგრამ იცოდეთ — აქტიური მოქმედების დრო დადგა. თქვენი ინიციატივები მხარდაჭერას მოიპოვებს კოლეგებისა და ხელმძღვანელობის მხრიდან, თუმცა ნუ იქნებით ეგოისტი, ეცადეთ, უფრო მეტი სინაზე გამოავლინოთ.

***მშვილდოსანი*** — დღეს ყველაზე ნაკლებად ხართ განწყობილი მუშაობისთვის. იმდენად დიდია დასვენების სურვილი, რომ სამსახურის გახსენებაც კი გზარავთ, მაგრამ ფრთხილად იყავით, ამ სიზარმაცით სამომავლოდ საქმე არ გაიფუჭოთ. მიუხედავად ამისა, დღეს მაინც ბევრ სასიკეთო საქმეს გააკეთებთ.

***თხის რქა*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებს ვარსკვლავები დღეს სულიერი სიმშვიდის მიღწევას ჰპირდებიან. პლანეტების მოქმედება ნეიტრალურია — შეგიძლიათ, მიხედოთ საკუთარ ჯანმრთელობასა და საშინაო საქმეებს.

***მერწყული*** — ნუ ინერვიულებთ, ყველაფერი ბრწყინვალედ იქნება, მხოლოდ კარგი განწყობა შეინარჩუნეთ და სიმხნევით შეუდექით დაგროვილი საქმეების მოწესრიგებას.

***თევზები*** — დღეს შესანიშნავი პირობები შეგექმნებათ მატერიალური ბაზის შექმნისა და გამყარებისთვის. ფულის ხარჯვასთან დაკავშირებით გარკვეული თავშეკავება გამოიჩინეთ, თანმიმდევრული იყავით და ყველაფერი კარგად იქნება.



# უფასო პიცა სტერილიზაციის სანაცვლოდ

აშშ-ს მასაჩუსეტსის შტატის უროლოგებმა ახალი მეთოდი მოიფიქრეს მამაკაცების სტერილიზაციის — ვაზექტომიის პოპულარიზაციისთვის: ნებისმიერი პაციენტი, რომელიც ამ ოპერაციის გაკეთებას გადაწყვეტს, საჩუქრად პიცას მიიღებს. კეიპ-კოდის უროლოგთა ასოციაციაში მიიჩნევენ, რომ ეს უსაფრთხო და ადვილი გზაა პროცედურის პოპულარიზაციისა და ბიზნესის გაუმჯობესებისთვისაც. მართლაც, „აქციის“ მოქმედების პირველი თვის განმავლობაში პაციენტების რაოდენობა სამჯერ გაიზარდა. დოქტორი ევანგელოს გერანიოტისი, რომელიც შტატის სხვადასხვა ქალაქებში ეწევა სამედიცინო პრაქტიკას, ვაზექტომიას შობადობის კონტროლის ყველაზე მარტივ და უსაფრთხო საშუალებად მიიჩნევს.

# მანქანა ყავაზე დადის



ავტომობილმა, რომელიც ყავის მარცვლების გამოყენებით მოძრაობს, ცოტა ხნის წინ მის მფლობელს სიხარული მოუტანა — თავის კლასში საათში 105 კილომეტრის სიჩქარით მოძრაობდა და რეკორდი დაამყარა. 42 წლის ბრიტანელმა მარტინ ბეიკონმა 1989 წელს გამოშვებული „ფორდის“ მარკის პიკაპი უჩვეულო აგრეგატით აღჭურვა, რომლის შიგნითაც დაპრესილი ყავის ნალექი შეშის ნახშირით გახურებულ ღუმელში იწვის და წყალბადად და ნახშირჟანგად იშლება. შემდგომ გაზი ცივდება და ძრავას გადაეცემა, რომელიც მანქანას ამუშავებს. ბრიტანელის განცხადებით, ნებისმიერი ავტომობილი შეიძლება აღიჭურვოს ასეთი გაზის სისტემით, რაც საკმაოდ გაახანგრძლივებს მანქანის ძრავის „სიცოცხლეს“ და გარემოსაც დაიცავს ბენზინის გამონაბოლქვის ნეგატიური გავლენისგან.


## შენდემა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატოპედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**






**ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.**

**რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.**

**ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ**

**Appraisal.llc**

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com



ხის სახლი

ბერძნული ცეკვა

ქვეყანა აზიაში

ყურძნის ჯიში

მარეული ფრინველი

ჯუჯა ცხენი

ცხენის „სამკაული"

კაზინოს მუშაკი

ჩლუნგი უვიცი ბრიყვი

იშვიათი ნივთი

დანიელიას ფილმი

სოლოს მოცეკვავე

მუსიკ. ინსტრუმენტი

მერმანული რაკეტა

ფოტო სურათი

სუბტროპიკული კულტურა

ტოიოტას მარკა

ზოდი აქოს ნიშანი

მდინარე რუსეთში

ოქროს ქლიავი

ჟორჟ სიმენონის კომისარი

სესხი ანუ..

ქსოვილი

ვიწრო მზა მთებში

ამერიკელი მწერალი

მეცნიერება მორალზე

მინა ანუ..

მანქანის მარკა

თბილისის უბანი

ქიმიური ელემენტი



# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები





ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 4 | 3 | 2 | 1 | 7 | 5 | 6 | 9 |
| 6 | 7 | 2 | 5 | 9 | 4 | 8 | 3 | 1 |
| 5 | 9 | 1 | 6 | 3 | 8 | 4 | 2 | 7 |
| 1 | 3 | 6 | 4 | 2 | 9 | 7 | 8 | 5 |
| 7 | 2 | 5 | 1 | 8 | 3 | 9 | 4 | 6 |
| 9 | 8 | 4 | 7 | 6 | 5 | 3 | 1 | 2 |
| 4 | 1 | 7 | 3 | 5 | 6 | 2 | 9 | 8 |
| 3 | 6 | 9 | 8 | 7 | 2 | 1 | 5 | 4 |
| 2 | 5 | 8 | 9 | 4 | 1 | 6 | 7 | 3 |

რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 9 | 7 | 8 | 6 | 1 | 2 | 3 | 5 |
| 6 | 3 | 5 | 2 | 9 | 7 | 4 | 8 | 1 |
| 2 | 1 | 8 | 5 | 4 | 3 | 6 | 7 | 9 |
| 3 | 8 | 1 | 4 | 5 | 9 | 7 | 6 | 2 |
| 7 | 6 | 9 | 1 | 3 | 2 | 5 | 4 | 8 |
| 5 | 4 | 2 | 7 | 8 | 6 | 1 | 9 | 3 |
| 8 | 2 | 6 | 3 | 7 | 5 | 9 | 1 | 4 |
| 1 | 7 | 4 | 9 | 2 | 8 | 3 | 5 | 6 |
| 9 | 5 | 3 | 6 | 1 | 4 | 8 | 2 | 7 |

სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 4 | 3 | 7 | 2 | 9 | 6 | 5 | 8 |
| 2 | 9 | 5 | 6 | 8 | 1 | 4 | 3 | 7 |
| 8 | 7 | 6 | 5 | 4 | 3 | 1 | 2 | 9 |
| 6 | 8 | 7 | 1 | 9 | 5 | 3 | 4 | 2 |
| 5 | 3 | 2 | 4 | 7 | 8 | 9 | 1 | 6 |
| 9 | 1 | 4 | 3 | 6 | 2 | 8 | 7 | 5 |
| 4 | 6 | 1 | 9 | 5 | 7 | 2 | 8 | 3 |
| 7 | 2 | 9 | 8 | 3 | 4 | 5 | 6 | 1 |
| 3 | 5 | 8 | 2 | 1 | 6 | 7 | 9 | 4 |

ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 9 | 5 | 4 | 3 | 2 | 6 | 1 | 8 |
| 4 | 3 | 8 | 1 | 6 | 7 | 2 | 5 | 9 |
| 2 | 1 | 6 | 5 | 9 | 8 | 7 | 4 | 3 |
| 3 | 7 | 2 | 6 | 5 | 1 | 9 | 8 | 4 |
| 9 | 8 | 4 | 7 | 2 | 3 | 1 | 6 | 5 |
| 5 | 6 | 1 | 9 | 8 | 4 | 3 | 7 | 2 |
| 1 | 5 | 7 | 3 | 4 | 9 | 8 | 2 | 6 |
| 8 | 4 | 9 | 2 | 7 | 6 | 5 | 3 | 1 |
| 6 | 2 | 3 | 8 | 1 | 5 | 4 | 9 | 7 |



# ჰოროსკოპი
## 28 თებერვალი

***ვერძი*** — დღე უამრავ ახალ შესაძლებლობას გპირდებათ. საბედნიეროდ, საკმაოდ ენერგიული და გაბედული ხართ, ამით რომ ისარგებლოთ. შესაძლოა, თავი ძველმა ნაცნობებმა შეგახსენონ ან საქმიანი ურთიერთობა აღადგინოთ დიდი ხნის პარტნიორებთან. დღე კარგია ნებისმიერი საქმიანობისთვის, რაც თქვენს შემოქმედებით პოტენციალს წარმოაჩენს.

***კურო*** — დღე საკმაოდ წარმატებულია, განსაკუთრებით პირად ცხოვრებაში. კარგი ურთიერთობა გაქვთ გარშემომყოფებთან, აგვარებთ ბევრ პრობლემას, არ არის გამორიცხული ახალი რომანის დაწყებაც, რაც კარდინალურად შეცვლის თქვენს ცხოვრებას. შესაფერისი დღეა გრძნობების გამოსამჟღავნებლადაც. შესაძლოა, ცოტა დაეცეს საქმიანი აქტიურობა, რადგან სამუშაო მოსაწყენია, მაგრამ საკმაო პასუხისმგებლობის გრძნობაც გაქვთ, საქმე რომ არ მიატოვოთ.

***ტყუპები*** — დღე თავიდან თითქოს წარუმატებლად მოგეჩვენებათ, მაგრამ ნელ-ნელა სიტუაცია იცვლება და საღამოსკენ უკვე ცხადი გახდება, რომ ფორტუნამ არ მიგატოვათ. მიმდინარე პრობლემების გადასაჭრელად შეგიძლიათ დახმარებისთვის უფროსი ასაკის ადამიანებს მიმართოთ. მშობლები და სხვა ნათესავები ჩვეულებრივზე მეტად ერევიან თქვენს საქმეში. კარგი დღეა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად, საცხოვრებელი ადგილის გამოცვლისთვის. შეგიძლიათ, სამსახურიც შეიცვალოთ, მაგრამ ამისთვის ახალ სფეროს ნუ აირჩევთ.

***კირჩხიბი*** — დღე პროფესიულ გამარჯვებებს გპირდებათ, გაქვთ შანსი, კარიერულ კიბეზე მაღლა ახვიდეთ, მით უმეტეს, ლიდერის თვისებები აშკარაა. კარგი დღეა საკუთარ ბიზნეს-პროექტებზე სამუშაოდ. სასურველია, თუ მაღალი საზოგადოების წვეულებას დაესწრებით — ბევრ ადამიანთან ურთიერთობა, ახალი ნაცნობობა ძალიან გაგახარებთ.

***ლომი*** — დღეს თქვენ შესაშურ გამბედაობას ავლენთ. მისი წყალობით მოაგვარებთ საქმეებს, რასაც თქვენი კოლეგები ვერ ახერხებენ. კარგი დღეა ახალი იდეების რეალიზაციისთვის, სასარგებლოა ურთიერთობა გავლენიან ადამიანებთან, არის შანსი, ძლიერი მფარველი გაიჩინოთ.

***ქალწული*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის კარგი დღეა ოჯახური საქმეებისაა და პრობლემების მოსაგვარებლად. სიამოვნებით დაკავდებით სახლის მოწყობით — ავეჯის, საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და ინტერიერის საგნების შეძენით. კარგი დღეა სტუმრების მისაღებადაც. მზად ხართ, დაეხმაროთ მათ, ვინც რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა. სასიცოცხლო პოტენციალი საკმაოდ მაღალია, შეგიძლიათ, საღამოს კარგად გაერთოთ, დაღლილობას ნამდვილად ვერ იგრძნობთ.

***სასწორი*** — რთული დღეა. შესაძლოა, ფინანსური პრობლემები გაჩნდეს, მოგიწევთ ხარჯების შემცირება, თუმცა, მალე სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვლება. ამ დღეს დადებული გარიგებები შემოსავალს მოგიტანთ. კარგი დღეა ოჯახური საქმეებისთვის. შესაძლოა, ახალი რომანტიკული ურთიერთობის წამოწყებაც.

***მორიელი*** — დღეს რთული საქმეებით დაკავება მოგიწევთ, რასაც ბოლომდე მიიყვანთ, მაგრამ ამისთვის დიდი ძალისხმევის გაღება მოგიწევთ. სიხარულს ვერც კი იგრძნობთ, ისე დაიქანცებით. დღის მეორე ნახევარი სასურველია, მშვიდ ვითარებაში დასვენებას დაუთმოთ. ორიგინალური იდეებიც გაგიტაცებთ და, შესაძლოა, ამან ყოველდღიური მოვალეობები დაგავიწყოთ.

***მშვილდოსანი*** — დღეს გაცილებით სერიოზულად ხართ განწყობილი, ყველა საქმეს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებით. კარგად ჩაივლის მოლაპარაკებები. დღეს იზრდება თქვენი ინტერესი ფილოსოფიისა და რელიგიის მიმართ. ადვილად იჩენთ ახალ ნაცნობებს. შესაძლოა მცირე ფინანსური დანაკარგი ან წარუმატებელი შენაძენი.

***თხის რქა*** — შესაფერისი დღეა სერიოზული და საპასუხისმგებლო საქმისთვის, რაც თვითდისციპლინას მოითხოვს. საკმარისი უნარი და ცოდნა გაქვთ, რომ დასახული ამოცანა გადაჭრათ. ამ ნიშნის წარმომადგენლები დღეს ცდილობენ ხარჯების შემცირებას, უარს ამბობენ დაგეგმილ საყიდლებზე, თუმცა ამის აუცილებლობა არ არის.

***მერწყული*** — მერწყულებს კარგი დღე აქვთ ფინანსური საკითხების გადასაჭრელად. ფულს სწორად და აზრიანად ხარჯავთ, არაა გამორიცხული, ძვირფასი საჩუქარი მიიღოთ. გარშემომყოფებთან ურთიერთობისას ნუ გამოავლენთ ჩვეულ სიხისტეს, რამაც შესაძლოა, პატარა კონფლიქტიც კი გამოიწვიოს. სურვილი გაგიჩნდებათ, პირად ცხოვრებაში რაღაც შეცვალოთ. ახლობლები მზად არიან, ყველა წამოწყებაში მხარი დაგიჭირონ.

***თევზები*** — კარგი დღეა ცვლილებებისთვის როგორც პირად, ასევე საქმიან სფეროში. ნუ შეგეშინდებათ სიახლის შეტანისა. ვარსკვლავები მზად არიან, სასიამოვნო სიურპრიზებით გაგაოცონ. დღეს ძალიან მნიშვნელოვანია ინტუიცია. გარშემომყოფები ხშირად რჩევისთვის გაკითხავენ. დღეს შეგიძლიათ რამე უჩვეულო, ორიგინალური ნივთი შეიძინოთ ან უკვე არსებული გადააკეთოთ, განაახლოთ.

# ამერიკელებს მესიჯებისთვის დააჯარიმებენ



აშშ-ს ქალაქ ფორტ-ლის პოლიციის დეპარტამენტმა იმ ქვეით მოსიარულეთა წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო, რომლებიც ქალაქის ქუჩებში გადაადგილებისას მოკლე ტექსტური შეტყობინების წერით არიან გართულნი. ყოველ ფეხით მოსიარულეს, რომელსაც მესიჯის წერისას „გამოიჭერენ“, 85 დოლარით დააჯარიმებენ. ადგილობრივი ხელისუფლების მტკიცებით, ეს ღონისძიება უსაფრთხოების მიზნით არის ნაკარნახევი. წლის დასაწყისიდან ქალაქში 20 უბედური შემთხვევა მოხდა, რომლის დროსაც ადამიანები დაზიანდნენ. ფორტ-ლის ადმინისტრაცია დარწმუნებულია, რომ ამაში დამნაშავე არა მხოლოდ მძღოლები, არამედ დიდწილად, უყურადღებო ფეხით მოსიარულენი იყვნენ, რომლებიც მობილური ტელეფონით იყვნენ დაკავებულნი და გზას ყურადღებას არ აქცევდნენ. ჯარიმის გადახდა მხოლოდ იმათ მოუწევთ, ვინც მანქანის სავალ ნაწილზე გადასვლისას, ტელეფონით ლაპარაკობს ან მესიჯს წერს. წესრიგის დამცველებმა უკვე 117 ასეთი კანონდამრღვევი დააჯარიმეს.

# ოსკაროსანი რეკორდსმენები

ლოს-ანჯელესში ორიოდე დღის წინ დასრულდა „ოსკარის“ გადაცემის ცერემონიალი და გამარჯვებულებიც გამოვლინდნენ. პრემიის არსებობის 85-წლიანი ისტორიის მანძილზე, ის ასობით მსახიობს გადაეცა და ათობით კინოლენტა მსოფლიო კინემატოგრაფიის ისტორიაში შევიდა. მოდით, მათგან ყველაზე გამორჩეულები გავიხსენოთ, ვინც მრავალჯერ წარადგინეს ამ პრესტიჟულ ჯილდოზე და მისი მფლობელები გახდნენ.



სახელგანთქმული მერილ სტრიპი ის მსახიობია, რომელიც ყველაზე მეტჯერ — 17-ჯერ იყო ნომინირებული „ოსკარზე“. მას მოჰყვებიან ქეტრინ ჰეპბერნი და ჯეკ ნიკოლსონი 12 ნომინაციით. ამასთან, ჰეპბერნმა ყველაზე მეტჯერ მოიპოვა ჯილდო ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის — ის 4 „ოსკარის“ მფლობელია. მსახიობები სპენსერ ტრეისი, ფრედერიკ მარჩი, ჰარი კუპერი, მარლონ ბრანდო, დასტინ ჰოფმანი, ტომ ჰენქსი, ჯეკ ნიკოლსონი, შონ პენი — 2-2 „ოსკარის“ მფლობელები არიან მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის. რეკორდსმენი კი წელს დენიელ დეი ლუისი გახდა, რომელიც ამ ჯილდოს მისაღებად სცენაზე უკვე მესამედ ავიდა. 1989 წელს ფილმისთვის „ჩემი მარცხენა ფეხი“ და 2007 წელს ფილმით „ნავთობი“ მან უკვე მოიპოვა „ოსკარი“, წელს კი კვლავ ერგო ეს ბედნიერება ფილმისთვის „ლონკოლნი“, სადაც მან პრეზიდენტის როლი შეასრულა.



ჯეიმს კემერონის ფილმი „ტიტანიკი“ პირველი სურათი გახდა, რომელმაც ყველა რეკორდი მოხსნა — 14 ნომინაციიდან მან 11 „ოსკარი“ მიიღო. ამდენივე ქანდაკება დაიმსახურა „ბენ-გურმა“ და „ბეჭდების მბრძანებელის“ მესამე ფილმმა. ამ პრესტიჟული ჯილდოს მფლობელი 10-ჯერ გახდა „ვესტსაიდური ისტორია“. ენტონი მინგელას „ინგლისელი პაციენტი“ და ბერნარდო ბერტოლუჩის „უკანასკნელი იმპერატორი“ ამერიკული კინოაკადემიის 9 მთავარი პრემიის მფლობელები გახდნენ, კლასიკად ქცეული „ქარწაღებულნი“ და ინდური „მილიონერი ღარიბთა უბნიდან“ 8-8 „ოსკარით“ დაჯილდოვდნენ. 7-7 სასურველი ქანდაკება ერგოთ „შეყვარებულ შექსპირსა“ და „შინდლერის სიას“.

რაც შეეხება ასაკობრივ რეკორდებს — „ოსკარის“ ყველაზე ახალგაზრდა მფლობელი ტატუმ ო’ნილია. 1973 წელს მან „ქაღალდის მთვარეში“ შესრულებული როლისთვის დაიმსახურა ჯილდო. ყველაზე ხანშიშესული ოსკაროსანი კრისტოფერ პლამერია. ის 82 წლის იყო, როცა გასულ წელს მამაკაცის მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შემსრულებლად დაასახელეს ფილმში „დამწყებები“. ყველაზე მოხუცი ოსკაროსანი ქალბატონი კი ჯესიკა ტენდია — 1990 წელს ის საუკეთესო მსახიობი ქალი გახდა და სასურველი ქანდაკება დაიმსახურა ფილმისთვის „მის დეიზის მძღოლი“. ჯესიკა მაშინ უკვე 81 წლის იყო. დაჯილდოების ცერემონიის ფარგლებში საპატიო „ოსკარებიც“ გაიცემა — კინოხელოვნებაში შეტანილი წვლილისა და კინოაკადემიის წინაშე დამსახურებებისთვის. ოსკარის ისტორიაში ერთადერთხელ, 1934 წელს გაიცა საპატიო საბავშვო „ოსკარიც“ — მისი მფლობელი 6 წლის შირლი ტემპლი გახდა სანტამონიკადან. ყველაზე ხანდაზმული საპატიო ოსკაროსანი ილაი უოლაკია. 94 წლის ასაკში, 2010 წელს მას ჯილდო კინოკარიერაში მიღწეული წარმატებებისთვის გადასცეს. ყველაზე ახალგაზრდა მსახიობი კი, რომელიც საპატიო „ოსკარით“ დაჯილდოვდა კინემატოგრაფში შეტანილი წვლილისთვის, ტომ ჰენქსია. მან ეს ჯილდო 2012 წელს, 45 წლისამ მიიღო.





# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | | 2 | | | | | | |
| 9 | 7 | | | | 5 | 8 | | |
| | | | | 9 | | | 6 | 5 |
| | | 5 | 8 | | 1 | | 3 | 4 |
| | | | | | | | | |
| 6 | 3 | | 4 | | 7 | 5 | | |
| 5 | 6 | | | 1 | | | | |
| | | 8 | 5 | | | | 2 | 1 |
| | | | | | | 9 | | 3 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | 6 | | | | | | 2 |
| 4 | | | 6 | | | 1 | | |
| 7 | | | 1 | | 8 | | 5 | |
| | | 7 | | | 9 | | | |
| 8 | | | 7 | 2 | 5 | | | 1 |
| | | | 3 | | | 2 | | |
| | 9 | | 8 | | 1 | | | 3 |
| | | 4 | | | 3 | | | 9 |
| 3 | | | | | | 7 | | 5 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 5 | | | 1 | 7 | 8 |
| 4 | | | | | | | | |
| | 7 | | | | | | 3 | 2 |
| | | 1 | | | 4 | | | |
| | | 9 | 2 | 1 | 8 | 7 | | |
| | | | 6 | | | 8 | | |
| 9 | 1 | | | | | | 5 | |
| | | | | | | | | 9 |
| 5 | 2 | 8 | | | 3 | | | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | | 7 | 3 | | | | | 9 |
| 4 | 6 | | | | | | | 3 |
| | 9 | | | 1 | 8 | | | |
| | 5 | 6 | 2 | | | | | |
| | | | | 9 | | | | |
| | | | | | 1 | 3 | 7 | |
| | | | 5 | 3 | | | 4 | |
| 6 | | | | | | | 3 | 1 |
| 5 | | | | | | 4 | 2 | 6 |

## იდეალური სხვაობა წყვილის სიმაღლეში



მეცნიერებმა ქალისა და მამაკაცის სიმაღლეში იდეალური სხვაობა აღმოაჩინეს. ჰოლანდიელმა მეცნიერებმა გრონენგემის უნივერსიტეტიდან ეს მაჩვენებელი გამოკითხვის შედეგად დაადგინეს. მათი რესპოდენტების უმეტესობის აზრით, მამაკაცი აუცილებლად მაღალი უნდა იყოს სუსტი სქესის წარმომადგენელზე, რადგან ქალები ასე თავს დაცულად გრძნობენ. საშუალოდ, მშვენიერ სქესს სურს, რომ მათი პარტნიორი მათზე 20 სანტიმეტრით მაღალი იყოს. თავის მხრივ, მამაკაცებს პარტნიორად მათზე 7,5სმ-ით დაბალი მანდილოსანი სურთ. ჰოლანდიელი სწავლულების გამოკითხვაში მონაწილეობა 50 ათასმა ადამიანმა მიიღო. საბოლოო შედეგებით აღმოჩნდა, რომ მამაკაცის იდეალური სიმაღლე 190 სანტიმეტრია, ქალის კი — 174 სანტიმეტრი. ანუ წყვილის სიმაღლეში იდეალური სხვაობა 16 სანტიმეტრს შეადგენს.



## დეპარდიე სარანსკში სახლდება

საფრანგეთიდან მაღალ გადასახადებს გამოქცეული პოპულარული მსახიობი ჟერარ დეპარდიე, რომელიც რუსეთის მოქალაქე გახდა, პროვინციულ ქალაქში, მორდვეთის ცენტრ სარანსკში დასახლდება. 64 წლის მსახიობი იქ ცოტა ხნის წინ ჩავიდა, ახალ პასპორტში მისთვის რეზიდენტობის ბეჭედი რომ ჩაერტყათ. ჩემთვის რეგისტრაცია ფორმალობა არ არის, ხშირად ვაპირებ აქ ჩამოსვლას და რესტორნის გახსნაც მინდა, — განაცხადა დეპარდიემ ჟურნალისტებთან. სარანსკი მოსკოვიდან 620 კილომეტრში, მდინარე ვოლგაზე მდებარეობს. ერთი თვის წინ, მსახიობს რეგიონის კულტურის მინისტრობაც შესთავაზეს, მაგრამ მან უარი განაცხადა. ორიოდე დღის წინ კი, ცნობილი მსახიობი ჩეჩნეთის რესპუბლიკას სტუმრობდა, სადაც პრეზიდენტმა რამზან კადიროვმა მას გულუხვი დახვედრა მოუწყო. დეპარდიე ჩეჩნეთის საპატიო მოქალაქე და გროზნოში 5-ოთახიანი ბინის მფლობელი გახდა. შესაბამისი საბუთები კადიროვმა მას თავად გადასცა.

## წითელი ღვინო სმენას იცავს



წითელი ღვინის რეგულარული მოხმარება სმენის ფუნქციის დაკარგვისგან იცავს ადამიანს, — ასეთი დასკვნები გააკეთეს ამერიკელმა მედიკოსებმა ჰენრი ფორდის ჰოსპიტლიდან. დეტროიტელმა მკვლევარებმა ცდები ლაბორატორიულ თაგვებზე ჩაატარეს. მათ გამაყრუებელ ხმაურში ამყოფებდნენ და ცხოველების ნაწილს რესვერატროლს აძლევდნენ — ქიმიურ ნაერთს, რომლითაც მდიდარია წითელი ღვინო. შედეგად, მღრღნელების იმ ჯგუფში, რომელიც ამ ნივთიერებას იღებდა, სმენის დაკარგვა გაცილებით ნაკლებად აღინიშნებოდა. სტატისტიკის მიხედვით, ადამიანების ნახევარს სმენის დაქვეითება 60 წლიდან აღენიშნება. ზოგი კი ამ პრობლემას გაცილებით ადრე, 40-50 წლის ასაკში აწყდება.

## ღვინოს წყალქვეშ აძველებენ

კალიფორნიელი მეღვინეები ქალაქ ნაპადან, რომელიც ღვინის წარმოების ცენტრად ითვლება, სასმელის დაძველების უძველეს ტექნოლოგიას აღორძინებენ, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში გამოიყენებოდა. როგორც ასწლეულების წინ, ახლაც მეღვინე-ოსტატები, ღვინის ბოთლებს წყალქვეშ ჩაძირავენ, რითიც დაძველების პროცესს უფრო აჩქარებენ. ნაპას მეღვინეები საამისოდ ქალაქ ჩარსლტონის ყურეს იყენებენ, რომელიც ატლანტის ოკეანის სანაპიროზე მდებარეობს. აქ, ოკეანის ფსკერზე ღვინის ბოთლებს სამ თვეს გააჩერებენ. მეღვინეები აპირებენ, ალკოჰოლური სასმელის დაძველების პროცესი სოციალური ქსელებით გააშუქონ და ღვინის მწარმოებლებს გააცნონ.



## ბიუსტი საკუთარი სისხლით დაამზადა



ასეთი არასტანდარტული სახით ინდოელმა სკულპტორმა ჰუსაინიმ ხელისუფლების მიმართ მადლიერების გამოხატვა გადაწყვიტა. მინისტრის, თამილ ნადუს 65 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მან მისი ბიუსტი შექმნა, რომლისთვისაც საკუთარი 11 ლიტრი გაყინული სისხლი გამოიყენა. მომავალი შედევრისთვის მოქანდაკე მასალას რვა წლის განმავლობაში აგროვებდა. მისთვის საჭირო ფორმის მისაცემად კი მხოლოდ ერთი დღე დასჭირდა: გაყინული მასა სილიკონის ფორმაში ჩაასხეს და კიდევ გაყინეს. შემდეგ კი სილიკონი მოაშორეს და მინისტრის თავიც მზად იყო. სავარაუდოდ, ნადუს „სისხლიან“ ბიუსტს, სპეციალური ტრანსპორტით, დელიში გადაიტანენ და ხელოვნების ნაციონალურ აკადემიაში გამოფენენ.

## რძის პროდუქტები ინტელექტს ზრდის



ამერიკელმა და ავსტრალიელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ რძის პროდუქტები ადამიანის ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას უწყობს ხელს. მათ მიერ ჩატარებული გამოკვლევა ამტკიცებს, რომ ვინც რეგულარულად მოიხმარს რძეს, იოგურტს, ყველს, მას მაღალი ინტელექტი აქვს. როგორც სპეციალისტები აცხადებენ, ექსპერიმენტისას ვერ დადგინდა, არის თუ არა კავშირი პროდუქტებში ცხიმების რაოდენობასა და ინტელექტის მაღალ დონეს შორის, თუმცა ადრე ჩატარებული კვლევები მოწმობს, რომ მოწიფულ ასაკში მყოფი ადამიანები, რომელთა სისხლი სასარგებლო ცხიმების საკმაო რაოდენობას შეიცავდა, ნაკლებად არიან მიდრეკილები კოგნიტიური ფუნქციების აშლილობის განვითარებისკენ.

# შინაგან საქმეთა მინისტრმა იუნკერების ხსოვნას პატივი მიაგო



25 თებერვალს, პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და მთავრობის წევრები, პარლამენტის ხარების სახელობის სამლოცველოში იუნკერთა სულის მოსახსენიებელ პარაკლისს დაესწრნენ. პარაკლისის შემდეგ, ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაღუპული გმირების ხსოვნას პატივი მიაგეს და იუნკერთა საფლავი გვირგვინით შეამკეს.

25 თებერვალსვე, შსს-ს პოლიციის აკადემიაში გაიხსნა შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული უნიკალური ფოტოდოკუმენტური მასალების გამოფენა, რომელიც იუნკერთა ხსოვნას მიეძღვნა და რომელსაც შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, შსს-ს არქივის დირექტორი ომარ თუშურაშვილი, პოლიციის აკადემიის რექტორი ნუკრი გელაშვილი, აკადემიის მსმენელები და იუნკერების შთამომავლები დაესწრნენ.

მინისტრმა და სტუმრებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული უნიკალური ფოტოდოკუმენტური მასალები დაათვალიერეს, რომლებიც 1921 წელს საქართველოში განვითარებულ მოვლენებს ასახავს.

ასევე ნაჩვენები იყო შსს-ს არქივის დოკუმენტებზე დაყრდნობით მომზადებული დოკუმენტური ფილმი „1921“, რომელშიც XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველო და გასაბჭოების პერიოდია ასახული. ფილმში ასევე წარმოდგენილი იყო იუნკერების თავდადებული ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის.

ფილმის ჩვენების შემდეგ, ირაკლი ღარიბაშვილმა იუნკერების შთამომავლებს სამახსოვროდ ფილმის ჩანაწერები და შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის მიერ გამოცემული კალენდარი გადასცა.

*„ვერსიანიუსი“*





## ამინდის პროგნოზი

| | ორშაბათი | სამშაბათი |
|---|---|---|
| თბილისი | +12 | +13 |
| ქუთაისი | +21 | +17 |
| ბათუმი | +20 | +14 |
| სოხუმი | +18 | +14 |
| თელავი | +12 | +13 |
| გუდაური | +1 | +1 |
| ბაკურიანი | +6 | +4 |
| მესტია | +9 | +8 |

## მიხეილ სააკაშვილმა ვლადიმერ პუტინთან ერთ-ერთი ბოლო შეხვედრა გაიხსენა



**„ხშირად ამბობენ, რომ თუ რუსეთი უკან მოგვცემს ცხინვალსა და აფხაზეთს, იქნებ უარი თქვათ ევროპასა და ნატოზეო. მაჩვენეთ, ერთი შემთხვევა ჩვენს ისტორიაში, რომ რუსეთმა რამე მოგვცა ან რუსეთის ისტორიაში, როცა მან თავისი ნებით ვინმეს რამე მისცა. მე ეს კითხვა — ხომ არ მოგვცემთ ჩვენს ტერიტორიებს ამის სანაცვლოდ, ვლადიმერ პუტინს პირადად დავუსვი 50-ჯერ და 50-ჯერ მივიღე უარყოფითი პასუხი. ბოლო პასუხი იყო 2008 წლის თებერვალში, როცა მას ბოლოს შევხვდი. რომ გამოვდიოდი, კიდევ ერთხელ ვუთხარი: ბატონო რუსეთის პრეზიდენტო, მართალია თუ არა, რომ თუ ჩვენ უარს ვიტყვით ევროპასა და ნატო-ზე, თქვენ დაგვიბრუნებთ ტერიტორიებს? მისი პასუხი იყო ასეთი: „ჩვენ არ ვცვლით თქვენს ტერიტორიებს თქვენს გეოპოლიტიკურ ორიენტაციაზე“. ჰკითხეთ, აქ ვარ ცოცხალი მოწმე“,** — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც აცხადებს, რომ საქართველოს გზა მხოლოდ ევროპისკენ მიდის.

**„ევროპა ჩვენი ბუნებრივი ინსტინქტია. იქ სხვადასხვა გზით უნდა შევიდეთ. სხვა ნავსაყუდელი საქართველოს არ აქვს. თანაც, ჩვენ კიდევ ახალ-ახალ გზას და კარებს გვიხსნიან. ამის მოწმეები ვართ დღეს, რისთვისაც ევროკომისარს მინდა მადლობა ვუთხრა“,** — აღნიშნა სააკაშვილმა.

*„ინტერპრესნიუსი“*

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული
მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა
და ინფორმაციის სიზუსტეზე
პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის
შემთხვევაში დაგვიკავშირდით
14 დღის განმავლობაში.